ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსენალი

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 3 ლარი

1425
2013



ტაქტიკური სწავლებები ქართულ არმიაში

სოხუმის დაცემის ქრონიკა

900-ზე მეტი უგზო-უკვლოდ დაკარგული...

რაკეტები ამინდის შესაცვლელად

N14 (187) სექტემბერი, 2013

# სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა














**4 კალეიდოსკოპი**
სამხედრო სიახლეები

**8 სამოქალაქო ომი**
„ზარინმა" სირია NATO-ს
სამიზნედ გადააქცია

**9 სამეზობლო**
სომხეთში ჩინური
„სმერჩები" გამოჩნდა

**10 ომის გამოძახილი**
ქართველი და აფხაზი ვეტერანები
ერთი რეალობის შესახებ

**12 მზადება**
ტაქტიკური სწავლებები ქართულ არმიაში

**14 აფხაზეთის ომი**
900-ზე მეტი უგზო-უკვლოდ დაკარგული

**17 აფხაზეთის ომი**
ბატალიონის მეთაურის უკანასკნელი ბრძანება

**19 აფხაზეთის ომი**
სოხუმის დაცემის ქრონიკა

**22 რეგიონი**
ფაქტები, მოვლენები, შემთხვევები...

**26 ტერორიზმი**
მოძრაობა „თალიბანი": ისტორია,
ორგანიზაცია, სამხედრო სტრატეგია

**30 საიდუმლო ფრონტი**
Wikileaks: ინფორმაციის და
დეზინფორმაციის წყარო?

**33 კლიმატური იარაღი**
რაკეტები ამინდის შესაცვლელად

**36 სამხედრო ფინანსები**
ეკონომიკა ომების დროს:
ისტორიული გამოცდილება და დღევანდელობა

**39 ინოვაციური ტექნოლოგიები**
„ტელესკოპური" ჭურვები

## საბრძოლო მანქანები 44
ყველგანმავლები
წმინდა მიწიდან

## კავკასიური ომები 48
დაქირავებული ჯარისკაცის „აღსარება"
ანუ რუსული ბალანსი

## ავიაცია 51
ბირთვული ომის
საკომანდო პუნქტები

## ფლოტის ისტორია 54
ვინ და როგორ აკონტროლებდა
ქართულ სანაპიროს

## ისტორიული გვერდი 58
ასე დაეცა ბიზანტია

## 100 დიდი მხედართმთავარი 62
ულისე გრანტი

## მეომრები 64
500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან

## ლიტერატურული გვერდი 66
მუსაქალა

## ტკივილი 73
გმირის დანატოვარი გმირები

## სიახლე 76
„ოფიცრის ატლასი" —
კარტოგრაფიული ნოვაცია

## ცხელი წერტილები 78
აზორის კუნძულები

## სამხედრო ისტორიები 81
იტალიელებმა „ნოვოროსიისკის"
აფეთქება აღიარეს

## კროსვორდი 82
არსენალვორდი

## იარაღის გალერეა 83
„გამძვინვარებული ხარი" სპილოებსაც ერჩის


# რედაქციისგან

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ აშშ-ში ოფიციალური ტურნე ჩაატარა, სადაც თავის ამერიკელ კოლეგას, ასევე გავლენიან პოლიტიკურ და სამხედრო ჩინოვნიკებს შეხვდა. ოფიციალური შეხვედრები გაიმართა იმ დაძაბული სიტუაციის ფონზე, როდესაც სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების გამო პენტაგონმა შეიძლება პრეზიდენტ ბაშარ ასადის ხელისუფლების დასამხობად სამხედრო ოპერაცია დაიწყოს. თავდაცვის მინისტრ ალასანიას ამერიკული ვოიაჟი საქართველოში ზოგიერთმა პოლიტიკურმა ძალამ აღიქვა, როგორც მისი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის მზადება და ამერიკელი პარტნიორების მხარდაჭერის მოპოვების მცდელობა. პრეზიდენტობის მსურველებს უფლება აქვთ საარჩევნო კომისიას 7 სექტემბრამდე მიმართონ. „არსენალის" გამოსვლიდან ერთ კვირაში გაირკვევა, აქვს თუ არა პრეზიდენტობის სურვილი ჩვენს თავდაცვის მინისტრს...


მთავარი რედაქტორი
**ირაკლი ალადაშვილი**

პასუხისმგებელი რედაქტორი
**თემურ ჩაჩანიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა
**დათო მოსიაშვილი**

ყურადღება!
გამოიწერეთ "არსენალი" და
მიიღეთ შინ, თვეში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73



რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია



გადაცემულია დასაბეჭდად
26.08.2013

გაზეთ "კვირის პალიტრის"
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (221)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70

Email: arsenali@palitra.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოოქრული ჯავშნიანი მონსტრი

ტლანქი და საზარელი, ცხრატონიანი ჯავშანავტომობილი Marauder-ი შეიარაღების მწარმოებელი უმსხვილესი სამხრეთაფრიკული კომპანია Paramount Group-ის ნახელავია. ზოგიერთი ხელოვანისთვის კი თურმე ის შთაგონების წყარო შეიძლება გახდეს.

ამას წინათ სამხრეთაფრიკელმა დიზაინერმა გევინ რაჯამ ფოლადის ეს მონსტრი ოქრო-ბრინჯაოთი და სვაროვსკის თვლებით დაამშვენა, კამუფლაჟი თავისებურად მოუხატა და აბუ-დაბიში შეიარაღების გამოფენა IDEX 2013-ზე წარადგინა.

გევინ რაჯას დიზაინერული ხედვებისა რა გითხრათ და, მისი ექსპერიმენტი ეკონომიკურად გამართლებული კი ნამდვილად გამოდგა. ზიზილ-პიპილებიანმა ჯავშანმანქანამ უმალ მიიპყრო გამოფენაზე სტუმარი არაბი შეიხების ყურადღება, რომლებსაც ასეთი „სათამაშოებისთვის“ მილიონების გალებას არასდროს ენანებათ.



# 3D-პრინტერზე უკვე შაშხანაც „ამოიბეჭდა“

თუ ასე გაგრძელდა, 3D-პრინტერი შეიარაღებული ძალებისა და სამართალდამცველებისთვის დიდი თავსატეხი გახდება. ცოტა ხნის წინ იყო, რომ ამერიკელმა იურისტმა კოდი უილსონმა „ამობეჭდილი“ პისტოლეტი The Liberator-ი წარმოადგინა და მსოფლიო ახალ საფრთხეებზე აალაპარაკა. ახლა კი ყურადღება კანადელმა მოხალისემ მიიპყრო, რომელმაც ინტერნეტსაზოგადოება ThreeD Ukulele-ს მეტსახელით მის მიერვე დაპროექტებული და 3D-პრინტერზე „ამობეჭდილი“ შაშხანა გააცნო.

პლასტმასის ამ იარაღს „გრიზლი“ ჰქვია და ზემოთ ხსენებული The Liberator-ის კონსტრუქციის საფუძველზეა დამზადებული. ამ იარაღშიც ლითონის დეტალი მხოლოდ ჩახმახის ნემსია.

კანადელმა ინტერნეტით შაშხანის გამოცდის ვიდეორგოლი გაავრცელა, თუმცა მისი შედეგები და იარაღის სხვა ტექნიკური მახასიათებლები არ გაახმაურა. საკითხავი ის არის, რა იქნება ენთუზიასტების მიერ 3D-პრინტერზე შექმნილი მომდევნო „შედევრი“ — ქვემეხი, რაკეტა თუ სულაც ტანკი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ძალიან საშიში“ აღლუმი



ივლისის ბოლოს პერუმ დამოუკიდებლობის 192-ე წლისთავი ზარ-ზეიმით აღნიშნა და ისე როგორ იქნებოდა, ქვეყნის დედაქალაქ ლიმაში ამ ღირსშესანიშნავ თარიღს აღლუმის გარეშე ჩაევლო.

მწყობრი ნაბიჯით მიმავალი, კოხტად ჩაცმულ-დახურული და იარაღასხმული ბრგე ვაჟკაცების შემხედვარე ქვეყნის მთავარსარდლის გულიც უნდა ფეთქავდეს ძალუმად და ქუჩაში გამოსული მოქალაქეებისაც, მტერმოშურნეს კი თვალი უნდა უბრმავდებოდეს. თუმცა ამ აღლუმზე პერუელ სპეცრაზმელთაგან ზოგიერთს ისეთი „საზარელი ნიღაბი“ ჰქონდა, მტრის დაფრთხობისა რა გითხრათ და, აღლუმზე დამსწრე პატარებს კი ნამდვილად გაამხიარულებდა. ალბათ, პერუელ სპეცრაზმელთა მიზანიც ეს იყო...

# თოფიანი მასწავლებლები

აშშ-ის არკანზასის შტატის ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებლებს იარაღის ტარების ნება დართეს. შტატის ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ამ გზით პედაგოგებისა და მოსწავლეების უსაფრთხოება მანიაკებისა და ბანდიტების ბოლო დროს გახშირებული თავდასხმებისგან დაცული იქნება.



პირველი სკოლა, სადაც სასწავლო წლის დადგომას მასწავლებლები და საგანმანათლებლო დაწესებულების სხვა თანამშრომლები პისტოლეტებით შეიარაღებულნი შეხვდებიან, არკანზასის შტატის ქალაქ კლარკსვილის დაწყებითი საშუალო სკოლაა. პროგრამაში მონაწილეობის მსურველებს იარაღის, ტყვია-წამლისა და ბუდის შესაძენად 1.100 დოლარი უკვე დაურიგდათ. პედაგოგების შეიარაღების იდეა შარშან დეკემბერში კონექტიკუტის სკოლის ტრაგედიის შემდეგ გაჩნდა, რომელმაც 20 ბავშვისა და 6 მასწავლებლის სიცოცხლე შეიწირა და მისი აქტიური მხარდამჭერი ცეცხლსასროლი იარაღის ნაციონალური ასოციაცია გახდა. სხვათა შორის, სკოლების შეიარაღების იდეას აშშ-ის ბევრ შტატში ყველაზე მეტად თავად მასწავლებლები შეეწინააღმდეგნენ.

სხვათა შორის, ამერიკელი მასწავლებლები პირველი არ იქნებიან, სკოლაში ცეცხლსასროლი იარაღით რომ გამოცხადდებიან. მსგავსი პრაქტიკა ისრაელში დიდი ხანია დამკვიდრდა.

# იაპონიამ ჩინეთი გააღიზიანა




იაპონიამ ოფიციალურად წარმოადგინა მეორე მსოფლიო ომის დროიდან დღემდე თავის ყველაზე დიდი სამხედრო ხომალდი. 248 მეტრი სიგრძის ამ ხომალდის აგება ქვეყანას 1 მლრდ 200 მლნ დოლარი დაუჯდა.

ამ სიახლეს, რაც იაპონელებმა ზარ-ზეიმით აღნიშნეს, არცთუ სიხარულით შეხვდნენ ჩინეთში, სადაც იაპონიას რეგიონში დაძაბულობის ესკალაციაში ადანაშაულებენ. ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლები კი თავის მხრივ აცხადებენ, რომ შვეულმფრენმზიდ Izumo-ს გამოყენებას მხოლოდ საკუთარი ტერიტორიების დასაცავად და სამაშველო ოპერაციებისთვის გამოიყენებენ.

ახალი ხომალდი ბორტზე 9 შვეულმფრენს იტევს, ხოლო შეიარაღებაში მიღება 2015 წლისთვის არის მოსალოდნელი.

# ინდოეთში იუპიტერი და ვენერა მტრის უპილოტოები ჰგონიათ



კურიოზული ამბავი დაემართათ ინდოელ სამხედროებს: ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალებში მთელი ექვსი თვე შფოთი და ვნებათაღელვა იმის გამო იყო, რომ მზის სისტემის „უწყინარი“ პლანეტები — იუპიტერი და ვენერა „მტრული“ ჩინური უპილოტო საფრენი აპარატებისგან ვერ გაარჩიეს.

თურმე ერთ დღეს ინდოელმა სამხედროებმა „აღმოაჩინეს“, რომ ინდოეთ-ჩინეთის საზღვრის რაიონში, ჰიმალაის მთების თავზე მანათობელი „ამოუცნობი მფრინავი ობიექტები“ რეგულარულად ჩნდებოდნენ.

ეს ტერიტორია ამ ორ ქვეყანას სადავოდ აქვს და ამოუცნობი მფრინავი ობიექტის დანახვაზე ინდოელმა სამხედროებმაც უმალ ის იფიქრეს, მოწინააღმდეგის უპილოტოები ჩვენს პოზიციებს ზვერავენო. ბოლოს და ბოლოს, საქმე ელემენტარული ასტრონომიული განათლების მქონე პირებამდე მივიდა და ამ უკანასკნელებმაც დაამშვიდეს სამხედროები – ნუ გეშინიათ, ეს ბუნებრივი მოვლენაა და ჩვენს სამშობლოს მათგან საფრთხე არ ემუქრებაო.



# მესამე მსოფლიო ომის წინ წასაკითხი

დიდ ბრიტანეთში უჩვეულო, „ცივი ომის“ დროინდელი ისტორიული დოკუმენტი გამოქვეყნდა. ეს 30 წლის წინანდელი მიმართვის ტექსტია ერისადმი, რომელიც დედოფალ ელისაბედ II-ს საბჭოთა კავშირის თავდასხმისა და ამით გამოწვეული ბირთვული ომის დაწყების წინ უნდა წაეკითხა.

მიმართვის ტექსტი 1983 წელს წინასწარ შეადგინეს, როცა NATO-ს სამხედრო სწავლებას კინაღამ საბჭოთა ხელისუფლებასთან კონფლიქტის დაწყება მოჰყვა. საბედნიეროდ, მაშინ კაცობრიობა მესამე მსოფლიო ომს გადაურჩა და დღეს შეგვიძლია ქაღალდზე დარჩენილი მიმართვის ტექსტიდან მონაკვეთს ღიმილით გავეცნოთ.

აი, რა უნდა ეთქვა ომის დაწყების შემთხვევაში მის უდიდებულესობას ბრიტანელი ხალხისთვის:

„ყველამ ვიცით, რომ დღეს ჩვენ წინაშე არსებული საფრთხე აღემატება ნებისმიერს, რომელთანაც კი გვქონია ოდესმე შეხება ჩვენი დიდი ისტორიის მანძილზე. დღეს ჩვენი მტერი არც მხოლოდ თოფიანი ჯარისკაცია და არც ჩვენი ქალაქებისა და სოფლების თავზე ცაში მოხეტიალე მფრინავი, არამედ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სიკვდილის მთესველი ძალა.

მაგრამ, როგორი ჯოჯოხეთიც უნდა გველოდეს წინ, ჩვენ გვაქვს ღირსება, რაც მოგვცემს ძალას და რაც აუცილებლად გაგვამარჯვებინებს თავისუფლებისთვის ბრძოლაში. ამის მაგალითი კი ამ ბედუკუღმართ საუკუნეში უკვე ორჯერ გვქონდა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყუმბარსატყორცნს უკვე შეიარაღებაში იღებენ



25 მმ-იანი ყუმბარსატყორცნ XM25-ის ავლანეთში გამოცდა იმდენად შედეგიანია, რომ ამერიკული არმია მასობრივად შესყიდვას გეგმავს.

პენტაგონის ოფიციალურმა წარმომადგენელმა უკვე განაცხადა, რომ უახლესი ყუმბარსატყორცნის დასახელებიდან ასო X-ს ამოიღებენ, რაც ნიშნავს, რომ იარაღი ექსპერიმენტულია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იარაღი სერიული გახდება.

ამჟამად აშშ-ის არმია იარაღის ზოგიერთი მახასიათებლის გაუმჯობესებას ეშურება. ინჟინრები ცეცხლის წარმოების სისტემის დახვეწაზე, იარაღის წონისა და ყუმბარის ზომების შემცირებაზე ფიქრობენ. ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ კი არმია იარაღს ფართო საბრძოლო გამოყენებისთვის მიიღებს.

# ამერიკელები ტარაკნებსაც „წვრთნიან“




ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის მკვლევრებმა ტარაკნების „გაწვრთნა“ გადაწყვიტეს და სამისოდ კომპიუტერული ტექნოლოგიები და მიკროელექტრონიკა გამოიყენეს. მწერის დისტანციურად მართვის ეს სისტემა ვიდეოთამაშების ტექნოლოგიებზეა დაფუძნებული.

ტარაკანს საცეცებზე, რომელსაც მწერი ბუნებრივ პირობებში ამა თუ იმ საფრთხეზე რეაგირებისთვის იყენებს, მინიანტენებია დამაგრებული. ანტენებზე ელექტრონული სიგნალი იგზავნება, რომელსაც ტარაკანი „თავისად“ აღიქვამს და უმალ გეზს იცვლის. შესაბამისად, მწერის გადაადგილების ტრაექტორია ადამიანის მიერ მართვადი ხდება.

და მთავარი კითხვა: რაში შეიძლება გამოადგეს ადამიანს მის ჭკუაზე მოსიარულე ტარაკანი? მკლევრების აზრით, სისტემის დახვეწის შემთხვევაში, მიკროფონითა და სენსორებით აღჭურვილი მწერის გამოყენება თუნდაც ბუნებრივი კატაკლიზმების დროს, ნანგრევებში მოყოლილი ადამიანების მოსაძიებლად წარმატებით შეიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ზარინმა" სირია NATO-ს სამიზნედ გადააქცია

## ქიმიური იარაღის გამოყენებამ სირია დასავლეთის შეტევის საფრთხის წინაშე დააყენა

21 აგვისტოს გამთენიისას სირიის დედაქალაქ დამასკოს გარეუბანში გამოიყენეს ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების აირი „ზარინი", რის გამოც სამ საავადმყოფოში 3,6 ათასი კაცი მოათავსეს, რომელთაგან 355 დაიღუპა.

ეს გახლდათ სამოქალაქო ომში გახვეულ სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების პირველი დადასტურებული ფაქტი, თუმცა უცნობია, დაპირისპირებული მხარეებიდან, რომელმა ჩაიდინა კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ეს ქმედება — პრეზიდენტ ბაშარ ასადის ხელისუფლებამ თუ შეიარაღებულმა ოპოზიციამ.

პრეზიდენტ ასადის ერთგული არმიის შეიარაღებაში „ზარინი" ოფიციალურად ირიცხება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ქალები და ბავშვები სწორედ ასადის სამხედროებმა მოწამლეს.

საქმე ის არის, რომ ამ საშინელ ფაქტამდე რამდენიმე დღით ადრე დამასკოში ჩავიდა გაეროს ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც ამ ქვეყანაში ქიმიური იარაღის შესაძლო გამოყენების ფაქტები უნდა დაედგინა.

ძალზე საეჭვოა, რომ პრეზიდენტ ასადის ერთგულ არმიას „ზარინი" სწორედ გაეროს ექსპერტების თვალწინ გამოეყენებინა და ამით დასავლეთისთვის კიდევ ერთი არგუმენტი მიეცა ასადის რეჟიმის წინააღმდეგ.

სავარაუდოდ, მშვიდობიანი მოსახლეობა „ზარინით" იმ ძალამ მოწამლა, ვისაც სურს სირიის სამოქალაქო ომში პრეზიდენტ ასადის წინააღმდეგ დასავლეთი და უპირველესად, NATO, ჩაერთონ.

თავის დროზე, აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ გააკეთა გამაფრთხილებელი განცხადება, რომ თუკი სირიის ხელისუფლება ქიმიურ იარაღს გამოიყენებდა, ეს დასავლეთისთვის გახდებოდა მთავარი არგუმენტი, დაეწყო საბრძოლო მოქმედებები ბაშარ ასადის რეჟიმის დასამხობად.

21 აგვისტოს ქიმიურ შეტევას დიდი პროვოკაციის სუნი ასდის, რომლის მთავარი მიზანი შეიძლება გახდეს დასავლეთის აშკარა სამხედრო დახმარება იმ შეიარაღებული ოპოზიციისთვის, რომელსაც ბოლო კვირებში სირიის ხელისუფლების ერთგულმა რეგულარულმა შეიარაღებულმა ძალებმა გამანადგურებელი დარტყმები მიაყენეს.

ხმელთაშუა ზღვაში, სირიის სანაპიროსთან, უკვე თავს იყრიან აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო ესკადრები და არ არის გამორიცხული, ყველაფერი იმავე სცენარით განვითარდეს, როგორიც ლიბიაში მოხდა, რასაც მუამარ კადაფის რეჟიმის დამხობა მოჰყვა.

თუკი დასავლეთი და NATO აშკარად ჩაერთვებიან სამხედრო ოპერაციებში, ეს ოფიციალური მოსკოვის გააქტიურებასა და კრემლის მკაცრი ანტიამერიკული რიტორიკის დაწყებას განაპირობებს. ეს ყველაფერი კი გარკვეულწილად საქართველოს ინტერესებზეც უარყოფითად იმოქმედებს, რადგან რუსეთი, სავარაუდოდ, გააძლიერებს სამხედრო დაჯგუფებას ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში და NATO-სკენ მსწრაფ ოფიციალურ თბილისთან უფრო ხისტ პოზიციას დაიკავებს.

**ირაკლი ალადაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სომხეთში ჩინური „სმერჩები“ გამოჩნდა



რადიო „თავისუფლების“ სომხურმა რედაქციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად, ოფიციალურმა ერევანმა დაუდგენელი რაოდენობის ჩინური წარმოების ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები — AR1A-ები შეიძინა.

სომხეთის თავდაცვის სამინისტროში არც უარყოფენ და არც ადასტურებენ ამ ინფორმაციას, რაც გვაფიქრებინებს, რომ სომხეთის არმიის შეიარაღებაში ასეთი საბრძოლო ტექნიკა მართლაც გაჩნდა.

ჩინური წარმოების AR1A, ფაქტობრივად, რუსული „სმერჩის“ მოდერნიზებული ვარიანტია და 60 წმ-ში ათი ცალი რაკეტის მაქსიმალურ 130 კმ-ზე გაშვება შეუძლია.

ერევანი და პეკინი ადრეც არიან „შემჩნეული“ სარაკეტო გარიგებაში, როდესაც 1999 წელს სომხეთის არმიის შეიარაღებაში რვა ცალი ჩინური WM-80 გამოჩნდა.

თუმცა WM-80-ისგან განსხვავებით, რომელიც უმართავ რაკეტებს მხოლოდ 80 კმ-მდე უშვებდა, ახალ AR1A-ს რაკეტის გაშვება 50 კმ-ით შორს შეუძლია.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაციაა იმ აზერბაიჯანელი გენერლებისთვის, რომელთა განკარგულებაში არსებული რუსული „სმერჩების“ საბრძოლო რადიუსი 70-90 კმ-ს არ აღემატება.

საარტილერიო და სარაკეტო დაპირისპირებისას დიდ უპირატესობას თავიდანვე ის მხარე აღწევს, რომელსაც არსენალში უფრო შორსმსროლელი არტილერია აქვს. ამიტომ სომეხი სამხედროები ახალშეძენილი ჩინური AR1A-ებით აზერბაიჯანელებთან კონტრსაარტილერიო ორთაბრძოლის შემთხვევაში უფრო მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანული ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექსების — Точка-У-ების მოქმედების მაქსიმალური რადიუსი 120 კმ-ს არ აღემატება.

სავარაუდოდ, ჩინური შორსმსროლელი სარაკეტო სისტემების შესყიდვის შესახებ საიდუმლო ინფორმაციის გაჟონვა თავად ოფიციალურ ერევანს აძლევდა ხელს ორი მიზეზით. ჯერ ერთი, თავის მოსახლეობას აუწყა, რომ რუსეთის მიერ აზერბაიჯანისთვის თანამედროვე საბრძოლო ტექნიკის მიყიდვის შემდეგ სომხეთიც ძლიერდება; მეორე გზავნილი კი შეიძლება მოსკოვისთვის იყოს განკუთვნილი — თუკი რუსეთი ბაქოს აიარაღებს, ერევანი იარაღის ექსპორტის ალტერნატიულ გზას ადვილად იპოვის, თუნდაც ჩინეთში...

ჩვენი დოსიე: ჩინური წარმოების ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა **AR1A** გათვლილია რამდენიმე ტიპის რაკეტის გასაშვებად.

**BRE2** ტიპის რაკეტა 60-დან 130 კმ-მდე მიფრინავს. მისი ქობინი 190 კგ-მდე იწონის და აფეთქებისას 100 მ რადიუსში აზიანებს ცოცხალ ძალას.

**BRE3** ტიპის რაკეტის ფრენის სიშორე 20-დან 70 კმ-მდე მერყეობს. მის ქობინში 623 ცალი კუმულაციურ-მსხვრევადი საბრძოლო ელემენტია ჩადებული, რომლებიც 160 მ-ის რადიუსის ფარგლებში იშლება და 50 მმ სისქის მონოლითურ ჯავშანს ხვრეტს.

**BRE4** ტიპის რაკეტის მოქმედების რადიუსი 60-დან 130 კმ-ია. მის კასეტურ ქობინში 480 კუმულაციურ-მსხვრევადი საბრძოლო ელემენტია, რომლებსაც 50 მმ სისქის ჯავშნის გახვრეტა შეუძლია.

საბრძოლო მდგომარეობაში **AR1A** ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის მასა 42,5 ტ-ს შეადგენს და მას ასფალტირებულ გზაზე მაქსიმალური 60 კმ/სთ სიჩქარის განვითარება შეუძლია.



# ქართველი და აფხაზი ვეტერანები ერთი რეალობის შესახებ

**„ჩაგვითრიეს! მოგვატყუეს! აგვიყოლიეს!“ — ხშირად გაიგებთ ქართულ-აფხაზურ ომზე... ეს ეხება როგორც მშვიდობიან მოსახლეობას, ისე მეომრებსაც. ომის ვეტერანებიდან ბევრი ნანობს, რომ მაშინ ემოციას აჰყვა და უაზრო ომს ყველაფერზე ძვირფასი, ჯანმრთელობა შესწირა. ამ აზრს ის აფხაზებიც იზიარებენ, ვინც თავის დროზე მოხალისედ უყოყმანოდ ენერებოდა.**

**შევეცადე, გამერკვია, როგორ ცხოვრობენ წლების წინ ბრძოლის სხვადასხვა ხაზზე მდგომი მეომრები, რომლებიც დღეს ვეტერანის სტატუსით განაგრძობენ ცხოვრებას... „დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ“ აფხაზებსა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დამაშვრალ ქართველებს ერთნაირი რეალობა აქვთ, მათთვის ბრძოლა არც შემდეგ დასრულებულა, წლების განმავლობაში იბრძოდნენ ვეტერანის სტატუსის, პენსიისა თუ სოციალური დახმარების მოსაპოვებლად.**

**ოთარი, 46 წლის, სოხუმელი აფხაზი:**

— მალევე მივხვდი, რომ დიდი შეცდომა დავუშვი და იმავეს ფიქრობდნენ ჩემი თანამებრძოლებიც. გვაკლდა ყველაფერი: მკურნალობა, კვება, დახმარება, სამსახური. ელემენტარული სამედიცინო დახმარება და საშუალო დონის ოპერაციები ვერ კეთდებოდა, ძალიან ბევრი სამუდამოდ დაინვალიდდა. არადა, ადრე ჩვენი მეთაურობა გვპირდებოდა, რომ რუსეთი ყველაფერზე იზრუნებდა... არ მოხდა ასე. ვისაც ფული ჰქონდა, თავისი ხარჯით იმკურნალა რუსეთში, თუმცა კი აფხაზ მეომრებს მაინცდამაინც ხელგაშლილი არ ხვდებოდნენ. ეშინოდათ ჩვენი. მე რუსეთში სამკურნალო ფული არ მქონდა და ამიტომაც დავრჩი ხეიბარი. ბევრმა,
ვინც ველარ იმკურნალა და ჭრილობებისგან დატოვ
ბულ ტკივილს ველარ მოერია, ნარკოტიკში იპოვა ხს
რამაც ბევრი იმსხვერპლა.. რუსები ამ ყველაფე
მშვიდად ადევნებდნენ თვალს, თან თავს იმით იმარ
ლებდნენ, ვითომ ქართულ მხარესთან ურთიერთობა
და საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში იმ
ჯს უფრთხილდებოდნენ. ასე თანდათან გამოიხშირნ
ის მეომრები, ვისაც საჭიროების შემთხვევაში ზიან
მიყენება შეეძლო მათთვის. დარჩენილთაგან უმეტ
სობა ინვალიდია და ე. წ. პუტინის პენსიას იღებს, რა
ნიშნავს, რომ მათგან საფრთხე გამორიცხულია.

— **„პუტინის პენსია“ რამდენია?**

— თავიდან 100 დოლარი იყო, შემდეგ 120 გახდა
ხან იმატებს და ხან მცირდება... ვისაც ძალიან გაგვ
ჭირდა, სამკურნალოდ თბილისში გავბედეთ ჩამო
ვლა, რასაც თუნდაც ერთი წლით ადრე ვერაფრი
წარმოვიდგენდი. მაგრამ გაჭირვებამ, სოციალურ
პრობლემებმა, გადარჩენის სურვილმა და კიდევ ბე
რმა მიზეზმა ჩამომიყვანა თბილისში სამკურნალო
ჩვენ სხვა მოტივით, სხვა განწყობით, სხვა იმედით ავ
ღეთ ხელში იარაღი. მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავ
და მჯეროდა, რომ ეს ჩემს სამშობლოს სჭირდებოდ
სინამდვილეში სულ სხვანაირად მოხდა.

— **როგორ?**

— არავითარი იდეალები არ არსებობს, ყველაფერ
პოლიტიკა წყვეტს, რასაც გულუბრყვილო ადამიანებ
ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს წირავენ. ჩვენ ჩვენ-
ვე ქვეყანაში ელემენტარული საარსებო პირობებისთ-
ვის ხვეწნა გვიწევდა და ასეა ახლაც. პასუხად გვესმის
რომ პატარა, ნაომარი ქვეყანა ვართ და გასაჭირი ღირ-
სეულად უნდა მოვითმინოთ. არადა, ამ გაჭირვებით
ბევრმა იხეირა. მათ შორის მეომრებმაც. პოლიტიკაში
წავიდნენ და შეიცვალნენ. თანამებრძოლებს თვალს
გვარიდებენ, ყველაზე საჭირო ხალხი დაავიწყდათ

დღეს ბევრი ნანობს, რომ იბრძოდა, რადგან ხელმძღვანელობამ მათ თავდადება ვერ დაუფასა.

**გია წკრიალაშვილი, 23-ე ბრიგადის მე-6 ცალკეული ბატალიონის მოხალისე:**

— 1993 წლის სექტემბერში, ერთ-ერთი ოპერაციის დროს, აფხაზმა სეპარატისტებმა ტყვედ აგვიყვანეს. ზუსტად არ მახსოვს, რომელი ოპერაცია იყო, რადგან ტყვეობაში ისეთი რამ შემემთხვა, რამდენიმე დღე ცოცხალ-მკვდარი ვიყავი და ბევრი რამ არ მახსოვს, თუმცა მახსოვს, რომ ტყვეობიდან გამოქცევის დროს აფხაზებმა თავში ჩამარტყეს და გავითიშე...

— **ტყვეობა სად გაატარეთ?**

— გაგრაში, არაადამიანურ პირობებში გვამუშავებდნენ. ძვალზე რომ ტყავი გადააკრა, ისეთი ვიყავი. ფეხებს ძლივს დავათრევდი. მე და რამდენიმემ დავაპირეთ გაქცევა, მაგრამ არ გამოგვივიდა. სავარაუდოდ, კონდახი ჩამარტყეს თავში და გავითიშე. ეტყობა, იფიქრეს, აქეთობისას რომ გამოვივლით, უკვე მკვდარი იქნება, დავასაფლავებთო და გზა განაგრძეს.

ვიღაცა აფხაზმა გამოიარა და ჩემი კვნესა შემოესმა თურმე... უთქვამს, ხრამში გადაგდებული ვიპოვეო და ჯერ ადგილობრივ საავადმყოფოში მივუყვანივარ. იქ უთქვამთ, ჩვენ ამას ვერაფერს ვუშველითო და სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადამიყვანეს თურმე. გონს სწორედ იქ მოვედი...

ექიმები რომ დავინახე, გამიკვირდა, ყველაფერს წარმოვიდგენდი და აფხაზი მედიკოსების ხელში თუ აღმოვჩნდებოდი, ვერაფრით ვიფიქრებდი.

იქვე იყვნენ „წითელი ჯვრის“ წარმომადგენლებიც და მათი ჩარევით ყველა საჭირო სამედიცინო დახმარება გამიწიეს. მითხრეს, რომ ათ დღეზე მეტხანს სიკვდილს ვებრძოდი და გადარჩენა მომილოცეს. ისე სუსტად ვიყავი, ვერ ვინძრეოდი.

ძალიან ბევრი რამ არ მახსოვდა. არც ახლა მახსოვს. თავზე უამრავი იარა მაქვს. ალბათ, მცემდნენ. როგორც გავიგე, ჩემს გადასარჩენად ძალიან რთული ოპერაციის გაკეთება დასჭირდათ. მითხრეს, თავის ქალა აგხადეთო. იქ თვე-ნახევარი ვიწექი და თანდათან გონს მოვდიოდი. საბედნიეროდ, ისეთი ექიმების ხელში მოვხვდი, ვისთვისაც ჰიპოკრატეს ფიცი უმთავრესია და ყველა პაციენტზე, განურჩევლად მისი ეროვნებისა, ერთნაირად ზრუნავდნენ. ერთი სიტყვით გადავრჩი, მაგრამ ცოტა ხანში მითხრეს, რომ ვიღაცებს ჩემი იქ ყოფნის ამბავი გაუგიათ, ამიტომაც ჩემმა ექიმმა მითხრა, შენი აქ დარჩენა არ შეიძლებაო და გალის საავადმყოფოში გადამიყვანეს.

— **რატომ, გემუქრებოდნენ?**

— დიახ, როგორც გავიგე, საფრთხე არსებობდა, ვიღაცები მოსულან ჩემს მოსაკლავად. გალის საავადმყოფოს მეოთხე სართულზე ვიწექი. შენობა ისეთი დანგრეული იყო, ფანჯრებიც კი არ ჰქონდა. მხოლოდ იმ ოთახში ჩასვეს შუშები, სადაც მე დამაწვინეს. ერთხელ „წითელი ჯვრის“ წარმომადგენლობა მოვიდა, რომელსაც თან ახლდა შვილდაკარგული ნინელი ანდრიაძე. ის თავის შვილს ეძებდა და ყველა საავადმყოფოში დადიოდა თურმე. როდესაც გაუგია, ქართველი მეომარი მკურნალობსო, იფიქრა, ჩემი შვილი ხომ არ არისო. მან და „წითელი ჯვრის“ წარმომადგენლობამ ქუთაისში გადამიყვანეს და შემდეგ, სანამ ფეხზე დავდგებოდი, იქ გავაგრძელე მკურნალობა.

— **ოჯახის წევრებმა იცოდნენ, რომ ცოცხალი იყავით?**

— არა, უკვე გამოტირებულიც ვყავდი... დედაჩემმა არც იცოდა, თუ ვიბრძოდი, ლენინგრადში ვსწავლობდი და იქ ვეგულებოდი... არ ვიცი, ვინ და როდის შეატყობინა, რომ ვიბრძოდი, რომ დავიკარგე... სამედიცინო ინსტიტუტის მეექვსე კურსზე ვსწავლობდი, თან ჩემი საქმეც მქონდა, პატარა ბიზნესიც ავაწყვე, მაგრამ როგორც კი გავიგე, სამშობლოს უჭირდა, მერე მზამზარეულზე ჩასვლას როგორ ვიკადრებ-მეთქი და ყველაფერი მივატოვე. ჩემმა უტვინო პატრიოტიზმმა არ მომასვენა და წამოვედი. მაშინ სხვანაირად არ შემეძლო და მიმაჩნდა, რომ ეს ყველაზე წმინდა საქმე იყო. ზუსტად არ მახსოვს, რამდენიმე თვე ვიბრძოლეთ. ალბათ, 7-8 თვე. სოხუმი რომ დაეცა, მაშინ აგვიყვანეს ტყვედ. მგონი, ალყაში მოვყევით...

ახლა ჯანმრთელობა განადგურებული მაქვს, II ჯგუფის ინვალიდი ვარ, აუტანელი, სისტემატური თავის ტკივილი მაქვს. დედაჩემი ჩემზე დარდსა და ნერვიულობას გადაჰყვა. ასეთ დღეში რომ მიყურებდა, განიცდიდა. 52 წლის ვარ და ჯანმრთელობის პრობლემების გამო, ოჯახიც ვერ შევქმენი. და რაც ყველაზე საშინელებაა, ჩემს სამშობლოს არაფერში ვჭირდები.

— **რატომ მიგაჩნიათ ასე?**

— იმიტომ, რომ მე და უამრავ ჩემნაირს მუდმივად მათხოვარივით გვიწევდა ყველაფერზე ხელის გაშვერა. დაუფასებელი ვეტერანები ვართ. ყველას მოვბეზრდით, ზედმეტნი ვართ... ასეთები ვართ ქართველები — სანამ ცოცხალია, მათხოვარივით ცხოვრობს, რომ მოკვდება, მერე აღმოაჩენენ, დასაფასებელი ყოფილაო. ჩემზე არ ვამბობ, საერთოდ ასეა...

ვეტერანის სტატუსის მოსაპოვებლად ბრძოლა დამჭირდა. ვიღაც გამვლელმა აფხაზმა გადამარჩინა და ჩემს ქვეყანაში ამ ოცდაერთი წლის მანძილზე ვინ იცის, რამდენი დამცირების ატანამ მომიწია. ფიზიკური ტკივილი არაფერია იმასთან შედარებით, რაც მორალურად გადავიტანე. უძლიერეს შეტევით თავის ტკივილს ტკივილგამაყუჩებლებით ვებრძვი. მუდმივად პრობლემა მქონდა ექიმთან მისვლაზე, მკურნალობაზე, წამლებზე... რამდენჯერ უკიდურესი ტკივილი მომითმენია, იმიტომ, რომ წამლის ფული არ მქონდა. სადაც მივდივარ, წამლები დამაქვს თან.

არ იყო ამის გაკეთება საჭირო. ურაპატრიოტიზმი არავის არაფერში წასდგომია, მათ შორის, არც ქვეყანას... იქ უნდა მოვეკალით, ასე ჯობდა.

— **ნანობთ თქვენს მაშინდელ გადაწყვეტილებას?**

— ძალიან... 2003 წელს პენსია მომიხსნეს და ამან ჩემი სოციალური მდგომარეობა უფრო გააუარესა. ახლა დახმარება აღმიდგინეს, მაგრამ ყველაფერი წამლებში მიმდის.

— **თანამებრძოლების შესახებ თუ იცით რამე?**

— არა, ისინი ჩემთან ერთად იყვნენ ტყვედ და შეიძლება ცოცხლებიც არც კი არიან. ჩვენ მოხალისეები ვიყავით და იმ ნაწილზე მიგვამაგრეს. დანარჩენებზე არაფერი ვიცი, რადგან როგორც მითხრეს, „კონცლაგერი“, სადაც ჩვენ ვყავდით, დანგრეულა, იქ აღარავინ ყოფილა. რა მოხდა, ვინ გამოიძიებდა.

**ლალი პაპასკირი**



# ტაქტიკური სწავლებები ქართულ არმიაში

## საქართველოს სხვადასხვა პოლიგონზე ქართველმა სამხედროებმა მცირემასშტაბიანი წვრთნები და სწავლებები გამართეს

აგვისტოს დასაწყისიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების დანაყოფები საველე მზადებას ინტენსიურად გადიან — არტილერისტები პოლიგონებზე სრულყოფენ თეორიულ ცოდნას, მზვერავები კი კახეთის ზვრებში უთვალთვალებენ პირობით მოწინააღმდეგეს.

31 ივლისს ვაზიანის პოლიგონზე „შავნაბადის“ ბატალიონის ოცეულმა საჩვენებელი წვრთნა ჩაატარა ჩასაფრების ამოცანის შესრულებით.

9 აგვისტოს ვაზიანის პოლიგონზე უკვე ეროვნული თავდაცვის აკადემიის მანევრის საკარიერო კურსის მსმენელები გამოჩნდნენ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს წვრთნაში „მექანიზებული ასეულის მოქმედება დასახლებულ პუნქტში“. ეს წვრთნა მნიშვნელოვანი იმით იყო, რომ ახალგაზრდა ოფიცრები ხვეწდნენ ქვეითებისა და ჯავშანტექნიკის ურთიერთშეთანხმებული მოქმედების დეტალებს ქალაქში ბრძოლისას, ანუ იმას, რაც ასე გვაკლდა ხუთი წლის წინ ცხინვალში.

იმავე დღეს ორფოლოს პოლიგონზე დასავლეთის ოპერატიული დაჯგუფების საარტილერიო სწავლება გაიმართა, სადაც ხონის მეორე საარტილერიო, მეორე და მესამე ქვეითი ბრიგადების არტილერისტებმა რაკეტებითა და ჭურვებით მიზნების ზუსტად დაზიანებაში ივარჯიშეს.



*ყუმბარმტყორცნელი ვაზიანის პოლიგონზე სამიზნეს აზიანებს*



არტილერისტებმა მომზადება შემდგომ დღეებშიც გააგრძელეს, რომლის დროსაც 152 მმ-იანი თვითმავალი „დანებითა“ და ბუქსირებადი Д-30 ტიპის ჰაუბიცებით საარტილერიო სროლები განახორციელეს.

პარალელურად, ვაზიანის პოლიგონზე ტაქტიკურ სწავლებაში საბრძოლო სროლებში ვარჯიშობდნენ აღმოსავლეთის ოპერატიული მიმართულების პირველი საარტილერიო ბრიგადის „გრადებისა“ და 160 მმ-იანი Lar-160-ების გათვლები, რომლებიც თავდაცვის ოპერაციაში საცეცხლე მხარდაჭერის ნიუანსებს ხვეწდნენ.

სანამ არტილერისტები პოლიგონებზე ინტენსიური სროლით იქაურობას აყრუებდნენ, კახეთში, საგარეჯოსა და გურჯაანის ზვრებში მზვერავები მალულად გადაადგილდებოდნენ და ერთმანეთს ზვერ[illegible] გეგმური საველე სწავლება „იორი-2013“-ის [illegible] ფაზა მიმდინარეობდა. სწავლებას შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-2 დაზვერვის დეპარტამენტი და აღმოსავლეთის ოპერატიული შტაბი ერთობლივად ატარებდნენ.



სწავლება ითვალისწინებდა ბრიგადების სადაზვერვო ასეულების საბრძოლო დონის ამაღლებას, სამხედრო გადაწყვეტილების მიღების პროცესისა და ქვედანაყოფების მართვის სრულყოფას. მასში ბრიგადების მზვერავების გარდა, სპეციალური ოპერაციების დაჯგუფების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ, რომელთა მომზადების დონე შედარებით მაღალია.

23 აგვისტოს კი მე-12 ბატალიონის სამხედროებმა მოწინავე მეთვალთვალეებისა და 60 მმ-იანი ნაღმსატყორცნების ერთობლივი სწავლება გაიარეს, რომლის მიზანი ბატალიონის NATO-ს ოპერაციებში მონაწილეობისთვის მზადებაა.


არტილერისტები ორფოლოს პოლიგონზე

მისასალმებელია, როდესაც საბრძოლო დანაყოფები ველზე გამოდიან და საკლასო ოთახებში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელებას ცდილობენ. კარგი იქნება, თუკი თითოეული დანაყოფის საველე წვრთნა და სწავლება ობიექტურად შეფასდება ყველა ნაკლოვანების მითითებით, რათა სარდლობამ ქართული არმიის საბრძოლო მზადყოფნის რეალური სურათი დაინახოს.

P.S. ძალიან კარგია, როდესაც სამხედრო ნაწილები გეგმიურ მომზადებას გადიან, მაგრამ იქნებ უკეთესი ყოფილიყო, რომ სამხედრო თემებზე მომუშავე ჟურნალისტებიდა მათ შორის ჟურნალი „არსენალიც“ თავდაცვის სამინისტროსა და გაერთიანებულ შტაბს წვრთნებსა და სწავლებებზე ოფიციალურად მიეწვიათ? უშუალოდ მოქმედების ადგილიდან გაკეთებული რეპორტაჟები უფრო საინტერესო იქნებოდა ჩვენი მკითხველისთვის, თანაც უცხო თვალს შეიძლება ის პრობლემებიც აღმოეჩინა, რასაც თავად სამხედროები ვერ ხედავენ ან არ სურთ დაფიქსირება...

**ირაკლი ალადაშვილი**

ფოტოები აღებულია თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური საიტიდან



# 900-ზე მეტი უგზო-უკვლოდ დაკარგული

უგზო-უკვლოდ დაკარგვა ჯარისკაცის უმძიმესი ხვედრია. ამერიკელებმა იციან, რომ საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის შემთხვევაში, სახელმწიფო მათი ცხედრის ამოცნობის, სამშობლოში გადასვენებისა და პატივით დაკრძალვისთვის ყველაფერს გააკეთებს... აშშ როგორც კანონიერ, ისე ზნეობრივ ვალდებულად მიიჩნევს ბრძოლის დროს დაკარგული სამხედროს შესახებ სრული ინფორმაციის მოპოვებას...

1975 წელს, ვიეტნამის ომის დასრულების შემდეგ, უგზო-უკვლოდ დაახლოებით ორი ათასი ამერიკელი დაიკარგა. კორეის ომში — რვა ათასი. კანონის თანახმად, ნებისმიერს, რომელიც კორეის ან ვიეტნამის ომებში დაკარგულად ჩათვლილ ცოცხალ ამერიკელ სამხედროს აშშ-ის ხელისუფლებას გადასცემდა, თავშესაფარს სთავაზობდა. ასეა დღემდე... კანონის თანახმად, ამერიკა თავშესაფარს იმ პირთა ოჯახის წევრებსაც მისცემს, ვინც დაკარგულ ამერიკელს თავისი ქვეყნის ხელისუფლებისთვის ხმის მიწვდენაში დაეხმარება. ამასთან, აშშ ყველას, ვისაც კი რაიმე ინფორმაცია აქვს უგზო-უკვლოდ დაკარგული სამხედროს შესახებ, მოუწოდებს დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ აშშ-ის ხელისუფლებას...

ეს მაგალითი შემთხვევით არ მოგვიყვანია. 90-იანი წლების ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტმა უამრავ პრობლემასთან ერთად, ადამიანური რესურსის უდიდესი დანაკარგი დაგვიტოვა როგორც სამხედროების, ასევე მშვიდობიანი მოსახლეობისა. ბოლო მონაცემებით, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში 900-ზე მეტი კაცი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. მათი ნაწილი მოიძიეს, ნაწილი — ვერა.

„ჯავშანტრანსპორტიორში მჯდარა, მაგრამ მასთან ერთად აფეთქდა თუ არა, არავინ იცის. იმედი ხომ ბოლოს კვდება", — ამბობს ტამიშთან გმირულად დაღუპული შს სპეცდანიშნულების ასეულის „ლამურას" მეთაურის, კაპიტან ვახტანგ შანავას და, რომელიც 20 წელია ძმას ამაოდ ელოდება. მის ბედს უამრავი ოჯახი იზიარებს.

სანამ სამხედრო ტყვეებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სპეციალური კომისია შეიქმნებოდა, აქტიურად მუშაობდა ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების ფონდი „მოლოდინი". მისი ხელმძღვანელი ნინელი ანდრიაძე ერთ-ერთია, ვინც აფხაზეთის ომში შვილი დაკარგა და მის შესახებ დღემდე არაფერი იცის. ფონდის დაარსების საფუძველიც ეს იყო, — ის დაკარგული მეომრების მოსაძიებლად თანამშრომლებთან ერთად აფხაზეთში გადადიოდა. მათ კონფლიქტის ზონაში დასაფლავებული არაერთი ქართველი მეომრის ნეშტი გადმოასვენეს.

ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ თბილისში არის ერთი პატარა მუზეუმი, რომელიც მთელ საქართველოს იტევს. იქ ნახავთ როგორც ქართველ, ისე აფხაზ უგზო-უკვლოდ დაკარგული მეომრების ფოტოებს. ფონდის შენობის ეზოში საძმო სასაფლაოც არის, სადაც ტერიტორიული მთლიანობისთვის გმირულად დაცემული ბიჭები განისვენებენ.

**ნინელი ანდრიაძე,** ფონდ „მოლოდინის" დამფუძნებელი: — ჩემი შვილი, კოტე ანდრიაძე, გაგრაში იბრძოდა. ბოლოს მისმა მეგობრებმა დათო ბეჟაშვილმა და გელა დოლიძემ ნახეს. გია ყარყარაშვილი ალყაში ყოფილა და მის გასათავისუფლებლად წასულა. იმ დროს მომხდარა აფეთქება. გელამ მძიმე კონტუზია მიიღო და არაფერი ახსოვს, მისი ძმა კი დაიღუპა. კოტეზე არავინ არაფერი იცის. ვერც ცოცხალი ვიპოვე და ვეღარც მკვდარი... ბედნიერი ვიქნებოდი, იმ ომში მხოლოდ ჩემი შვილი რომ დაკარგულიყო უგზო-უკვლოდ. ეს იდეა ჩემსავით შვილდაკარგულმა დედებმა მიკარნახეს. ბევრი ვიწვალეთ და დაზვერვის დეპარ-

ტამენტის მაშინდელი ხელმძღვანელის, ავთანდილ იოსელიანის დახმარებით ძმათა სასაფლაოსთვის ფართი გამოგვიყვეს. შემდეგ ნაკუწ-ნაკუწ მოვაგროვეთ ყველაფერი, რასაც ახლა მუზეუმში ხედავთ: — მეომრების ფოტომასალა, ისტორიები, ნივთები... ძველი, გაცრეცილი მასალებიდან ვიღებდით ფოტოებს და ფოტოშოპით ვამუშავებდით. ძალიან დაგვეხმარა ან განსვენებული გივი მიზანდარი, რომელიც თავადაც იყო ომში და დიდი ფოტომასალაც ჰქონდა. მეომრების ნივთებთან ერთად, მათი ლექსები, ჩანაწერები მოვაგროვეთ, წიგნის გამოცემასაც ვაპირებთ. „წითელი ჯვრის“ დახმარებით, მთელი საქართველო შემოვიარეთ და ასე შევადგინეთ უგზო-უკვლოდ დაკარგული ბიჭების ანკეტები. 2008 წელს დაღუპულ ბიჭებსა და ავღანეთში დაცემულ გმირებზეც გამოიცა წიგნი, მაგრამ 90-იანი წლების ომსაც ხომ უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა? ისინიც ჩვენი ქვეყნის შვილები იყვნენ. 90-იან წლებში, სანამ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სახელმწიფო კომისია ჩამოყალიბდებოდა, რუსლან ქიშმარიას, ედიკა ემიზადეს, გენა ბარციცს, ოთარ კაკალიას, სერგეი ცარგუშს ენგურის ხიდზე ვხვდებოდით. თავიდან პირადი საუბრების დონეზე ხდებოდა ინფორმაციის მოძიება. შემდეგ კი აფხაზეთშიც ჩამოყალიბდა სახელმწიფო კომისია, რომელსაც ოთარ კაკალია ხელმძღვანელობდა, ქართულ მხარეს — ავთანდილ იოსელიანი. იყო ერთი აფხაზი ქალიც, გიული კიჩბა, რომელიც დაკარგული მეომრების ძიებაში აქტიურად იყო ჩართული. სამხედროების გარდა, მათ მშვიდობიანი მოქალაქეების ძიებაშიც დავეხმარეთ. მათ გადავეცით ოთხი ფსიქიკურად დაავადებული აფხაზი, რომლებიც ომამდე ხონის ფსიქიატრიულში იწვნენ. ოჯახებმა დაავადებულთა შესახებ წლების განმავლობაში არაფერი იცოდნენ; იყვნენ დედა და ორი შვილი, რომელთაც ერთმანეთი 14 წელი არ ენახათ. დედა აფხაზეთში ცხოვრობდა და ეგონა, შვილები დაიღუპნენ, იგივე უთხრეს შვილებს დედაზეც. ბავშვები ხონის რაიონში, სოფელ კუხში მამიდასთან იზრდებოდნენ. როდესაც ხონში მომიწია ჩასვლამ, ბავშვებმა მთხოვეს, იქნებ ჩვენს დედაზეც გაიგოთ რამეო. ცოტა ხანში სოხუმელ აფხაზებს რომ შევხვდით, ბავშვების დედის, მანანა შუშანიას ამბავი მოვიკითხე. დამპირდნენ, გაგიგებთო. მართლაც, ორ კვირაში დამირეკეს, ცოცხალია, სოხუმში ცხოვრობსო. გულის ამაჩუყებელი იყო დედა-შვილების შეხვედრა.

— **დაღუპული სამხედროების ცხედრების მოძიება, ალბათ, ადვილი არ იყო.**

— ძნელი იყო. იმ სამხედრო ნაწილებში დავდიოდით, სადაც ისინი მსახურობდნენ. მათ შესახებ თანამებრძოლებს ვეკითხებოდით. ძნელი იყო აფხაზი მეომრების ოჯახებთან მუშაობა. პირველად ძალიან აგრესიულად შეგვხვდნენ, მაგრამ შემდეგ გავუგეთ ერთმანეთს, რადგან ყველანი შვილმკვდარი დედები ვიყავით. შეხვედრებს აფხაზთა მხრიდან ოთარ ცარგუში და ოთარ კაკალია უკეთებდნენ ორგანიზებას. პირველად ოჩამჩირის საქალაქო ბიბლიოთეკაში შევხვდით ერთმანეთს. ცარგუში მაშინ აფხაზეთის უშიშროების მინისტრის მოადგილე იყო, კაკალია — მთავრობის წარმომადგენელი. აფხაზი დედები, როგორც მოსალოდნელი იყო, აგრესიულად შეგვხვდნენ. ერთ-ერთს ვუთხარი, იმ უაზრო ომში მეც დავკარგე შვილი, მაგრამ მტრად მაინც არ მიგიჩნევთ, არც თქვენს შვილს მივიჩნევ მტრად-მეთქი. გაოცებულმა შემომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. როდესაც აფხაზი ბიჭების უკვდავსაყოფად ალბომები გავაკეთე, აფხაზ დედებსაც გავუგზავნე.

ერთი სიკვდილმისჯილი ბიჭი იყო, აბუხბა. დედამისს ეგონა, შვილი დახვრეტილი ჰყავდა. ომამდე დააპატიმრეს და სასჯელს ქართულ ციხეში იხდიდა. ბევრი ვიბრძოლეთ და მასთან ციხეში პირადად შევედი. არასდროს დამავიწყდება იმ ბიჭის სახე, ეტყობა, იფიქრა, რომ დასახვრეტად მიჰყავდათ. მოვეფერე, ნუ გეშინია შვილო, მშობლებთან გაბრუნებ-მეთქი. საქართველოს ხელისუფლებამ ის შეიწყალა და აფხაზურმა მხარემ ქართველ ტყვეებში, გერლიანსა და ალუდაურში გადაგვიცვალა.

იყო უშედეგო მოლაპარაკებებიც. მაგალითად, ერთმა აფხაზმა ქალმა გვითხრა, ჩემი შვილის საფლავის ადგილსამყოფელი შოთა კვირაიამ იცისო, როგორ არ ვცადეთ, მაგრამ კვირაია ისე გარდაიცვალა, ინფორმაცია არ მოგვაწოდა. მხოლოდ ის ვიცით, რომ „მწვანე სახლთან“ იყვნენ და შეიძლებოდა, ის ბიჭი იქვე დაასაფლავეს.

— **აფხაზებს რამდენი კაცი ჰყავთ უგზო-უკვლოდ დაკარგული?**



დილმის ძმათა სასაფლაოზე არის პატარა მუზეუმი, სადაც აფხაზეთის ომში დაღუპულ მეომართა ნივთები და ფოტოები ინახება

— 139 იყო, მაგრამ ბევრი ვიპოვეთ... დაღუპულთა ოჯახის წევრებთან ურთიერთობა არ გვქონდა, აფხაზურ კომისიას ეშინოდა, აგრესიულად არ შეგვხვედროდნენ. ასეთი შემთხვევებიც იყო. იყო შემთხვევები, როდესაც მადლობას ადგილობრივი გაზეთის ფურცლებზე გვიხდიდნენ და დასასვენებლად გვეპატიჟებოდნენ. ასეთები იყვნენ ლარისა არძინბა და დიმიტრი კოგბა, რომლებსაც შვილის საფლავები ვაპოვნინეთ.

ცხედრების გადაცემა რთული პროცესი იყო. ქართველი მეომრები აფხაზეთში მოგვყვებოდნენ და იმ ადგილებს გვაჩვენებდნენ, სადაც დაღუპული მეომრები დაასაფლავეს. მაგალითად, პოლკოვნიკი დათო ჩუბინიძე ტამიშში ჩავიყვანეთ და ძმებ ცკუებისა და მათი ბიძაშვილების, კვაცბების საფლავები გვაჩვენა. გარდა ამისა, ქართულმა მხარემ ხომ იცოდა, დახვრეტილების სია. ვალერი ცკუა აფხაზურ დესანტს ხელმძღვანელობდა და ქართულ მხარეს დაესხა თავს, ამიტომ მისი ამბავი იცოდნენ ჩვენმა ბიჭებმა. კვაცბები კი დაზვერვაზე მუშაობდნენ და სამჯერ დაიჭირეს ქართველმა ბიჭებმა. სამივეჯერ გაუშვეს, მაგრამ ბოლოს დახვრიტეს. სადაც დაასაფლავეს, იცოდნენ. გზისპირასვე იყვნენ დასაფლავებული. როდესაც მებრძოლთა დაღუპულთა გვარები იცი, ეს საქმეს აადვილებს. გვამის იდენტიფიკაცია კი მშობლების ჩარევით ხდება, ისინი ცნობენ თავიანთ შვილებს...

ჯერ კიდევ ძალიან ბევრი საქმე გვაქვს. ახლა ვმუშაობთ ინფორმაციაზე, რომელიც ერთი აფხაზი დეპუტატის დაღესტნურ გაზეთთან ინტერვიუში გახმაურდა. დეპუტატის თქმით, გაგრაში თავისი ხელით დაასაფლავა ექვსი ქართველი ბიჭი, მიკვირს, რატომ არ ჩამოდიან ქართველები მათი ცხედრებისთვისო, — ამბობს და ჰყვება, თუ როგორ შემოარტყეს ალყა ქართველებს და დახოცეს. აგუძერის საავადმყოფოდანაც უნდა გადმოვასვენოთ ქართველი ბიჭები, რომლებიც იქ დაჭრილები მიიყვანეს, შემდეგ კი დაიღუპნენ. აფხაზი ლუდა სალია და მისი თანამშრომელი ცოლ-ქმარი ჰყვებიან, რომ მაშინ აგუძერის საავადმყოფოში მუშაობდნენ და მათ დაასაფლავეს ქართველი ბიჭები.

**— მუშაობის პროცესში, ალბათ, არაერთი ამბავი მოისმინეთ.**

— ზურაბ კოპალიანის ამბავი მინდა გიამბოთ, რომელიც ვახტანგ მუკბანიანის ბატალიონში მსახურობდა. გუმისთის ხიდთან გააფთრებული ბრძოლები მიდიოდა, ხიდის იქით აფხაზები იდგნენ, აქეთ — ქართველები. ორმხრივი სროლის დროს ერთი ბიჭი, გვარად შამბა დაიღუპა. როდესაც ბრძოლა დასრულდა, იმ ადგილას მამამისი მოვიდა, შვილს ეძებდა. კარგა ხნის ძებნის შემდეგ, მდინარის ნაპირზე იპოვა თურმე მისი ცხედარი. 60 წელს გადაცილებული კაცი ყოფილა, მაგრამ პირველი მძიმე წუთების გადავლის შემდეგ, ხელში აუყვანია დაღუპული შვილი და გუმისთის ხიდისკენ ბარბაცით წასულა... ეს დაუნახავს ზურა კოპალიანს, მისულა, მოხუცისთვის თავისი ავტომატი გადაუცია და შვილის ცხედარი გამოურთმევია. ასე მისულან გუმისთის ხიდამდე, იქ, სადაც აფხაზები იდგნენ. იმ კაცს აზრადაც არ მოსვლია ქართველი ბიჭის მოკვლა. როდესაც ზურას მეომრის ცხედარი მიწაზე დაუსვენებია, მოხუც აფხაზს ის გულში ჩაუკრავს და უთქვამს, შვილო, თუ ამ ომს გადაურჩი, ჩათვალე, რომ ჩემი შვილი ხარ, დღეს დაღუპული შვილის მაგიეროო.

მსგავსი შემთხვევები იყო აფხაზური მხრიდანაც. როდესაც ჩემს შვილს ვეძებდი, ყველგან დავდიოდი და რესპუბლიკურ საავადმყოფოში ვნახე ქართველი ბიჭი, გვარად ნონიკაშვილი. მიამბო, გონდაკარგული ერთმა აფხაზმა მეომარმა მიპოვა და საავადმყოფოში მომიყვანა. აფხაზმა ექიმებმა ოპერაცია ლამპის შუქზე გამიკეთეს და გადამარჩინესო. შემდეგ ის ბიჭი „წითელმა ჯვარმა“ ჩამოიყვანა თბილისში.

მე დედა ვარ, ჩემი შვილი იქ დავკარგე და მისი საფლავიც არა მაქვს, მაგრამ აფხაზებს მაინც ვერ ვუწოდებ მტრებს.

**ლალი პაპასკირი**



ომმა ქართველებსაც და აფხაზებსაც დიდი ტკივილი და მწუხარება მოუტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბატალიონის მეთაურის უკანასკნელი ბრძანება

**ტარიელ შარიფაშვილმა, ახალგაზრდობის მიუხედავად, პირადი ვაჟკაცობით საკუთარი პიროვნება იმგვარად განადიდა, რომ მისი სახელი კასპის რაიონის ისტორიაში დარჩა როგორც მამულიშვილისა, მეომრისა, სახელმწიფო მოხელისა, ჩვენი დროების ლომგული გმირისა, კაი ყმისა. იგი დააკლდა არა მარტო ოჯახსა და სანათესაოს, არამედ დიდ სანაცნობოს, სამეგობროს, მთელ სოფელ-ქვეყანას.**

## მამულიშვილი

1993 წლის 22 სექტემბერს შარიფაშვილის ბიჭები პოზიციაზე იდგნენ სოხუმის სარკინიგზო სადგურთან. ყველაზე მძიმე ბრძოლა მის მისადგომებთან გაჩაღებულიყო. ახლომახლო ყოველი შენობა იბომბებოდა. კასპის ბატალიონის მებრძოლებმა მაღლობზე წამომართული სკოლის შენობას შეუტიეს. ასვლა გაუჭირდათ. საშველად გამოიძახეს ფოთში გახიზვნას გადარჩენილი ტანკი. მოწინააღმდეგემ ისიც გამოთოფა და ცეცხლი დაუშინა. დაიჭრნენ ნიკოლოზ ხოკრიშვილი და იმედა ერემოვი, უკვე მაღლობზე — ალიკა მდინარაძე...

გაცხარებულმა ბრძოლამ 25 სექტემბერს ჭანბას ქუჩაზე გადაინაცვლა. დაუმთავრებელ ცხრასართულიან შენობას მტერი საფრად იყენებდა და ტექნიკის კონცენტრაციას ახდენდა. ბატალიონის მეთაურის ბრძანებით ნაღმსატყორცნით ცეცხლი იქით მიმართეს. რაციით შვეულმფრენიც იხმეს.

...პოლკოვნიკმა შარიფაშვილმა დაინახა, რომ რამდენიმე მეტრში მყოფ ირმისა ტყეშელაშვილსაც მოახვედრეს და საშველად მისკენ გახოხდა. გონებადაკარგულ რიგით მებრძოლს აღარ გაუგონია, ყურადღებიანი მეთაურის სიახლოვეს როგორ აფეთქდა ხელყუმბარა და წააგლიჯა ხელი. აღარც ის დაუნახავს, ერთიანად გასისხლიანებული როგორ აიყვანეს ტანკზე, იქაურობისათვის რომ გაერიდებინათ. ის კი, მეთაური, როგორც მამაცთა წესია, საკუთარ თავს კი არ ჩიოდა, ხელქვეითების ბედზე წუხდა და საშველად მისულებს უბრძანებდა:

— გადაეცით პოლკოვნიკ გურასპაშვილს, ირმისას მიხედოს, დაჭრილ ბიჭებს მიხედოს!..

ეს აღმოჩნდა აფხაზეთის ომში ერთ-ერთ მედგარ ქვედანაყოფად მიჩნეული კასპიის ბატალიონის მეთაურის მიერ გაცემული უკანასკნელი ბრძანება. ასეთად დარჩა იგი — მამაცი მეთაური — ბრძოლაში შეუპოვარი, პირადი მაგალითის მიმცემი, აღსასრულის ჟამსაც კი თანამებრძოლების სიცოცხლესა და უსაფრთხოებაზე მზრუნველი.

...ეროვნული გვარდიის მე-4 ასეული ქალაქ კასპის განაპირა უბანში, ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის შენობაში დაბანაკდა. დანაყოფის მეთაურად 1991 წლის 5 აპრილს ტარიელ შარიფაშვილი დაინიშნა. იმავე წლის აგვისტოდან ბატალიონად გარდაიქმნა. მისი პირადი შემადგენლობა 1992 წლის 13 მაისს სამაჩაბლოს ტერიტორიაზე შევიდა. 14 აგვისტოს კი, აფხაზეთში ბრძოლის დაწყების პირველივე დღეს, საბრძოლო მოქმედებებში ჩაება.

ტარიელ შარიფაშვილი, როგორც მეთაური და მეომარი, აქტიურად მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციების დაგეგმვაში. შიდა ქართლსა და აფხაზეთში უნარიანად მეთაურობდა საბრძოლო ნაწილებს. ეროვნული გვარდიის სარდალს მოადგილეობდა და საჭიროებისას ცვლიდა კიდეც. ქართული ჯარის შექმნისა და ჩამოყა-

ლიბებისათვის თავდადებით მებრძოლმა მთელი თავისი ენერგია და გამოცდილება მოახმარა ქართული შეიარაღებული ძალების განვითარებას. სამშობლოსათვის მისი თავგანწირვა აღინიშნა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით. ქ. კასპში ტარიელ შარიფაშვილის სახელი ეწოდა ქუჩას, სოფელ ზემო ხანდაკში — ქუჩასა და სკოლას, რომლის ეზოში დაიდგა გმირის ბიუსტი (მოქანდაკე დავით ნავროზაშვილი).

## ბატალიონის 12-წლიანი საბრძოლო გზა

ტარიელ შარიფაშვილისა და კასპის ბატალიონის სახელები სიმბოლურად დაუკავშირდა და გადაეჯაჭვა ერთმანეთს. შიდა ქართლის ამ პატარა ქალაქში სამხედრო ნაწილის ჩანასახი ასეულის სახით გაჩნდა 1991 წლის აპრილში. მანამდე, 1990 წლის დეკემბერში, ახალარჩეული ეროვნული ხელისუფლების დადგენილების „ეროვნული გვარდიის დაარსების შესახებ" თანახმად, ქ. თბილისში უკვე იყო ჩამოყალიბებული სამი ასეული. კასპისა მეოთხე გახდა. მის მეთაურად დაინიშნა მამულის სიყვარულით გულანთებული ახალგაზრდა ტარიელ შარიფაშვილი.

ჯერ ასეულისა და შემდგომ ბატალიონის სტრუქტურული ჩამოყალიბების სირთულეებმა გადაიარა ახალბედა მეთაურისა და მისი თანამებრძოლების — იოსებ მიგრიაულის (მოადგილე), გიორგი ხოსრუაშვილის, შოთა დარახველიძის, ნუკრი ყაზარაშვილის, მერაბ მაღლაკელიძის (ოცეულის მეთაურები), ნუგზარ გურასპაშვილის, ომარ ჭიჭინაძისა და სხვათა მხრებზე. 1992 წლის აპრილ-მაისში ქვედანაყოფი ახალწვეული გვარდიელებით დაკომპლექტდა.

ქვეყანაში დატრიალებულმა ქარბორბალამ საჯარისო ერთეულებიც ჩაითრია. 1991 წლის აგვისტოში საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და ეროვნული გვარდიის სარდალ კიტოვანს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ქვეყნის პირველმა პირმა გვარდია გააუქმა და შინაგან ჯარს შეუერთა, გვარდიის მეთაურობამ კი პროტესტის ნიშნად ჯარი თეძმის ხეობაში (რკონის ტერიტორია, კასპის რაიონი) გაიყვანა.

ბატალიონად გარდაქმნის შემდეგ (პირადი შემადგენლობა 1992 წლის მარტიდან ოთხჯერ გაიზარდა და მიეკუთვნა ნომერი ს/ნ 17363) სამხედრო სამსახურში ისევ უხმეს, მანამდე შინ გაშვებულ ახალწვეულ გვარდიელებსა და ოფიცერთა ახალ ჯგუფსაც, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის რთულ გზას დაადგნენ. წინ ელოდათ სამაჩაბლო, აფხაზეთი, სამეგრელო...

1992 წლის ივნისში ბატალიონი საბრძოლო პოზიციებზე იდგა ცხინვალის შემოგარენის სოფლებში, მდ. ლიახვის გამოღმა სოფლებში — მამისაანთუბანში, ფრისში, თამარაშენსა და ნიქოზში. კასპელთა ორი ტანკიდან ერთი ცხინვალთან აფეთქდა და სოფლელებმა გაძარცვეს და დაიტაცეს, მეორე კი გამოიტანეს და გაარემონტეს. მეთაური იქ პირველად დაიჭრა.

აგვისტოში კასპის სარკინიგზო სადგურში ბატალიონმა ეშელონის პლატფორმებზე დატვირთა ბორბლიანი საბრძოლო ტექნიკა და აფხაზეთში საომრად მიმავალმა სამტრედიაში დაიმატა 5 ტანკი T-55. ისინი ახალციხიდან იყო ეშელონით წამოღებული. ერთს კოშკურაზე ეწერა „111". ამას ადასტურებენ მისი ეკიპაჟის წევრები (შემდგომში — მაიორები) შოთა დარახველიძე და გიორგი ბერიაშვილი. ისინი და მათი თანამებრძოლები: გოგა ხოსრუაშვილი, ნუგზარ გურასპაშვილი (შემდგომში — ბატალიონის მეთაური), კახა ჩოლაშვილი და სხვები — მონაცვლეობით იყვნენ მძღოლ-მექანიკოსებიც, მემიზნე-ოპერატორებიც, დამტენებიც... ერთი თვე გუმისთაზე იდგნენ, იქიდან გამოსულებმა კი მძიმე ტექნიკა სატანკო ბატალიონს გადასცეს.

ბატალიონმა პირადი შემადგენლობიდან 16 სამხედრო მოსამსახურე დაკარგა (8 — კასპის, 6 — გორის, ერთი — ხარაგაულის რაიონებიდან და ერთიც თბილისიდან), ხოლო 56 სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა.

ომის შემდგომ ბატალიონი კასპში დაბრუნდა. მის შემადგენლობაში მსახურობდა საქართველოს 33 რაიონისა და ქალაქის ახალგაზრდობა.

1997 წლის ოქტომბერში თავდაცვის მინისტრის ნადიბაიძის ბრძანებით დისლოკაციის ადგილი შეიცვალა და გადავიდა კახეთში, შირაქის ველზე (სოფ. ზემო ქედში).

2002-03 წლებში ეროვნულ გვარდიაში სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად სამხედრო ნაწილი, რომელიც ტარიელ შარიფაშვილის სახელს ატარებდა, გაუქმდა. ამით წერტილი დაესვა მისი ბრძოლის 12-წლიან ისტორიას.

**ამირან ტალახაძე**



სოხუმის ვაგზალთან კასპის ბატალიონმა გმირულად იბრძოლა და იქ დაიღუპა ბატალიონის მეთაური ტარიელ შარიფაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სოხუმის დაცემის ქრონიკა

**1993 წლის 16 სექტემბერს აფხაზურმა ფორმირებებმა ვერაგულად დაარღვიეს რუსეთის შუამავლობით ხელმოწერილი 27 ივლისს სოჭის შეთანხმება, გადაკეტეს სოხუმი — ოჩამჩირის დამაკავშირებელი ავტომაგისტრალი მდინარე კოდორზე და სოხუმს გაბატონებული სიმაღლეებიდან და მდინარე გუმისთიდან შეუტიეს.**

**ქალაქის ქუჩებში მიმდინარე ბრძოლების შესახებ მთელი ინფორმაცია თავს იყრიდა მე-2 საარმიო კორპუსის შტაბის მორიგის ჟურნალში. იმ დღეებში გაკეთებული ჩანაწერები გადარჩა და ჩვენამდე მოაღწია. ეს 243-ე ბატალიონის სატანკო ასეულის მეთაურის ლეიტენანტ მერაბ დუნდუასა და იმავე ბატალიონის ტანკი N203-ის ეკიპაჟის (ვალოდია პეგასი, ელგუჯა ჯიქია, მესამე ტანკისტის გვარი უცნობია) დამსახურებაა (სტილი დაცულია):**

22 სექტემბერი

00-30 სთ — მე-2 პოსტმა გადმოსცა, რომ გემმა „გრადიდან“ ბაბუშერას ესროლა;

4-30 სთ — მივიღეთ ინფორმაცია, რომ ქალაქში არის ტანკები — განაცხადა კომპოზიტორების სახლის კომენდანტმა. შემოწმების შედეგად ტყუილი გამოდგა;

8-15 — ზღვაზე გამოჩნდა სამხედრო გემი. დავუკავშირდით რუსების სასაზღვრო ჯარების ოპერატიულ მორიგეს მაიორ კომპონეცს, რომელმაც დაგვიდასტურა, რომ რუსეთის არც ერთი გემი ზღვაში არ არის. გადაწყდა გემის ჩაძირვა;

9-05 სთ — მოწინააღმდეგის გემმა აეროპორტის მიმართულებით „ გრადის“ ზალპი გაუშვა;

9-20 სთ — მოწინააღმდეგის ორმა თვითმფრინავმა დაბომბა ქალაქის გარეუბანი;

9-45 სთ — მალე დაიწყება ქალაქის მასირებული დაბომბვა;

10-15 სთ — მე-5 ბატალიონიდან დაგვირეკეს ახალ კინდღში დარჩენილი ქალებისა და ბავშვების სასწრაფო ევაკუაციის აუცილებლობის შესახებ;

11-10 სთ — რადიოდაჭერა: ოჩამჩირიდან გამოვიდა ჩვენი ორი კატარღა და აფხაზებს მათი ჩაძირვა სურთ;

12-20 სთ — აეროპორტის რადიოცენტრმა გადმოგვაწოდა „ბერეგისგან“ მიღებული ინფორმაცია, რომ კოდორთან მოწინააღმდეგის 6 გემი დგას;

14-40 სთ — მოწინააღმდეგემ მიიღო ბრძანება, რომ დაიბომბოს კელასურისა და წითელი ხიდები, შტურმით იქნეს აღებული ფუნიკულორი;

15-20 სთ — „მე-17“-მ გაგვაფრთხილა, რომ ზღვაში გამოსული მოწინააღმდეგის კატარღები თვითმფრინავებზე ნადირობენ;

17-10 სთ — აეროპორტის ტერიტორიაზე ჰაერში შემჩნეულია მოწინააღმდეგის 2 თვითმფრინავი;

17-40 სთ — მე-2 ბატალიონს უჭირავს ტრაპშის ქუჩაზე სომხის სახლი, სადგურთან 7 კაცია;

18-00 სთ — მოწინააღმდეგემ კატარღებიდან რაკეტები ესროლეს სამგზავრო თვითმფრინავს, მაგრამ ვერ მოახვედრეს;

18-30 სთ — დაჯდომის დროს მოწინააღმდეგის მიერ აფეთქებულ იქნა ჩვენი თვითმფრინავი. ეკიპაჟი და რამდენიმე კაცი ცოცხალია;

22-05 სთ — ფუნიკულორთან დგას БРДМ „მეტეხი“, ელოდება ხალხს, რომ ზევით ავიდნენ;

22-45 სთ — ბრიგადის ოპერატიულმა გაგვაფრთხილა, რომ გემები ახლა ესვრიან ნაპირს და შემდეგ დესანტს გადმოსხამენ;



*ოპერატიული მორიგის ჟურნალის ერთ-ერთი გვერდი*

## 23 სექტემბერი

2-00 სთ — ბრიგადის ოპერატიული: ჯერჯერობით ფრონტზე ნორმალურადაა ყველაფერი;

6-15 სთ — ძიძარიას ქუჩაზე პოლიციამ მიატოვა პოზიციები. დარჩა 8 კაცი;

6-55 სთ — „ვიემში" შემოვიდა აფხაზების ჯგუფი და მოსახლეობას ანიოკებენ;

8-30 სთ — ედუარდ შევარდნაძის ბრძანება გენერალ თავაძეს, რომ 1 ტ „სალიარკა" აეროპორტს გადაეცეს;

10-00 სთ — ბრიგადის ოპერატიული: „ვიემში" ქვარაია გავიდა ხალხით, გოჩუას ქუჩაზე БМП-ა, 16-სართულიან სახლთან 2 ტანკია, გაზის აპარატურასთან და ძერჟინსკის ქუჩაზე „აქს"-თან ცოცხალი ძალაა, ჰაერში 2 თვითმფრინავია;

12-00 სთ — „მე-17"-ის ინფორმაციით აფხაზები აპირებენ არტილერიით დაამუშაონ ტელეანძა „რაზვილკის" მიდამოებიდან;

13-10 სთ — „მე-17"-მ გადმოგვცა: მოწინაალმდეგემ აიღო ფუნიკულორი;

13-20 სთ — შევარდნაძეს აინტერესებს, რამდენი კაცია პოზიციებზე და რამდენი რეზერვში;

15-20 სთ — მიღებულია ინფორმაცია, რომ ნაგორნაიას ქუჩაზე ცატურიანის სახლთან გაუშვან მანქანა დაჭრილების გამოსაყვანად;

16-30 სთ — ფილიას ქუჩაზე შინაგანი ჯარი ითხოვს ტყვია-წამალსა და ტექნიკას დაჭრილების გამოსაყვანად;

18-20 სთ — მე-2 პოსტის ინფორმაციით ჰაერშია მოწინაალმდეგის Су-27. გადავეცი საჰაერო თავდაცვას;

18-30 სთ — ბრიგადის ოპერატიული მორიგე: ჭანბაზე აგურის ქარხნის გვერდით „პიტომნიკში" აფხაზები სანგრებს თხრიან;

20-10 სთ — პეტროსიანის ინფორმაციით მოწინაალმდეგე ჩამოდის ფუნიკულორზე, საჭიროა დახმარება;

22-20 სთ — საზღვაო დივიზიონიდან დარეკეს, რომ ზედა ხიდთან ხედავენ ტექნიკის გადაადგილებას;

23-30 სთ — არტილერისტებმა დატოვეს სათვალთვალო პუნქტი ინტერნატში, აფხაზები უკვე იმყოფებიან ბარათაშვილზე „ფანტანთან". გასამაგრებელია კუხალაშვილის, ყაზბეგის, გელოვანის ქუჩები;

## 24 სექტემბერი

„87"-მა გადმომცა: დალუპული ცერცვაძის გვამი გადმოიტანონ აეროპორტში, თავისი [illegible] ყუთით. ნაირაშვილი წამოვა წასალებად —

12-30 სთ — ბრიგადის ოპერატიული: სადგურთან ბრძოლებია, მე-3 ბატალიონი ბრძოლებშია, ჭანბაზე ბრძოლებია, ფუნიკულორზე ბრძოლებია;

„პიტომნიკთან" სიმაღლე 190 მ-ზე „მინამიოტია";

18-30 სთ — გელოვანის ქ. მე-5 ჩიხი სახლები 14, 15, 16, ტრაპშის ქ. 32, 33, 34-ში 3-5 კაცია;

22-50 სთ — „ომეგამ" გადმოსცა, რომ ბარჟა მოდის კოდორზე დესანტის გადმოსასხმელად; ტიტოვზე 20-კაციანი ჯგუფია შემჩნეული; აეროპორტს ბომბავენ „გრადებით" კამანიდან;

## 25 სექტემბერი

8-45 სთ — ყაზბეგის ქუჩიდან დარეკეს, ჯოჯუას სახლში არიან აფხაზები, ტრაპეციის ქუჩაზე;

12-00 სთ — სადგურთან შემოტევაა, ითხოვენ ტექნიკას;

12-30 სთ — ერთი ჯგუფი სკოლასთანაა. მეორე კი — სადგურის წინ მაღალი სახლების უკანაა;

„მე-17"-მ გადმოგვცა: ერთი ჯგუფი პროფილაქტიკასთანაა, მეორე კი სროლით მიდის ახალი რაიონის გადასასვლელთან;

14-00 სთ — სადგურისკენ მოდის ტანკი და „პტურსის" დანადგარი;

„მაიაკის" რაიონიდან ჩვენი შეიარაღებული ჯგუფები გამორბიან ქალაქის მიმართულებით;

სადგურის წინ მარჯვნივ 9-სართულიანი სახლი აფხაზებმა დაიკავეს. უნდა მოხდეს ამ სახლის არტილერიით დაბომბვა;



*ჩრდილო კავკასიელებს მთავრობის სახლის დამცველები გამოჰყავთ*



სოხუმის დამცველებს ბრძოლა უთანასწორო პირობებში მოუწიათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგურისკენ მიმავალ ცენტრალურ გზას აფხაზური „პტურსები" აკონტროლებენ;

სადგურის მხრიდან ჩვენი 200 მებრძოლი გამორბის; აფხაზები ფუნიკულორიდან „ტუნელში" შევიდნენ; რუსთავის ბატალიონს ტექნიკა სჭირდება დაჭრილთა გამოსაყვანად, გვიტევენ მაგრად; მშვიდობის პროსპექტზე 250 ჯარისკაცი „მაიაკის" მხრიდან გამორბის; სადგურთან მძიმე ბრძოლები მიდის და გვინდა გავიგოთ, დგას თუ არა კასპის ბატალიონი თავის ადგილზე;

„მე-17": აფხაზები ცდილობენ, რომ მთელი ძალები გადმოისროლონ სადგურის ასაღებად;

19-25 სთ — აფხაზებისგან მიღებულია ინფორმაცია, რომ დააყენეს „მინამიოტები" კელასურისა და აეროპორტის მიმართულებებზე. არ ისვრიან მანამდე, სანამ ჭურვებს არ მიიღებენ;

22-00 სთ — გელოვანის ქუჩაზე ტექნიკის კონცენტრაცია შეინიშნება. მოწინააღმდეგეს უზის „კორექტიროვშჩიკი" გულრიფშის მიდამოებში, ხედავს მანქანებს (კოლონას არ უშვებენ), გასაფრთხილებელია მომავალი მანქანები;

კასპის ბატალიონის მეთაური ტარიელ შარიფაშვილი დაიღუპა დღეს. არ იციან მისი ადგილსამყოფელი და უნდა დაადგინონ, სად იქნება მისი ცხედარი;

**26 სექტემბერი**

8-55 სთ — „მაიაკის" მხრიდან შეტევისას წინ ქვეითები წამოვიდნენ;

11-55 სთ — ინტერნატთან საარტილერიო ცეცხლს ითხოვენ;

13-15 სთ — „პიტომნიკთან" უჭირს ახალციხის ბატალიონს. ითხოვს სასწრაფო დახმარებას;

15-20 სთ — ინტერნატიდან გელოვანის ქუჩაზე 50-ზე მეტი კაზაკი ჩამოვიდა;

15-40 სთ — სადგურთან ჩვენები უკან იხევენ;

18-00 სთ — „მე-17"-მ გადმოსცა, რომ მოწინააღმდეგის 20-კაციანმა ჯგუფმა გადმოსჭრა ჭოჭუას ქუჩა და ქალაქის ცენტრისკენ მოემართება;

18-20 — 20-კაციანი ჯგუფი შესულია ეკლესიის პირდაპირ მე-3 სკოლასთან, მიიღეს დასვენების ბრძანება და ხვალისთვის მთავრობის სახლზე შტურმისთვის დამხმარე ძალას ელოდებიან;

რადიოტექნიკური პოსტი N1-დან დარეკეს, რომ „მაიაკიდან" მოწინააღმდეგე შეტევაზე მოდის 40-მდე კაცითა და ტანკით;

ორჯონიკიძის გასტრონომთან (სტადიონთან ძვ.) შემოსულები არიან და ჩვენს მებრძოლებს ჰყავთ დაჭრილები, ითხოვენ დახმარებას;

19-35 სთ — ტყვარჩელის მიმართულებით გადაფრინდა შვეულმფრენი. გაფრთხილებული არიან მესაზღვრეები;

ორჯონიკიძის გასტრონომთან (ძველი სტალინი) შესულები არიან. ჩვენს მებრძოლებს დაჭრილები ჰყავთ. დახმარებას ითხოვენ;

19-40 სთ — „სვალკასთან" მოლთან მოწინააღმდეგის ქვეითებია. ჩვენი ბიჭები ცოტაა. ითხოვენ დახმარებას. გაგზავნილია ჩოლოყაშვილის ბატალიონის ჯგუფი;

ინვის ЗакВО (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სანატორიუმი);

ბრიგადის ოპერატიულიდან (ლაკობას ქუჩა — რესპუბლიკური ბიბლიოთეკა) — მოუახლოვდა მოწინააღმდეგე. ისმის ტანკებისა და БМП-ს ხმები;

20-00 სთ — რადიოტექნიკური პოსტის უფროსის დანელიას ინფორმაცია: ხალხი პოზიციებს ტოვებს გუმისთასთან;

**27 სექტემბერი**

12-00 სთ — ბარათაშვილზე შემჩნეულია მოწინააღმდეგის ტანკები, 2-ჯერ დარეკა მოქალაქე მარინა გვაზავამ;

12-42 სთ — ჭავჭავაძეზე, ლაკობაზე და ბაზრის ტერიტორიაზე გამოჩნდა მოწინააღმდეგე;

12-45 სთ — მთავრობის სახლი დახმარებას ითხოვს; ამის შემდეგ ჩანაწერები შეწყდა.

# ფაქტები, მოვლენები, შემთხვევები...



აზერბაიჯანის არმიას მალე თურქული „ფირტინები" შეემატება

## აზერბაიჯანი

- ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ბოლო 2 წელიწადში სომხეთმა საბერძნეთისგან MILAN-ის ტიპის 20 ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი, აგრეთვე, სამხრეთ კვიპროსისგან ტყვიამფრქვევები და ერთჯერადი ყუმბარსატყორცნები შეიძინა.
- 30 ივლისის მდგომარეობით აზერბაიჯანის შეიარაღებულ ძალებში 58 კაცი დაიღუპა (9 სომხებმა მოკლეს, 49 არასაბრძოლო ვითარებაში დაიღუპა) და 72 დაიჭრა.
- 1992-2012 წლებში აზერბაიჯანმა სხვადასხვა ქვეყანაში 312 ტანკი, 264 საბრძოლო მანქანა, 400 საარტილერიო სისტემა, 21295 რაკეტა და რაკეტის გამშვები დანადგარი, 64 საბრძოლო და სასწავლო თვითმფრინავი, 24 საბრძოლო შვეულმფრენი იყიდა. ჩვეულებრივ შეიარაღებაზე გაეროს რეგისტრის თანახმად, აღნიშნულ პერიოდში აზერბაიჯანმა საქართველოდან 13 მოიერიშე Су-25 მიიღო.
- 2012 წელს უკრაინამ აზერბაიჯანს ტანკის Т-72-ის ბაზაზე შექმნილი 14 დაჯავშნული გამწე БТС-5В, 3 ტანკსაწინააღმდეგო მართვადი კომპლექსი Скиф-ი მიჰყიდა.
- 2012 წელს რუსეთის მიერ გაყიდული შეიარაღების 5% აზერბაიჯანზე მოდის. ბაქომ გასულ წელს რუსეთიდან მიიღო 16 შვეულმფრენი (მათ შორის 12 Ми-35М), ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები, დაჯავშნული ავტომობილები Скорпион-ЛШ და Скорпион-ЛША-Б, 18 ერთეული 152 მმ-იანი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი Мста-С, 200 საზენიტო-სარაკეტო გამშვები დანადგარი და 1000 რაკეტა.
- 2014 წლიდან აზერბაიჯანის თავდაცვითი მრეწველობის სამინისტრო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ერთ-ერთ კომპანიასთან ერთობლივად მცირეკალიბრიანი — 20 მმ-იანი, 23 მმ-იანი და 30 მმ-იანი ქვემეხების წარმოებას გეგმავს.
- თურქეთი აზერბაიჯანისთვის მისაყიდი 155 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცების Fırtına T-155-სა და კომპანია Yonca Onuk-ის სწრაფსვლიანი საპატრულო კატარღების ძრავებთან დაკავშირებულ პრობლემებს აგვარებს. როგორც ცნობილია, გერმანულმა MTU-მ ძრავების მიყიდვაზე უარი განაცხადა. ალტერნატივად უკრაინული და მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი კომპანიის (მისი დასახელება გასაიდუმლოებულია) ძრავები განიხილება.
- „აზერბაიჯანი და თურქეთი ერთიანი არმიის შექმნას შეუდგნენ", — განაცხადა 5 აგვისტოს აზერბაიჯანის პარლამენტის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კომიტეტის წევრმა ზაჰიდ ორუჯმა. პარლამენტარმა მაგალითად მოიყვანა ცოტა ხნის ჩატარებული აზერბაიჯანულ-თურქული სწავლება და აღნიშნა, რომ თანამშრომლობის ფორმულა უნდა იყოს „ერთი ნაცია, ერთიანი არმია".
- 20 აგვისტოს ცნობილი გახდა, რომ აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრომ გააუქმა ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის, ვიცე-ადმირალ შაჰინ სულთანოვის სამდღიანი ოფიციალური ვიზიტი ირანში.

## სომხეთი

- 27 ივლისს ვაზგენ სარქისიანის სახელობის სამხედრო ინსტიტუტის, არმენაკ ხანფერიანცის სახელობის სამხედრო-საავიაციო ინსტიტუტისა და ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო ფაკულტე-



ალაგიოზის სამთო სასწავლო-საწვრთელ ცენტრში სომეხმა და რუსმა სამხედროებმა ერთად ივარჯიშეს

ტის 402 კურსდამთავრებულს დიპლომები და ლეიტენანტის სამხრეები საზეიმო ვითარებაში გადაეცა.

● სომხეთის უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში 2013-14 სასწავლო წლებში ჩინელი სამხედროები ისწავლიან. შესაბამის მემორანდუმს ორი ქვეყნის წარმომადგენლებმა ხელი 31 ივლისს მოაწერეს.

● ჰელსინკის სამოქალაქო ასამბლეის ვანაძორის ოფისის მონაცემებით, ივნისს-ივლისში სომხეთის შეიარაღებულ ძალებში 20 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, საიდანაც 2 აზერბაიჯანელებმა მოკლეს და დანარჩენი არასაბრძოლო დანაკარგებს მიეკუთვნება.

● 7 აგვისტოს პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას და სომხეთის შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსს, გენერალ-პოლკოვნიკ იური ხაჩატუროვს უფლებამოსილება 2017 წლის 1-ელ იანვრამდე გაუხანგრძლივა.

● 20 აგვისტოს ქვეყნის თავდაცვის მინისტრის მრჩევლად სამხედრო ექსპერტი დავით ჯამალიანი დაინიშნა.

● 19-24 აგვისტოს ალაგიოზის სამთო სასწავლო-საწვრთნელ ცენტრში ხუთდღიანი სომხეთ-რუსეთის ერთობლივი ტაქტიკური სწავლება ჩატარდა. სწავლებაში გამოიყენეს შვეულმფრენები Ми-8, ტანკები Т-72Б, 152 მმ-იანი თვითმავალი ქვემეხები Гиацинт-ი, 122 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცები Гвоздика, ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსები Конкурс-ი და სხვ.

### კონფლიქტის რეგიონები

#### ოკუპირებული აფხაზეთი

● 50-ზე მეტი ახალგაზრდა ლეიტენანტი შეემატა საოკუპაციო ჯარების გუდაუთის მე-7 ბაზას და მათ შორის საჰაერო თავდაცვის 4 ქალი-ოფიცერია, რომლებიც საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების მეთაურებად დაინიშნენ. აგვისტოს ბოლოსთვის ბაზას კიდევ 20 ახალგაზრდა ლეიტენანტი დაემატება.



● 17 აგვისტოს ნაგვალოუსა და წებელდის სასწავლო-საწვრთნელ კომპლექსებზე ერთდროულად დაიწყო საოკუპაციო ჯარების მე-7 გუდაუთის ბაზის მოტომსროლელი ქვედანაყოფების საველე მეცადინეობები. მასში 700 სამხედრო და სამხედრო ტექნიკის 30 ერთეული მონაწილეობდა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მეკავშირეებს, რომლებმაც საველე პირობებში სამეთაურო-საშტაბო მანქანები Р-149МА1 (ბაზა БТР-80), აგრეთვე ახალი თაობის რადიოსადგურები Р-166 (ბაზა КамАЗ-4314) და Р-419Л (ბაზა КамАЗ-5350) გამოცადეს.

#### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● 13 აგვისტოს საოკუპაციო ჯარების მე-4 ბაზას გადაეცა ახალი სასწავლო კორპუსი საერთო ფართით 2 ათას 800 კვმ, სადაც სამხედროებს სხვადასხვა სპეციალობაში მოამზადებენ. დაწყებულია სასწავლო კლასების აღჭურვა სამიზნეებით, ტაქტიკური ტრენაჟორებითა და სიმულატორებით.



საოკუპაციო ჯარების გუდაუთის მე-7 ბაზის მოტომსროლელებმა აფხაზეთის პოლიგონებზე მორიგი საველე მეცადინეობები ჩაატარეს

#### თვითაღიარებული ყარაბაღი

● 22 ივლისს თვითაღიარებული ყარაბაღის არმიის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში ჯარისკაცმა 19 წლის თანამებრძოლი სასიკვდილოდ დაჭრა.

● 27 ივლისს თვითაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის, გენერალ-ლეიტენანტ მოვსეს აკოფიანის განცხადებით, 2012 წელს ყარაბაღის არმია ახალი შეიარაღებითა და სამხედრო ტექნიკით შეივსო.

●29 ივლისს თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბაკო სააკიანმა პოლკოვნიკი ვიაჩესლავ დანელიანი ყარაბაღის არმიის სარდლის მოადგილედ ხელშეკრულების საფუძველზე 5 წლით დანიშნა.

● 30 ივლისს ყარაბაღის არმიის ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის 20 წლის ჯარისკაცი ფრონტის ჩრდილო-აღმოსავლეთ მიმართულებაზე სასიკვდილოდ დაიჭრა.



საოკუპაციო ჯარების მე-4 ბაზას ახალი სასწავლო კლასები გადაეცა

# ფაქტები, მოვლენები, შემთხვევები...



ნოვოროსიისკში დაჩქარებული ტემპებით გრძელდება ახალი გემთსადგომების მშენებლობა

## რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქი

- რუსეთის კასპიის ფლოტილიის სარდლის მოადგილის, I რანგის კაპიტნის ნიკოლაი იაკუბოვსკის თქმით, ირან-რუსეთის ერთობლივი სამხედრო-საზღვაო სწავლება 2013 წლის მეორე ნახევრისთვის არის დაგეგმილი.
- კაპუსტინ-იარის პოლიგონზე (ასტრახანის ოლქი) აფხაზეთში საოკუპაციო ჯარების მე-7 ბაზის 200-მდე სამხედრო მოსამსახურემ უპილოტო საფრენი აპარატების განადგურებისთვის საბრძოლო მომზადება გაიარა. სამხედროებმა სროლების დროს ხელით გადასატანი საზენიტო კომპლექსი Игла-С, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები Оса-АКМ და Стрела-10 გამოიყენეს.
- ნოვოროსიისკში შავი ზღვის ფლოტის სამხედრო-საზღვაო ბაზის გემთსადგომების მშენებლობა დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს. მშენებლობის ვადების შემცირება ახლო მომავალში ფლოტის ახალი საბრძოლო ხომალდებით შევსების დაწყებით არის განპირობებული.
- ბუდიონოვსკის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ბრიგადაში მიმდინარეობს ახალი თაობის ავტომობილების КамАЗ-4350-ის (4X4), КамАЗ-5350-ისა (6X6) და 6350-ის (8X8) მიღება-ათვისება.
- 20 აგვისტოს სტავროპოლის მხარეში ბუდიონოვსკის 487-ე ცალკეულ შვეულმფრენთა პოლკის აეროდრომზე მოდერნიზებული Ми-8АМТШ ტიპის 4 შვეულმფრენი დაეშვა. წლის ბოლომდე პოლკი ამავე ტიპის კიდევ 6 საფრენ აპარატს დაიმატებს.
- აგვიტოს მეორე ნახევარში დაიწყო და ერთი თვე გაგრძელდება „ტერსკის“ პოლიგონზე (ჩრდ. ოსეთი — ალანია) 58-ე არმიის არტილერისტთა საველე მეცადინეობები თანამედროვე ქვემეხებიდან და დანადგარებიდან საშტატო გასროლებით, მეცადინეობებზე არტილერისტები Град-ის, Торнадо-Г-ს, Мста-С-ს, Акация-ს, Гвоздика-ს, Гиацинт-ის, ტანკსაწინააღმდეგო МТ-12-ის, 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნ Сани-ს და ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექს Штурм-С-ს სროლაში ივარჯიშებენ.
- 23 აგვისტოს ნოვოროსიისკში შემოვიდა შავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალების ოპერატიული შენაერთის Blackseafor-ის ხომალდები: თურქული სარაკეტო ფრეგატი F-241 Turgutreis-ი, რუმინული სარაკეტო კორვეტი F-264 Contraamiral Eustațiu Sebastian-ი, ბულგარული საბაზო მტრალავი 63 Priboi, უკრაინული მართვის ხომალდი U510 Slavutych-ი და რუსული სარაკეტო ხომალდი საჰაერო ბალიშზე 615 Bora.

## თურქეთი

- ივლისის პირველ ნახევარში დასრულდა სამამულო წარმოების პირველი ტანკის Altay-ს ტესტირება და დადგინდა, რომ ტანკი წინასწარ დადგენილ პარამეტრებს სრულად პასუხობს და სერიული წარმოებისთვის არის მზად. პირველი შეკვეთა 250 ტანკზეა მოსალოდნელი და თითოეულის ღირებულება დაახლოებით 5 მლნ 500 ათასი დოლარი იქნება.
- თურქულმა კომპანია Aselsan-მა შექმნა რობოტი, რომელსაც ძალუძს ყველა სახეობის ბომბის გაუვნებლება. რობოტ Kaplan-ს შეუძლია საეჭვო ობიექტი 500 მ მანძილზე შეისწავლოს და კვების ავტონომიური წყაროებით 15 კმ იაროს. Kaplan-ს ტესტირება ამერიკულ ბაზაზე ჩაუტარდა და NATO-ს განაცხადების ჩამონათვალშია შეტანილი.



მართალია Blackseafor-ის მორიგ აქტივაციაში საქართველო არ მონაწილეობდა, მაგრამ დროშა წარმოდგენილი იყო


მიმდინარეობს რობოტი Kaplan-ის ტესტირება

● მიმდინარე წელს თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალებიდან 110 მფრინავი გადადგა, საიდანაც 63 სამხედრო მფრინავი იყო. თურქეთს ავიაგამანადგურებელი F-16-ის ერთი მფრინავის მომზადება დაახლოებით 2 მლნ დოლარზე ცოტა მეტი უჯდება.

● 5 აგვისტოს თურქეთის სასამართლომ უვადო პატიმრობა მიუსაჯა თურქეთის არმიის გენერალური შტაბის ყოფილ უფროსს, 70 წლის არმიის გენერალს ილქერ ბაშბუხს, რომელსაც ბრალად ედებოდა რეჯეპ თაიპ ერდოღანის ისლამური მთავრობის დასამხობი შეთქმულების ორგანიზება. სხვადასხვა ვადით პატიმრობა კიდევ 20-მდე სამხედრო პირს მიუსაჯეს.

● 8 აგვისტოს თურქეთის უმაღლესმა სამხედრო საბჭომ სამდღიანი განხილვის შემდეგ გამოაცხადა იმ ცვლილებათა შესახებ, რომელიც ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს შეეხო. გენერალური შტაბის უფროსად 2015 წლამდე დარჩება არმიის გენერალი ნეჯეთ ოზელი. სახმელეთო ჯარების სარდალი არმიის, გენერალი ხულუს აკარა იქნება, რომელიც სომხური საკითხების სპეციალისტად ითვლება და სომხურ ენასაც ფლობს. სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობა — გენერალ-ლეიტენანტმა აკინ ოზთი ოზთიურქმა, სამხედრო-საზღვაო ძალების — ვიცე-ადმირალმა ბიულენტ ბოსტანოღლუმ და ჟანდარმერიის ძალების კი გენერალმა სერვეთ იორიულმა ჩაიბარა.



● 11 აგვისტოს თურქეთმა ლიბანიდან გაეროს დროებითი ძალების შემადგენლობიდან გამოიწვია 58 სამხედრო ინჟინერი, რომლებიც სამშობლოში სექტემბერში დაბრუნდებიან. ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი ბეირუთში Turkish Airlines-ის ორი მფრინავის მოტაცება გახდა.

● 19-28 აგვისტოს ისპარტას პროვინციაში ავღანეთის, თურქეთისა და პაკისტანის სპეცდანიშნულების ქვედანაყოფების ერთობლივი სამხედრო სწავლებები ჩატარდა.

## ირანი

● თანამგზავრული ფოტოების გაანალიზების საფუძველზე Jane's ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ ირანი ბალისტიკური რაკეტების გამოსაცდელად ახალ ხასტარტო მოედანს აშენებს. მშენებლობა [illegible] ქალაქ შაჰრუდის მახლობლად [illegible] წელია მიმდინარეობს.

● 14 აგვისტოს ირანის ხელისუფლების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დასრულდა ადგილობრივი სპეციალისტების მიერ დაპროექტებული წყალქვეშა ნავის Fateh-ის მშენებლობა. სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის მოადგილის, კონტრადმირალ გოლიამ რეზა კადემ-ბიგამის თქმით, Fateh-ი ფლოტს მალე გადაეცემა. 600 ტ წყალწყვის წყალქვეშა ნავის ჩაყვინთვის სიღრმე 200 მ-ს შეადგენს.

● ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსი აპირებს სკოლების უფროსკლასელებს უპილოტო საფრენ აპარატების წინააღმდეგ ბრძოლა შეასწავლოს. გენერალ ალი ფაზალის თქმით, უფროსკლასელები შესაბამის მომზადებას თავდაცვითი პროგრამის ფარგლებში გაივლიან.

● 21 აგვისტოს ირანის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის მოადგილემ, ბრიგადის გენერალმა აზიზ ნასირზადემ განაცხადა, რომ დაიწყო ახალი სამამულო ავიაგამანადგურებლის წარმოება. სავარაუდოდ, ის ავიაგამანადგურებელი Qaher 313 უნდა იყოს. გარდა ამისა, გენერლის თქმით, მიმდინარეობს „ჰაერი-ჰაერი“ და „ჰაერი-მიწა“ კლასის ახალი რაკეტების პროექტირება-დამზადება.

**თემურ ჩაჩანიძე**


ირანი აქტიურად განაგრძობს წყალქვეშა ძალების შევსებას

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოძრაობა „თალიბანი“: ისტორია, ორგანიზაცია, სამხედრო სტრატეგია

**დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N12-13, 2013**

### მესამე ნაწილი

მოძრაობა „თალიბანის“ ხელმძღვანელობამ შეძლო ჩამოეყალიბებინა სტრუქტურულად უფრო ორგანიზებული, იერარქიული და დისციპლინირებული შეიარაღებული ძალების მოდელი და უშიშროების სამსახურები (კონტრდაზვერვა და დაზვერვა).

რეტროგრადული ფასეულობების არსებობისა და ფეოდალური პერიოდისთვის დამახასიათებელი იდეოლოგიურ-პოლიტიკური პოსტულატების მიუხედავად, „თალიბანის“ მოძრაობამ შიდა რესურსების გონივრულად გამოყენებითა და უცხოელ მოკავშირეთა დახმარებით შექმნა სამხედრო-სტრატეგიული მართვის სტრუქტურები (უფრო ეფექტური, ვიდრე მოწინააღმდეგე „ჩრდილოეთის ალიანსს“ ჰყავდა): — სამხედრო მეთაურთა უმაღლესი საბჭო, საბრძოლო ოპერაციების მართვის საკოორდინაციო შტაბი (ცენტრით ყანდაარით და ორი ოპერატიული ფილიალით — ქაბულსა და ჰერათში), სამხედრო-რელიგიური საბჭო, სამხედრო მომზადების პირველადი და საფუძვლიანი მომზადების ცენტრები.

* * *

ყანდაართან მოქმედი საწვრთნელი ცენტრების („ბადრი-1“ და „ბადრი-2“) მსგავსი სასწავლო მომზადების ცენტრი „კავკასია“ 1996 წელს ცნობილმა საველე მეთაურმა ხატაბმა ჩეჩნეთში სერჟენ-იურთის მიდამოებში დააარსა.

„კავკასია“ შედგებოდა შვიდი საწვრთნელი ბანაკისაგან, მათ შორის იყო სპეციალური პროპაგანდისა და იდეოლოგიური მუშაობის სპეციალისტთა მომზადების 2-თვიანი ცენტრი „დავგათი“, იგივე „კავკასიის ისლამური ინსტიტუტი“, 160 მსმენელით, რომლებსაც ეწოდებოდათ „თალიბები“, ასევე „ბადრის“ ცენტრის ანალოგი მზვერავ-დივერსანტების მომზადების ბანაკი „აბუ-ბაქრი“, პარტიზანული ოპერაციებისა და საბრძოლო საცეცხლე მომზადების ბანაკი „აბუ-ჯაფარი“.

* * *

გარდა ამისა, „თალიბანის“ მთავრობაში შექმნილი იყო თავდაცვის სამინისტრო, არმიის სახეობათა სარდლობები და შარიათული უსაფრთხოების სამსახური.

„თალიბანის“ შეიარაღებული ძალები რეგულარული არმიის შესაბამისად შეიქმნა და ფაქტობრივად, წარმოადგენდა პაკისტანური და „რევოლუციური კომუნისტური ავღანური“ არმიების ერთგვარ სინკრეტულ მოდელს. უკანასკნელი გარემოება არ უნდა იყოს მოულოდნელი, რადგან გასახსენებელია ის მდგომარეობა, რომ „თალიბანის“ სამხედრო ხელმძღვანელობის მაღალ და საშუალო რგოლს ადრეც და დღესაც შეადგნენ ავღანეთის ყოფილი სახალხო-დემოკრატიული პარტიის (კომუნისტური პარტია), „ხალკის“ ფრაქციის წევრები.

ამის განსამტკიცებლად შეიძლება მოყვანილ იქნეს „თალიბანის“ რამდენიმე მაღალი სამხედრო პირის მოკლე დოსიე:

აბდულ კადერ აკა — „ხალკისტი“, 1989 წელს თავი შეაფარა პაკისტანს გენერალ ტანაის წარუმატებელი გადატრიალების შედეგად. კომუნისტების მმართველობისას ეკავა სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსის პოსტი. „თალიბანის“ მმართველობისას კი საჰაერო-ძალების სარდლის თანამდებობა. მის სახელს უკავშირებენ „თალიბანის“ სამხედრო ავიაციის ყველაზე წარმატებულ ოპერაციას — 1998 წელს რუსული სამხედრო-სატრანს-

პორტო თვითმფრინავის Ил-76-ის ხელში ჩაგდებას, რომელსაც დიდძალი იარაღი და ტყვია-წამალი გადაჰქონდა „ჩრდილოეთ ალიანსისთვის“.

გულ მუჰამედ ანდარი — „თალიბანის“ მოძრაობის პოლიტიკური დაზვერვის ხელმძღვანელი 1996-2000 წლებში, ყოფილი „ხადის“ მაღალჩინოსანი („ხადი“ წარმოადგენდა კომუნისტური ავღანეთის უშიშროების სამინისტროს, რომელიც აგებული იყო ისეთი კუთხით, როგორიც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის დროინდელი შინაგან საქმეთა სამინისტრო);

პოლკოვნიკი იბრაჰიმ უმარი — „თალიბანის“ შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი მიმართულების სარდალი, კომუნისტების დროს იყო ქაბულის სარაკეტო-საზენიტო სასწავლების რექტორი, ხალკისტი.

„თალიბანის“ მმართველობისას შეიქმნა ბრძოლისუნარიანი არმია, რომელიც 2001 წლისათვის კარგად იყო შეიარაღებული და რიცხოვნობით დაახლოებით 95 ათას მებრძოლს შეადგენდა. აქედან 55 ათასი რეგულარული არმიის მეომარი და 40 ათასი ე. წ. ლაშქრის — ირეგულარული ფორმირებების წარმომადგენელი იყო, რომლებიც ძირითადად პუშტუნური ტომების მოხალისეებს წარმოადგენდნენ. მაგრამ დამრტყმელ „ბირთვს“ შეადგენდა 15 ათასი კარგად გაწვრთნილი მებრძოლი და 5 ათასი ისლამური „შარიათული მილიციის“ მოხალისე. მათ ემატებოდა 2 ათასი პაკისტანელი „მოხალისე“ და 7,5 ათასი არაბი რადიკალი ისლამისტური მოძრაობების წევრი.

„თალიბანურ“ არმიას შეიარაღებაში ჰქონდა 200 ტანკი (Т-55 და Т-62) და ჯავშანმანქანა (ძირითადში საბჭოური წარმოების БМП-2, БТР-70 და ა.შ.), 20-მდე საბრძოლო თვითმფრინავი და შვეულმფრენი (ასევე საბჭოური წარმოების МиГ-23, Су-17, Су-25, Ми-2 და ა.შ.).

პაკისტანის არმიის ნაწილები და ოფიცრები აქტიურად ეხმარებოდნენ „თალიბებს“ არმიის მშენებლობის საქმეში. კერძოდ, „თალიბანის“ სამხედრო შტაბში ოპერაციების დაგეგმვაში მონაწილეობდა 1500 პაკისტანელი ოფიცერი, გენერალ-მაიორ კამერ ზამანის ხელმძღვანელობით. ბაგრამის სამხედრო ბაზაში მუდმივად იმყოფებოდნენ პაკისტანელ სამხედრო მრჩეველთა ჯგუფი, „თალიბების“ მე-11 ნანგაჰარის დივიზიის შტაბის რეზერვს შეადგენდნენ პაკისტანის არმიის საპარაშუტო პოლკის რამდენიმე ქვედანაყოფი, უშუალოდ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდა პაკისტანის არმიის სპეცდანიშნულების ჯგუფის პირველი ბატალიონი სრული შემადგენლობით.

ყველაფრის კოორდინაციით დაკავებული იყო პაკისტანის უწყებათშორისი დაზვერვის სამსახური (ISI – Inter-Services Intelligence), კერძოდ, ამავე სამსახურის „ჩრდილოეთის“ გაერთიანებული დაზვერვის დეპარტამენტი.

პაკისტანის სამთავრობო სტრუქტურებიდან „თალიბანის“ მოძრაობასთან სამხედრო-პოლიტიკურ თანამშრომლობის კოორდინაცია ევალებოდა პაკისტანის ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს, გენერალ ისმაილ ბაბაკს.

აღნიშნული სტრატეგიული პარტნიორობა და მჭიდრო „მეურვეობა“ პაკისტანის სამხედრო დაზვერვისა და პოლიტიკური წრეებიდან (პოლიტიკური მოძრაობა „ჯამაათ ე ისლამი“) დღესაც გრძელდება და ამის რეალურ გამოხატულებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ „თალიბანის“ დაზვერვის სამსახურის „მუჰაბარათის“ შეფი, რომელიც უთუოდ მონაწილეობდა 2013 წლის 6 ივნისს ჰილმენდის პროვინციაში ქართულ სამხედრო ბაზაზე ტერაქტის დაგეგმარებასა და მოწყობაში, არის პაკისტანის მოქალაქე, ქ. ჩამანში მცხოვრები, მოლა ისრაილი (მანამდე იყო „თალიბანის“ ქაბულის მეოთხე საარმიო კორპუსის სამხედრო დაზვერვის უფროსი). თუ როგორ არის მოწყობილი „თალიბანის“ სადაზვერვო სამსახური, იხილეთ ინგლისურენოვან სქემაზე.

„თალიბანის“შეიარაღებული ძალების სტრუქტურა, როგორც რეგულარული არმიის ტიპისა, რომელიც დღესაც შენარჩუნებულია, ოღონდ ახალი სპეციფიკური გეოსტრატეგიული რეალიებიდან გამომდინარე, მოიცავს ოთხ მიმართულებას. აღნიშნული მიმართულებები გაერთიანებული არიან „საარმიო კორპუსებ-



„ალ-ქაიდა“ მომავალ ტერორისტებს ავღანური სკოლების მოსწავლეთა შორისაც ეძებს



„თალიბანის" მოძრაობის უკან პაკისტანელი სამხედროები დგანან

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოპიუმი ავღანელთა მთავარი შემოსავლის წყაროა

ში", საიდანაც პირველი „ნანგაჰარის", მეოთხე „ქაბულის" (ცენტრალური), მეხუთე „მაზარ-ი-შარიფის" და მეშვიდე „ყუნდუზის" საარმიო კორპუსია.

რა თქმა უნდა, კლასიკური გაგებით, „თალიბები" შორს არიან სამხედრო ორგანიზაციის სრულყოფისაგან, რადგან ზოგიერთ შენაერთს აკლია მომზადება, შეიარაღება და უმრავლესობა წარმოადგენს ე. წ. კადრირებულ საშტატო ერთეულს (აქაც დაეტყოთ ავღანელებს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გავლენა).

მაგალითად, „თალიბების" დივიზიები შემადგენლობით უტოლდებოდა ბრიგადების და ზოგჯერ კი პოლკის ან ბატალიონის მასშტაბებს (პაკისტანური არმიის საშტატო ერთეულის მიხედვით).

თუმცალა დღეის მონაცემებით, „თალიბანის" მოძრაობა პარტიზანულ ტაქტიკაზე გადავიდა, რომლის პირობითი სახელწოდება „რწყილის ომია". ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ეფუძნება გამოფიტვის სტრატეგიასა და „ალ-ქაიდას" სამხედრო ფრთის ორგანიზაციულ სქემას, სადაც გამოყენებულია საარმიო შენაერთების მიკრომოდელი: ათეული — 3 მებრძოლი, ოცეული — 3-5 მებრძოლი, ასეული — 5-10 მებრძოლი, ბატალიონი — 10-50 მებრძოლი, ბრიგადა — 50-100 მებრძოლი, დივიზია — 100-300 მებრძოლი, კორპუსი — 300-1000-მდე მებრძოლი.

დაახლოებით ასეთია „თალიბანის" სამხედრო ძალის სტრუქტურა. აქედან გამომდინარე, ჰილმენდის პროვინციაში ქართულ სამხედრო ბაზას 2013 წლის მაისში სწორედ „ოცეული-ასეულის" („თალიბების" ტაქტიკური გათვლების მიხედვით) დონის ქვედანაყოფი დაესხა თავს.

რაც შეეხება სტრატეგიულ დონეს, „თალიბანის" შეიარაღებული ძალების მოდელი უცვლელია, გარკვეული სპეციფიკური მომენტების გათვალისწინებით დაყვანილია „ასიმეტრიული" სამხედრო ოპერაციების დონეზე და წარმოადგენს შემდეგს:

1-ლი „ნანგაჰარის" საარმიო კორპუსი (მოიცავს ჰილმენდის პროვინციასაც) — განთავსებულია სტრატეგი-

## „თალიბანის“ სადაზვერვო სამსახურის „მუხაბარათის“ სტრუქტურა:




ული ხაზის: ჯალალაბადი-ხოსტი-ყანდაარის გასწვრივ, ავღანეთ-პაკისტანის საზღვართან ახლოს. კორპუსის „ბირთვს“ შეადგენს: 110-ე „კომანდოს“ დივიზია, მე-11 ნანგაჰარის დივიზია (მთლიანად აღჭურვილია პაკისტანის არმიის მიერ), 55-ე დივიზია, ანუ „ალ-ქაიდას“ უცხოური ლეგიონი, 117-ე ბრიგადა, 998-ე ბრიგადა (ორივე ბრიგადაში მრავლად არიან პაკისტანელი „მოხალისეები“);

მე-4 „ქაბულის“ საარმიო კორპუსი — „თალიბანის“ ცენტრალური დაჯგუფება მოიცავს ქაბულს, ბამიანის პროვინციას, ბაგრამისა და სალანგის უღელტეხილის სტრატეგიულ (აკავშირებს ავღანეთს ცენტრალურ აზიასთან) ოპერატიულ სივრცეებს. კორპუსი აერთიანებს მე-7, მე-16 (მეთაური მოლა აბდურ-რაზაკი) და მე-17 (მეთაური მოლა ჰაბიბულა) დივიზიებს;

მე-5 საარმიო კორპუსი — ოპერატიული მოქმედების არეალი მოიცავს მაზარ-ი-შარაფის, ტალუკანისა და ბამიანის პროვინციებს. მის შემადგენლობაშია სპეციალური დანიშნულების შარიათული დივიზია (მეთაური პოლკოვნიკი ჯავედაჰმადი) და ცნობილი ბრიგადა „055“ (მეთაური უზბეკი საველე მეთაური ჯუმა ნამანგანი, ოფიციალური მონაცემებით, იგი 2001 წელს დაილუპა). მის შემადგენლობაში არიან ისლამისტი მოხალისეები ეგვიპტიდან, ალჟირიდან, საუდის არაბეთიდან, ჩეჩნეთიდან და ცენტრალური აზიის რესპუბლიკებიდან. ბრიგადას „ალ-ქაიდა“აფინანსებს.

მე-7 საარმიო კორპუსი — მოქმედების არეალებია ტალუკანისა და ყუნდუზის პროვინციები. მისი მეთაური იყო პაკისტანის არმიის გენერალი კამარ-უ-ზამანი. კორპუსის რეზერვშია 4 ათასამდე არაბი მოხალისე და პაკისტანელი პროფესიონალი სამხედრო. მის შემადგენლობაშია: 117-ე დივიზია, 994-ე და 996-ე ბრიგადები, 625-ე საარტილერიო ბატალიონი.

როგორც ვხედავთ, ავღანეთში ჩვენი დღევანდელი მოწინააღმდეგე არცთუ ისე სუსტია და პირიქით, ძალზე საშიში ძალაა.

**ვახტანგ მაისაია**






# Wikileaks: ინფორმაციის და დეზინფორმაციის წყარო?

2010-2011 წლებში დღე არ გავიდოდა, რომ ახალი საიდუმლო, უფრო მეტად კი, სკანდალური დოკუმენტები არ განეთავსებინა Wikileaks-ს ინტერნეტში. ამ საიტმა 2004-2009 წლებში ერაყსა და ავღანეთში აშშ-ისა და კოალიციური ჯარების მოქმედებების ამსახველი რამდენიმე ათასი კონფიდენციალური სამსახურებრივი დოკუმენტი გამოაქვეყნა. კერძოდ, დღის სინათლე იხილა თითქმის 400 ათასმა საიდუმლო დოკუმენტმა ე. წ. „ერაყული დოსიედან“.

ამ ფაქტმა საერთაშორისო სკანდალი გამოიწვია. წლობით საიდუმლო დოკუმენტები ყვავ-ყორნებივით შეესია ინტერნეტს. თავის მხრივ, გაიხარეს პოლიტიკური კულუარების, სკანდალებისა და „დიპლომატიური სამზარეულოს“ ცხელ-ცხელი ჭორების მოყვარულმა და საიდუმლო დოკუმენტებს დახარბებულმა ჟურნალისტებმა და ექსპერტებმა.

ბევრი დოკუმენტი გამოქვეყნდა საქართველოზეც. კერძოდ, საიდუმლო მასალები ასახავდა ამერიკელი დიპლომატების (აშშ-ის ელჩების ჯონ ტეფტისა და ჯონ ბასის) მიმოწერას, შეხვედრების ანგარიშებს 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომის პერიოდსა და შემდგომ წლებში.

Wikileaks-ის ინფორმაციით, მათ საქართველოს შესახებ 1167, სომხეთის შესახებ — 1735, ხოლო აზერბაიჯანის შესახებ 1569 დოკუმენტი ჰქონდათ.

თუმცა ჯერ კიდევ ბევრი კითხვაა პასუხგაუცემელი: საიდან გაჟონა დიპლომატიურმა მიმოწერამ? რომელმა ქვეყანამ იხეირა ყველაზე მეტად? საერთოდ კი გასარკვევია, Wikileaks-ი ინფორმაციის თუ დეზინფორმაციის წყარო იყო? ჯულიან ასანჟს პიროვნული სკანდალების თემა უფრო აინტერესებს თუ რეალური საიდუმლოების გამჟღავნება? თავად ასანჟის განცხადებით, მას ინფორმაცია ანონიმმა ჰაკერებმა მიაწოდეს.

კონფიდენციალური მიმოწერის გამოქვეყნებისთანავე აშშ-ის გენერალურმა პროკურორმა ერიკ ჰოლერმა განაცხადა, რომ ამ საიდუმლო დოკუმენტების გამოქვეყნება ამერიკის ეროვნული უსაფრთხოებისთვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენს.

პენტაგონი აღიარებს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ოფიციალური პირები აშშ-ს აღარ ენდობიან. პენტაგონის წარმომადგენელმა განაცხადა: „აშშ-ის საიდუმლო დოკუმენტების გაჟონვის გამო მსოფლიოს ოფიციალური პირები უკვე სიფრთხილეს იჩენენ ამერიკელ დიპლომატებთან ურთიერთობაში. გაჩნდა წარმოდგენა, რომ აშშ ვერ ინახავს საიდუმლო დოკუმენტებს, რაც სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაზე უკვე აისახა“.

პენტაგონის მაღალჩინოსანს დაეთანხმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი ფილიპ ქროულიც. მისი განცხადებით, სხვადასხვა ქვეყნის ოფიციალური პირები უკვე ითხოვენ, რომ მათთან შეხვედრაში მონაწილე ამერიკელი დიპლომატების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდეს. „ერთი ასეთი შეხვედრის შემდეგ მოითხოვეს, ყველა ბლოკნოტი კარს მიღმა დაეტოვებინათ“, — განაცხადა ქროულიმ.

ჯულიან ასანჟს მხოლოდ თანამემამულე, ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრი კევინ რადი გამოესარჩლა, რომელმაც განაცხადა, რომ მსგავსი დოკუმენტების გამოქვეყნება აშშ-ის უსაფრთხოების სისტემის ადეკვატურობას სადავოს ხდის.

მართლაც, გამოქვეყნებული დოკუმენტები ჯორჯ ბუშისა და ბარაქ ობამას ადმინისტრაციების საქმიანობას ძალზე უარყოფითად წარმოადგენს.

2013 წლის ივლისში აშშ-ის მერილენდის შტატის ქალაქ ფორტ-მიდში დაიწყო სასამართლო პროცესი, რომელზეც აშშ-ის სამხედრო დაზვერვის ანალიტიკოსსა და არმიის რიგითს, ბრედლი მეანინგს ბრალი სახელმწიფო საიდუმლოების გამხელასა და სახელმწიფო ღალატში წაუყენეს.

რიგითი მენინგი, რომელიც 2009 წელს სამსახურებრივი მივლინებით ერაყის დედაქალაქ ბაღდადში გაგზავნეს, ამჟამად ჯულიან ასანჟის მთავარ ინფორმატორად არის მიჩნეული.

უპირველესად ჩნდება ლოგიკური კითხვა: თუ აშშ-ის შეიარაღებული ძალების რიგითს და სამხედრო დაზვერვის რიგით ანალიტიკოსს შეუძლია მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნის სრულიად საიდუმლო დოკუმენტები ხელში ჩაიგდოს, მაშინ როგორ შეიძლება ამ ქვეყანამ მსოფლიო ლიდერობა შეინარჩუნოს, თუ საკუთარ საიდუმლოებებსაც ვერ ინახავს?

თუმცა ძნელად დასაჯერებელია, რომ ერთ პირს ან თუნდაც ჰაკერების ჯგუფს შესძლებოდა მილიონობით საიდუმლო დოკუმენტის ხელში ჩაგდება. ეს მხოლოდ რომელიმე ქვეყნის ძლიერ სპეცსამსახურს ძალუძს, თანაც ეს ქვეყანა აშკარად ანტიამერიკული განწყობისაა.

თავად აშშ-ის ადმინისტრაცია ამტკიცებს, რომ ჯულიან ასანჟის გამო გამჟღავნდა მრავალი სახელმწიფო საიდუმლო და ანტიტერორისტული ოპერაციების წარმატებით ჩატარება უკვე დიდი საფრთხის ქვეშ დადგა. მართლაც Wikileaks-ის გავრცელებული დოკუმენტებიდან უპრობლემოდ შეიძლება სხვადასხვა ქვეყანაში ამერიკელი დიპლომატისა თუ მზვერავისთვის ინფორმაციის მიმწოდებელი პირის ვინაობის დადგენა, რაც საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს. ამ ინფორმაციას ტერორისტებიც ხომ კითხულობენ!

არავინ უარყოფს ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების აუცილებლობას, მაგრამ ეს ადამიანის სიცოცხლისა და პირადი უფლებების საერთაშორისო პრინციპების დაცვით უნდა გაკეთდეს.

## ჯულიან ასანჟი სპეცსამსახურების „პროექტი“ იყო?

არ ვიცით, რამდენად შედიოდა ეს ჯულიან ასანჟის გეგმაში, თუმცა მის მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ ყველაზე დიდი დარტყმა აშშ-ის ეროვნულ ინტერესებსა და ამ ქვეყნის მოკავშირეების ეროვნულ უსაფრთხოებას მიაყენა.

ჯერ კიდევ 2010 წლის ოქტომბრის ბოლოს ასანჟმა განაცხადა, რომ სულ მალე ინტერნეტში რუსეთის ხელისუფლების მაკომპრომეტირებელ მასალებს გამოაქვეყნებდა და იმედი გვქონდა, რომ ეს ბევრ საიდუმლოებას ახდიდა ფარდას.

თუმცა ჯულიან ასანჟის ამ განცხადებიდან სულ მალე რუსეთის სპეცსამსახურების ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა (რომლის ვინაობაც არ დასახელდა) Wikileaks-ის მფლობელები გააფრთხილა, რომ თუ აღნიშნულ საიტზე რუსეთის ხელისუფლების მაკომპრომეტირებელი დოკუმენტები დაიდებოდა, მაშინ საიტს „სამუდამოდ გააქრობდნენ“.

არ ვიცით, ამ მუქარამ გაჭრა თუ სხვა რამემ, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის შესახებ გამოქვეყნებული საიდუმლო დოკუმენტები ყველაზე უწყინარია და მხოლოდ რამდენიმე მეორეხარისხოვანი ჩინოვნიკის პირად ცხოვრებას უკავშირდება.

Wikileaks-ის მიერ გამოქვეყნებულ საიდუმლო მასალებში რუსეთი დახასიათებულია როგორც კორუმპირებული და ავტოკრატიული ქვეყანა, რომელიც აერთიანებს ჩინოვნიკებს, ოლიგარქებსა და ორგანიზებულ დანაშაულს. მოხსენებებში ლაპარაკია იარაღის არალეგალურ გაყიდვაზე, ფულის გათეთრებაზე, ქრთამებსა და გამოძალვებზე, ფულით სავსე ჩემოდნებსა და მრავალმილიონიან უცხოურ ვილებზე. ეს განა ადრე არ იცოდა მთელმა მსოფლიომ?

ამ საიდუმლო დეპეშებიდან რუსეთის ხელისუფლების საიდუმლო პოლიტიკური გეგმების შესახებ ახალი ვერაფერი შევიტყვეთ და უკვე პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ჯულიან ასანჟის მოქმედებით ყველაზე მეტად რუსეთის ხელისუფლებამ ისარგებლა, მათ მღვრიე წყალში ღლავების დაჭერა არ გაუჭირდათ.

საინტერესოა, რომ იმ პერიოდში ასანჟის უახლოეს მეგობრად მოგვევლინა რუსეთში მოღვაწე ჟურნალისტი ისრაელ შამირი, რომელსაც ასანჟმა ამერიკელი დიპლომატების ის საიდუმლო მიმოწერა (90 ათას დეპეშაზე მეტი) გადასცა, რომელიც რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკას ეხებოდა.

ბევრი ექსპერტი ისრაელ შამირს რუსეთის სპეცსამსახურებთან ძალზე დაახლოებულ ჟურნალისტად მიიჩნევს.

ჯერ კიდევ 2010 წლის დეკემბერში რუსეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა რუსეთის საგარეო დაზვერვის შტაბბინაში სტუმრობისას საგარეო დაზვერვის სამსახურს ამ ინფორმაციის შესწავლა ურჩია. „უსახურმა კაცმა“, როგორც მედვედევს საიდუმლო მიმოწერაში ამერიკელი დიპლომატები უწოდებდნენ, „შტირლიცებს“ თან დავალებაც მისცა: არ დაეშვათ ინფორმაციის ანალოგიური გაჟონვა.

რუსეთის იმდროინდელმა პრემიერ-მინისტრმა ვლადიმირ პუტინმა დემოკრატიის პრინციპების სწავლება დაუწყო მთელ მსოფლიოს: „ჯულიან ასანჟის დაპატიმრება საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული ნორმების დარღვევაა. თუ დემოკრატიაა, მაშინ ბოლომდე დემოკრატია იყოს. რატომ ჩასვეს ასანჟი ციხეში? ეს დემოკრატიაა?“ — ცინიკურად განაცხადა მან. ამას ამბობს კაცი, რომლის პირადი მოთხოვნითაც უამრავი ადამიანი ზის რუსეთის ციხეებში.

გასულ წელს ფინანსურ გასაჭირში მყოფ ასანჟს მართლაც მხსნელად მოევლინა რუსული ტელეარხი Russia Today, რომელმაც ფული არ დაიშურა, რათა 2012 წლის აპრილ-ივნისში 12 ტელეგადაცემა დაეფინანსებინა, სადაც ასანჟი ტელეწამყვანად მოგვევლინა.

არავისთვისაა საიდუმლო, რომ რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული ეს არხი რუსეთის საგარეო პოლიტიკის პიარითაა დაკავებული.

ჯულიან ასანჟის ტელეშოუ „მსოფლიო ხვალ“ აშშ-ის დაუძინებელი მტრების შეკრების ადგილად იქცა. პირველივე სტუმარმა, „ჰეზბოლას“ ლიდერმა ნასრალამ განაცხადა, რომ მხარს უჭერს სირიელთა ლიდერს, ბაშარ ასადს, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის ფავორიტიცაა. ასანჟის სხვა სტუმრებსაც (ეკვადორის პრეზი-



ჯონ ბასი



ჯონ ტეფტი

დენტ რაფაელ კორეას, მალაიზიის ოპოზიციის ლიდერ ანვარ იბრაჰიმს და სხვ.) არ დაზარებიათ აშშ-ის „მინასთან გასწორება".

ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ საიდუმლო ინფორმაცია ჯულიან ასანჟს რომელიღაც ქვეყნის სპეცსამსახურმა მენინგის ხელით „შეუგდო". ეს ვერსია სავსებით ლოგიკურია.

სრულიად შესაძლებელია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განთავსებული აშშ-ის საელჩოების ელექტრონული მიმოწერა თანამგზავრული და რადიოელექტრონული დაზვერვის საშუალებით ხელში ჩაეგდო რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურს. საიდუმლო ინფორმაციის ანალიზისა და სათანადო გამოყენების შემდეგ ათასობით „საიდუმლო დეპეშა" უკვე უსარგებლო მაკულატურა გახდებოდა და მის სეიფებში შენახვას რა აზრი ექნებოდა?

ამიტომაც გაჩნდა გენიალური იდეა: აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მაკომპრომეტირებელი დოკუმენტები მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში გაეშვათ, თანაც ისე, რომ ამ ქვეყნის კვალი არ დარჩენილიყო. სქემა საკმაოდ მარტივი და აქედან გამომდინარე, ეფექტიანი გამოდგა. გლობალური „ინფორმაციული შიმშილის" ფონზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საზოგადოებას ზედაპირული შეფასებები ურჩევნია სიღრმისეულ ანალიზს და „დიპლომატიური სამზარეულოს" ჭორები და დიპლომატების სუბიექტური შეფასებები უფრო აინტერესებს, ვიდრე სხვადასხვა წყაროთი გადამოწმებული და შეჯერებული ობიექტური ინფორმაცია. ამ ჭორმართალს კი ყველა სათანადოდ გამოიყენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვინ დგას ეკვადორის ზურგს?

გასულ წელს ეკვადორის საგარეო საქმეთა მინისტრ რიკარდო პატინიომის განცხადებამ, რომ მისი ქვეყანა პოლიტიკურ თავშესაფარს აძლევს სკანდალურად ცნობილი ინტერნეტსაიტ Wikileaks შეფ-რედაქტორ ჯულიან ასანჟს, საერთაშორისო სკანდალი გამოიწვია.

ეკვადორის ხელისუფლებას ამ გადაწყვეტილების შეცვლა მოსთხოვეს დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მა და შვედეთმა. პარალელურად ეკვადორის ხელისუფლება ეძებს საშუალებას, რომ ასანჟი დიდ ბრიტანეთში დაპატიმრების თავიდან აცილების მიზნით ეკვადორში გადაიყვანოს.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ასანჟი ეკვადორის საელჩოში გასული წლის 19 ივნისიდან იმყოფება. მას შემდეგ, რაც ლონდონის სასამართლომ დააკმაყოფილა შვედეთის ხელისუფლების მოთხოვნა ასანჟის გადაცემის თაობაზე. შვედ სამართალდამცავებს სურთ ავსტრალიელის ექსტრადიცია, რათა ორი შვედი ქალის განცხადებასთან დაკავშირებით ასანჟის დაკითხვა ჩაატარონ. ეს ქალბატონები ასანჟს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ. ასანჟი უარყოფს რაიმე სამართალდარღვევის ჩადენას შვედეთში. ის შიშობს, რომ შვედეთში ექსტრადიციის შემთხვევაში მას აშშ-ს გადასცემენ, სადაც სამუდამო პატიმრობას მიუსჯიან ინტერნეტში საიდუმლო დოკუმენტების გამოქვეყნებისათვის. ეკვადორის პრეზიდენტი, სოციალისტ-პოპულისტი რაფაელ კორეა, რომელიც — ვენესუელის ყოფილი პრეზიდენტის, უგო ჩავესისა და რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის „უმცროსი მეგობარია", დამოუკიდებლად ნამდვილად ვერ მიიღებდა „ასანჟის გადარჩენის" გადაწყვეტილებას და არ დაუპირისპირდებოდა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს, ზურგს სხვა, უფრო ძლიერი სახელმწიფო რომ არ უმაგრებდეს.

**ბესიკ ალადაშვილი**

**ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი**




ფინანსურ გასაჭირში მყოფ ასანჟს მართლაც მხსნელად მოევლინა რუსული ტელეარხი Russia Today

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რაკეტები ამინდის შესაცვლელად

სტიქიური მოვლენებისგან დაცვას ადამიანი ოდითგანვე ცდილობს. ხშირ შემთხვევაში წყალდიდობები, ზვავები, ღვარცოფები, ქარიშხლები ადამიანის სიცოცხლესთან ერთად საფრთხეს მატერიალურ ქონებასაც უქმნიან. მსგავსი მოვლენებისგან ქვეყნის ეკონომიკა ძლიერ ზარალდება და ზარალის აღსადგენად ბიუჯეტიდან სოლიდური თანხების გაღებაა საჭირო. ტექნიკური პროგრესის შედეგად, გარკვეულ დონეზე ადამიანმა ამინდის კონტროლი და ატმოსფერულ მოვლენებზე ხელოვნური ზემოქმედება ისწავლა. კაცობრიობის ისტორიაში ამინდზე ხელოვნური ზემოქმედების პირველი ფაქტი 1946 წელს დაფიქსირდა. მაშინ ამერიკელმა ქიმიკოსმა ვინსტონ შატორმა მყინვარის თავზე 15 კგ მშრალი ყინული გაფანტა, რამაც ძლიერი თოვა გამოიწვია.

ადამიანი ყველაზე ხშირად ძლიერი წვიმისა და სეტყვისგან ზარალდება. ამ სტიქიების წინააღმდეგ, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დაუცველია და ზოგჯერ ზარალი ათობით მილიონს ითვლის. ძლიერმა სეტყვამ ქვეყნის რომელიმე რაიონი შეიძლება მოსავლის გარეშე დატოვოს.

მსგავსი პრობლემის წინაშე ჩვენი ქვეყანაც დგას.

***საბჭოთა პერიოდში საქართველო პირველი რესპუბლიკა იყო, რომელმაც ეფექტური სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტული სისტემა შექმნა***

წელიწადი არ გავა, რომ კახეთის რომელიმე რაიონი სეტყვისგან არ დაზარალდეს. ძლიერი სეტყვა გლეხის ნაშრომს რამდენიმე წუთში ანადგურებს. საბჭოთა წლებში კახეთში, ისევე როგორც სხვა, პოსტსაბჭოთა სეტყვასაშიშ რეგიონებში, ბუნების ამ მოვლენას სეტყვასაწინააღმდეგო სამსახური სპეციალური კომპლექსებით ებრძოდა.

1961-63 წლებში ატმოსფერულ მოვლენებთან საბრძოლველად სსრკ-ში მაღალმთიანმა სეტყვასაწინააღმდეგო ინსტიტუტმა სპეციალური იარაღის ორი სახეობა შეიმუშავა.






ჩვენს ქვეყანაში სეტყვა ხშირი მოვლენაა. განსაკუთრებით მისგან კახეთის რეგიონი ზარალდება. საქართველოში მსგავსი სისტემების წარმოების შესაძლებლობაზე ჩვენ სახელმწიფო სამხედრო-სამეცნიერო ტექნიკური ცენტრ „დელტას" დირექტორს, ბატონ **უჩა ძოძუაშვილს** ვესაუბრეთ.

საქართველოში სეტყვასაწინააღმდეგო საშუალებების საჭიროება ცალსახაა. სტატისტიკას თუ გადავხედავთ, 1991 წლიდან მოყოლებული, სსრკ-ის დაშლისა და ეფექტური სეტყვასაწინააღმდეგო სამსახურის მოშლის შედეგად, სეტყვის მიერ მოყენებული ზარალი კატასტროფულად გაიზარდა. ყოველივე ეს შესაბამისად დიდ ეკონომიკურ ზიანთან და ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. საბჭოთა პერიოდში, საქართველო პირველი იყო, ვინც ეფექტური სარაკეტო სეტყვასაწინააღმდეგო სისტემა შექმნა. დღეს კი სასოფლო სამეურნეო ნაკვეთები ატმოსფერული მოვლენებისგან სრულიად დაუცველია.

**რამდენად შესაძლებელია „დელტას" ბაზაზე მსგავსი სისტემების წარმოება?**

ეფექტური სეტყვასაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსის შექმნა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. თავად რაკეტის და გამშვები მოწყობილობის გარდა, სისტემა მძლავრ მეტეორადარს, დაკვირვების და მართვის სადგურებს საჭიროებს. უახლოეს მომავალში „დელტას" შემადგენლობაში კიდევ ორი — გეოფიზიკის და ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტების დამატება მოხდება. სეტყვასაწინააღმდეგო სამსახურის ჩამოყალიბება სწორედ მათ ბაზაზე განხორციელდება.

ამჟამად კომპლექსის წარმოების შესახებ მოლაპარაკებებს რამდენიმე უცხოურ კომპანიასთან ვაწარმოებთ. დეტალურად ვსწავლობთ მსგავსი ტიპის საზღვარგარეთულ სისტემებს. ამ ეტაპზე ჩვენთან სეტყვასაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები გამშვები დანადგარების — ტურელების წარმოების დაწყება იგეგმება. ყველა დანარჩენ საჭირო კომპონენტს საზღვარგარეთ შევიძენთ.

სარაკეტო კომპლექსი Облако-ს რაკეტები 9 კმ-მდე სიმაღლეზე მყოფ ღრუბლებს ებრძოდნენ. სტარტიდან გარკვეული დროის შემდეგ, რაკეტა ფრენის ტრაექტორიაზე სპეციალური რეაგენტის განფანტვას იწყებდა და საწვავის გამოლევის შემდეგ მიწაზე პარაშუტით ეშვებოდა.

მეორე კომპლექსი Эльбрус-ი საარტილერიო ჭურვს წარმოადგენდა. 100 მმ-იანი Эльбрус-4-ის ტიპის ჭურვის გამოყენება 3-8 კმ სიმაღლეების დიაპაზონში შეიძლებოდა. ჭურვის შიგნით, ერთმანეთთან გარკვეული პროპორციით შერეული ფეთქებადი ნივთიერებისა და ვერცხლის იოდიდის ნარევი იყო მოთავსებული. ქვემეხის გატენის წინ ჭურვის დისტანციური მოქმედების ამფეთქს შეყოვნების საჭირო დროზე აყენებდნენ. შესაბამის სიმაღლეზე ჭურვი სკდებოდა და აეროზოლად ქცეული ვერცხლის იოდიდი ღრუბლებში სეტყვის წარმოქმნის პროცესს ახშობდა. სეტყვასაშიშ რეგიონებში Эльбрус-4-ის ტიპის ჭურვებს 100 მმ-იანი КС-19-ის ტიპის საზენიტო ქვემეხებიდან ისროდნენ.

**კრისტალური სტრუქტურის ხარჯზე „წყლიან" ღრუბლებში გაფანტული ვერცხლის იოდიდის ნაწილაკები, საკუთარი თავის გარშემო წყლის კონცენტრირებას და შემდგომ წვიმის პროვოცირებას ახდენენ. სეტყვასაშიში ღრუბლების შემთხვევაში, წვიმის გამოწვევით ვერცხლის იოდიდი ყინულის კრისტალების – სეტყვის ბურთულების ფორმირებას აფერხებს.**

ეფექტურობის მიუხედავად, ორივე კომპლექსს საკუთარი მინუსებიც არ აკლდა. სარაკეტო „ობლაკოს" რაკეტების გამშვები მხოლოდ 4 მიმმართველი ჰქონდა, რაც სეტყვასაწინააღმდეგო სამუშაოებს ზღუდავდა.

საარტილერიო ვარიანტის შემთხვევაში, უარყოფით მხარედ დაბალი სწრაფსროლა და Эльбрус-4-ის ტიპის ჭურვის მაღალი ღირებულება სახელდებოდა. ამიტომაც ახალ სეტყვასაწინააღმდეგო სისტემებს საფუძვლად საარმიო დანიშნულების ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები დაედო.

1969 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის დაკვეთით ახალი სეტყ-



ვასაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი **Алазань**-ი შეიქმნა. მის გამშვებ დანადგარს უკვე 12 მიმმართველი ჰქონდა.

საწყის ეტაპზე კომპლექსის შემადგენლობაში **Алазань-2М**-ის ტიპის უმართავი რაკეტები შედიოდა. საარმიო რაკეტებისგან განსხვავებით, ასაფეთქებელი ნივთიერების ნაცვლად რაკეტაში ქიმიური რეაგენტი — ვერცხლის იოდიდი იყო მოთავსებული და რაკეტის სტარტის შემდეგ ფრენის ტრასაზე იფანტებოდა. ამგვარი მეთოდით სეტყვასაშიში ღრუბლების დამუშავების შემდეგ, მიწაზე ყინულის ბურთულების ნაცვლად წვიმა მოდიოდა, რაც მოსავალს გაცილებით ნაკლებ საფრთხეს უქმნიდა. რეაგენტის დაცლის შემდეგ, რაკეტა მასში მოთავსებული სპეციალური ლიკვიდატორით ნადგურდებოდა.

ახალი სეტყვასაწინააღმდეგო კომპლექსი ალაზნის და საზოგადოდ, კახეთის ვენახების დასაცავად იყო გამიზნული.

მაღალი ეფექტურობის წყალობით კომპლექს „ალაზანს" შემდგომ უკრაინაში, სომხეთში, უზბეკეთში, მოლდავეთში იყენებდნენ. „ალაზანს" არა მხოლოდ ვენახების დასაცავად ხმარობდნენ. სეტყვასაწინააღმდეგო კომპლექსების გამოყენებით სეტყვისგან სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურასაც იცავდნენ.

12 რაკეტაზე გათვლილი გამშვები დანადგარიდან (**ТКБ-040**) 82,5 მმ-იანი რაკეტების როგორც ერთეულად, ასევე ზალპად გაშვება შეიძლებოდა. ლიკვიდატორი მოქმედებაში სტარტიდან 41-43 წმ-ის შემდეგ მოდიოდა.

სსრკ-ში კომპლექსი დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ამაზე ის გარემოებაც მეტყველებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამდე 2 მლნ-ზე მეტი რაკეტის გამოშვება მოესწრო. 90-იან წლებში რუსებმა კომპლექსს მოდერნიზაცია ჩაუტარეს და ახალი **Алазань-5М**-ის ტიპის რაკეტები (სიგრძე 1,4 მ) შეიმუშავეს. მასში გამოყენებული რეოაგენტის ეფექტურობა 1,5-2-ჯერ გაიზარდა. თავად რაკეტის მოქმედების ეფექტური რადიუსი 9-10 კმ-ია.

**ალექსანდრე აფაქიძე**



*ეფექტურობის გასაზრდელად ჩინელები რაკეტების გამშვებებს მანქანებზე ამონტაჟებენ*





მშვიდობიანი დანიშნულების „ალაზანს" პოსტსაბჭოთა კონფლიქტებშიც მოუწია მონაწილეობამ.

1991-94 წლებში მთიან ყარაბაღში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტებს ორივე მხარე იყენებდა. „ხელმარჯვე ოსტატებმა" სამხედრო მიზნებისთვის გამოსადეგი რაკეტები კუსტარულად გადააკეთეს და ვერცხლის იოდიდის ნაცვლად ასაფეთქებელი ნივთიერება მოათავსეს. სტარტის შემდეგ „ალაზნის" რაკეტები დიდ ფართობზე იფანტებოდნენ და დამიზნებით სროლაზე საუბარი ზედმეტი იყო. თუმცა საბრძოლო მასალის დეფიციტის პირობებში მსგავსი „ნოუ ჰაუ" ამართლებდა.

საბრძოლო მიზნებში „ალაზნის" რაკეტებს ჩვენც ვიყენებდით. **МТ-ЛБ**-ს ტიპის დაჯავშნულ გამწეზე დამონტაჟებული რაკეტების გამშვები დანადგარი თბილისის ომის დროს გამოიყენებოდა.

# ეკონომიკა ომების დროს: ისტორიული გამოცდილება და დღევანდელობა

ეროვნული ბიბლიოთეკა




**კაცობრიობის ისტორია გარკვეულწილად ომების ისტორიაა, ამიტომაც ქვეყნის ეკონომიკის ომის პირობებთან „მორგების“ უმდიდრესი ისტორიული გამოცდილება არსებობს. XX-XXI საუკუნეების დიდი თუ პატარა ომების დროს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის გაანალიზება დაგვეხმარება, რათა ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რაოდენ ფიტავს სახელმწიფოს და დამანგრეველ ეკონომიკურ შედეგს ტოვებს რამდენიმედღიანი სამხედრო კონფლიქტიც კი. „არსენალის“ მკითხველს შევთავაზებთ ამ ურთულესი საკითხის მცირე ანალიზს, რაც ამ პრობლემის შესწავლის მხოლოდ საწყის ეტაპად გვესახება.**

## მეორე მსოფლიო ომის გამოცდილება

საზოგადოების განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია გვიჩვენებს, რომ ქვეყნის პოლიტიკურ, სამხედრო, სოციალურ, კულტურულ და ა.შ. განვითარებას საბოლოოდ ეკონომიკური განვითარება განსაზღვრავს.

მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ქვეყნებიდან ეკონომიკის საომარ ყაიდაზე გადაყვანის პრობლემა ყველაზე მეტად დემოკრატიული ქვეყნების – აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის წინაშე დადგა. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთის ტერიტორიაზე უშუალოდ საბრძოლო-სახმელეთო ოპერაციები არ მიმდინარეობდა.

საბაზრო ეკონომიკის ე. წ. „თავისუფლი“ სისტემიდან საომარ ყაიდაზე გადაყვანის ერთ-ერთ უპირველეს თეორეტიკოსად სამართლიანად ითვლება ცნობილი ინგლისელი მეცნიერ-ეკონომისტი ჯონ მეინარდ კეინსი, რომელმაც 1939 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი ომის პირობებში ინფლაციის თავიდან აცილების ძირითად მიმართულებათა შესახებ.

მისი აზრით, ომის პირობებში ინფლაციის ზრდის შეჩერებისთვის აუცილებელი იყო მოსახლეობის მსყიდველობითი შესაძლებლობების „ამოქაჩვა“ გადასახადების გაზრდის საშუალებით. ეს ღონისძიება შესაძლებელს ხდიდა ერთობლივი მოთხოვნის იმ დონეზე შემცირებას, რა დონეზეც არის საქონლისა და მომსახურების ერთობლივი მიწოდება.

კეინსის აზრით, სამხედრო ხარჯების ზრდის კვალობაზე, როდესაც ფართო მოხმარების პროდუქციის წარმოება სულ უფრო მცირდება, აუცილებელია გადასახადების გაზრდა ან პირადი დანაზოგების ზრდის შეფერხება, რათა მოთხოვნა-მიწოდება მაქსიმალურად დაბალანსდეს. ამასთან, ჯონ კეინსი აუცილებლად თვლიდა საბარათო სისტემის შემოღებას და ნორმირებულ განაწილებაზე გადასვლას, ფასების გაკონტროლებას, ხელფასების „გაყინვას“ და ა.შ.

## რუზველტის გასაჭირი

აშშ-ის პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტის გადაწყვეტილებით 1940 წელს, მეორე მსოფლიო ომში ჩაბმამდე, შეიქმნა საკონსულტაციო კომისია, რომლის მიზანი ქვეყნის ეკონომიკის ომისთვის მომზადება, ფასებზე დაკვირვება და ინფლაციის თავიდან აცილება იყო. ეს კომისია უშუალოდ პრეზიდენტს ექვემდებარებოდა. ამ კომისიის მთავარი მიზანი „კეინსიანური მეთოდების“ (საქონელსა და მომსახურებაზე ერთობლივი მოთხოვნის შემცირება გადასახადების გაზრდისა და ფასი-ხელფასის დარეგულირების გზით) ინფლაციის შეჩერება იყო.

აშშ მეორე მსოფლიო ომში 1941 წლის 7 დეკემბერს ჩაება. მეორე დღესვე ფასები თითქმის ყველა სახის პროდუქციაზე რამდენჯერმე გაიზარდა. ამის საპასუხოდ აშშ ფასებზე კონტროლის ბიუროს ხელმძღვანელმა, ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა და დიპლომატმა ჯონ კენეთ გელბრეითმა სასაქონლო ბირჟების ხელმძღვანელებს დაავალა პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე (ხორბალი, ფქვილი, კვერცხი, შაქარი და სხვ.) ფასების ზრდის შეზღუდვა. ამ გადაწყვეტილებამ მალე გამოიღო სასიკეთო ნაყოფი და ფასების ზრდა შეჩერდა.

ომის პერიოდში აშშ-ის ფასებზე კონტროლის ბიურო შაქრის, ხორცის, ფეხსაცმლის, ბენზინის, ნატურალური კაუჩუკის, ავტოსაბურავების და სხვ. სასურსათო და სამრეწველო დანიშნულების პროდუქციის მკაცრად ნორმირებულ განაწილებას ახდენდა.

მაგალითად, ავტოსაბურავების განაწილების ნორმირებისთვის ბიურომ აღწერა აშშ-ის ტერიტორიაზე

არსებული საბურავები. კერძო ავტომფლობელებს აეკრძალათ ახალი საბურავების შეძენა, ხოლო დანარჩენ მომხმარებლებს (ეკლესიები, სამგზავრო ტრანსპორტი, პოლიცია, სასწრაფო დახმარება) საბურავები ნორმის მიხედვით ეძლეოდათ.

1945 წლის ბოლოს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში მოქმედებდა ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის განყოფილება, რომელსაც ასევე ჯონ კენეტ გელბრეითი ხელმძღვანელობდა. საინტერესოა, რომ 60-იან წლებში პრეზიდენტ ჯონ კენედის ადმინისტრაციაში გელბრეითს ინდოეთში აშშ-ის ელჩის საპასუხისმგებლო პოსტი ეკავა.

## „ბლიცკრიგის" ეკონომიკური უზრუნველყოფა

ფაშისტურ-ბოლშევიკური ქვეყნები კი, რომელთა ეკონომიკა ცენტრალიზებულად მართვადია, როგორც წესი, ომს ყოველთვის კარგად მომზადებული ხვდებიან. ალბათ, იმიტომაც, რომ ომი, გარეშე „მტრის ხატი" და ახალი ტერიტორიების დაპყრობა ამ რეჟიმებისთვის გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს.

ფაშისტურ-ბოლშევიკური დიქტატორული რეჟიმების ეკონომიკა თავიდანვე ომებისთვისაა მომართული. დემოკრატიულმა ქვეყანამ კი უნდა შეასრულოს ძალზე რთული გადასვლა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკიდან ცენტრალიზებულად რეგულირებად ეკონომიკამდე.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთისგან განსხვავებით გაცილებით ნაკლები პრობლემა ჰქონდათ სხვა მეომარ ქვეყნებს: გერმანიას, საბჭოთა კავშირს, იაპონიასა და იტალიას. ამ ქვეყნების მართვის დიქტატორულ-ტოტალიტარული ფორმის გამო ათწლეულების მანძილზე ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვა (რაც ხანგრძლივი და გლობალური ომის დროს გამარჯვების ერთ-ერთი აუცილებელი წინა პირობაა) ადრევე დანერგილი და აპრობირებული ჰქონდათ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიისა და იაპონიის საიდუმლო დოკუმენტებიდან ცნობილი გახდა ომიანობის პერიოდში ამ ქვეყნების მეტად თავისებური და ხშირად ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ.

1940 წელს ბრიტანელ და ამერიკელ სამხედრო ექსპერტებს მიაჩნდათ, რომ გერმანიის ეკონომიკა ფრონტისთვის სრული დატვირთვით, შესაძლებლობების ზღვარზე მუშაობდა. აქედან გამომდინარე, საჰაერო დაბომბვებით მწყობრიდან გამოყვანილ თითოეულ საწარმოს გერმანიის ეკონომიკისათვის უდიდესი ზიანი უნდა მოეტანა.

ომის შემდეგ აღმოჩენილი საიდუმლო დოკუმენტების შესწავლის შემდეგ კი გაირკვა, რომ გერმანიაში 1940 წელს ჯავშანმანქანების წარმოება თვეში საშუალოდ 136, 1941 წელს – 316; 1942 წელს – 516; ხოლო 1943 წელს, როდესაც მოკავშირეებმა გერმანიის ტერიტორიის სისტემატური დაბომბვა დაიწყეს, თვეში უკვე 1005 ცალი იყო. ჯავშანმანქანების წარმოებამ მაქსიმალურ დონეს — 1583 ცალს, 1944 წელს მიაღწია. ანალოგიური სურათი იყო თვითმფრინავების და სხვა შეიარაღების წარმოებაშიც.

ამ დროს კი, 1941 წლის მონაცემებით, მხოლოდ დიდი ბრიტანეთის სამხედრო მრეწველობა თვითმფრინავების წარმოებით ორჯერ, ხოლო ტანკების წარმოებით 1,5 ჯერ აღემატებოდა გერმანიის შესაბამის მაჩვენებლებს.

საიდუმლო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ გერმანიის ეკონომიკა სრულად შეესაბამებოდა მის სამხედრო დოქტრინა „ბლიცკრიგს". კერძოდ, გერმანია, სხვა მეომარ ქვეყნებთან შედარებით იარაღის მცირე რაოდენობას აწარმოებდა, ავსებდა შეიარაღების გარკვეულ მოცულობას, რომელსაც სრულად იყენებდა უეცარი და მოულოდნელი შეტევის დროს და მომავალ შეტევით ოპერაციამდე „სულს ითქვამდა". შემდეგ კვლავ ავსებდა იარაღისა და ტყვია-წამლის გარკვეულ მოცულობას და ა.შ.

თუ შეტევითი ოპერაცია წარმატებით ვითარდება და იარაღის მარაგის შესავსებად პაუზაც საკმარისია, მაშინ რა აუცილებელია მთელი ეკონომიკის სამხედრო პროდუქციის წარმოებით ძალზე გადატვირთვა?

ამგვარი ტაქტიკა პარალელურად ფართო მოხმარების პროდუქციის სტაბილურად წარმოების საშუალებასაც იძლევა.

ასე იყო მეორე მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე. შემდეგ კი გამოჩნდა, რომ გერმანიის ეკონომიკა ლოკალურ ომსა და სწრაფ გამარჯვებაზე იყო „მომართული" და ხანგრძლივი, ტოტალური ომისთვის მზად არ იყო.


ჯონ მეინარდ კეინსი


მოქნილი ეკონომიკური პოლიტიკით აშშ-მა სწრაფად შეძლო წარმოების სამხედრო რელსებზე გადაყვანა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ტელესკოპური" ჭურვები

მრავალი ქვეყნის არმიაში ქვეითთა საბრძოლო მანქანებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ გამოჩენილმა ჯავშანტექნიკის ამ სახეობამ საბრძოლო მოქმედებების წარმოებაში ცვლილებები შეიტანა. სსრკ მსოფლიოში პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც შეიარაღებაში ქვეითთა საბრძოლო მანქანა მიიღო და 73 მმ-იანი ქვემეხით აღჭურვილი БМП-1 საბჭოური არმიის რიგებში 1966 წელში გამოჩნდა.

დასავლური ქვეყნები საბჭოური ნოუ ჰაუს ყურადღებით აკვირდებოდნენ და საკუთარ პროექტებსაც ამუშავებდნენ. 1970 წელს გერმანიამ, 3 წლის შემდეგ კი საფრანგეთმა, საკუთარი ქვეითთა საბრძოლო მანქანები, შესაბამისად, Marder I და AMX-10P შეიარაღებაში მიიღეს. საბჭოური ანალოგისგან განსხვავებით, ევროპელმა კონსტრუქტორებმა ისინი 20 მმ-იანი ავტომატური ქვემეხებით შეაიარაღეს.

გავიდა დრო და პოტენციური მოწინააღმდეგის გაძლიერებული დაცვის მქონე ჯავშანტექნიკის წინააღმდეგ 20 მმ-იანი ჭურვების გამტანობა უკვე აღარ კმაროდა. სსრკ ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც შეიარაღებაში 1980 წელს მიღებულ ახალ БМП-2-ზე 30 მმ-იანი ქვემეხი გამოიყენა.

მასიურობითა და ეფექტურობით 30 მმ-იანი საბჭოური ჭურვები და ქვემეხები მსოფლიო შეიარაღების არენაზე დიდხანს დომინირებდნენ. თუმცა თანდათანობით ხარვეზები მათაც გამოუჩნდა.

80-იანი წლების ბოლოსთვის ნათელი გახდა, რომ საბრძოლო დავალების ეფექტური შესრულებისთვის სახმელეთო ჯარების მსუბუქი ჯავშანტექნიკა 40-45 მმ-იანი ქვემეხებით შეიარაღებას საჭიროებდა. სავარაუდო მოწინააღმდეგის ტექნიკის შეჯავშნის დონის ზრდასთან ერთად, ეს გარემოება თავად 30 მმ-იანი ჭურვების სუსტმა მხარეებმა განაპირობა.

ასაფეთქებელი ნივთიერების მცირე მასის (48,5 გ) გამო, მსხვრევად-ფუგასურ-ცეცხლგამჩენი ჭურვის აფეთქებისას წარმოქმნილი დამაზიანებელ ელემენტთა რიცხვი მცირეა. ფხვიერ გრუნტში ან ქვიშაში მოხვედრისას, მსხვრევადი ეფექტი კიდევ უფრო იკლებს. გამოსავლის პოვნა საჰაერო დეტონაციის (პროგრამირებადი) ჭურვების გამოყენებით შეიძლება. თუმცა 25-30 წლის წინანდელი ტექნიკის დონე 30 მმ-იანი ჭურვებში მსგავსი ინოვაციის რეალიზაციის საშუალებას არ იძლეოდა. ამიტომაც კონსტრუქტორებმა უფრო მარტივი გზა აირჩიეს და ავტომატური ქვემეხების კალიბრი გაზარდეს.

შვედებმა პირველებმა მოსინჯეს ქვეითთა საბრძოლო მანქანაზე 40 მმ-იანი ქვემეხი. 1993 წელს შეიარაღებაში მიღებული CV90 ამ კალიბრის ჭურვებს მოიხმარდა.

კალიბრის გაზრდით შეძენილი უპირატესობა აშკარა იყო. მასრაში დენთის მოცულობისა და გასროლისას წარმოქმნილი ენერგიის ზრდასთან ერთად, გაიზარდა ჭურვების ჯავშანგამტანობა და ფუგასური ეფექტი. თუმცა დადებითთან ერთად, კონსტრუქტორები უარყოფით მხარესაც წააწყდნენ. მთავარი პრობლემა საბრძოლო კომპლექტის განთავსება იყო. ნებისმიერი ტიპის საბრძოლო მასალის კალიბრის ზრდა ჭურვის (ან ტყვიის) დიამეტრთან ერთად, მასრის სიგრძესაც ზრდის. შესაბამისად, ანალოგიური რაოდენობის საბრძოლო მასალის განთავსებას უფრო დიდი სივრცე სჭირდება.



40 მმ-იანი ქვეკალიბრული ტელესკოპური ჭურვი და მის მიერ გახვრეტილი ჯავშნის ფილა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მცირეკალიბრიანი საარტილერიო სისტემებისგან განსხვავებით, ცეცხლსასროლი იარაღის კონსტრუქტორებმა ვაზნებიდან მასრის ამოღება გადაწყვიტეს. იდეის ავტორთა ჩანაფიქრით, უმასრო საბრძოლო მასალა იარაღის საკეტს ამარტივებს, რომელსაც გასროლის შემდეგ სახაზინო ნაწილიდან ცარიელი მასრის ამოღებისა და მისი იარაღიდან გადაგდების ფუნქცია ეკარგება. სწრაფსროლის გაზრდასთან ერთად, ეს ტექნიკური ცვლილება როგორც იარაღის, ასევე საბრძოლო მასალის წონას შეამცირებდა. მაგრამ იდეის რეალიზაციას წინ ტექნიკური სირთულეები აღუდგა. მთავარი პრობლემა საიმედო აბტურაციაა (ჰერმეტულობის დაცვა).

ჩვეულებრივ იარაღში გასროლისას დენთის წნევით გაფართოებული მასრა სახაზინო ნაწილს ებჯინება და დენთის აირების „გაპარვას" ეწინააღმდეგება. მარტო საკეტს საიმედო აბტურაციის უზრუნველყოფა არ შეუძლია.

70-იან წლებში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უმასრო ვაზნებსა და შესაბამის ცეცხლსასროლ იარაღზე დაიწყეს მუშაობა. თეორიულად, იარაღის გამარტივებასთან ერთად, პროექტის რეალიზაცია ჯარისკაცის საბრძოლო მარაგს გაზრდიდა. Heckler&Koch-ის მიერ შემუშავებული G11-ის ტიპის ავტომატი მთლიანად დაწვად მასრიან ვაზნებს მოიხმარდა. ოპტიმალური პარამეტრების მიღწევა გერმანელმა მეიარაღეებმა მხოლოდ უმასრო ტყვიის მე-7 ვარიანტზე შეძლეს. ერთჯერად პლასტიკურ მჭიდში მართკუთხა ფორმის (8x8x32,8 მმ) 50 დენთის მუხტი თავსდებოდა. თავად 4,73 მმ-ის კალიბრის ტყვია მთლიანად დენთის მუხტში იყო ჩამალული.

G11-ის საგამოცდო პროტოტიპი 1983 წელს დამზადდა. სამი წლის შემდეგ ახალი ტიპის იარაღი ბუნდესვერს შეიარაღებაში უნდა მიეღო. თუმცა გამოცდისას გამოვლენილმა ხარვეზებმა ეს პროცესი შეაჩერა. ინტენსიური სროლისას მაღალი ტემპერატურის პირობებში რამდენჯერმე უმასრო ვაზნების თვითაალება დაფიქსირდა. პროექტი წარუმატებლად ჩაითვალა და 90-იანი წლების დასაწყისში დაიხურა.

გამოსავალი ერთობ უნიკალური კონსტრუქციის მქონე „ტელესკოპურ" ჭურვებში გამოინახა.

ტრადიციულისგან განსხვავებით, მათში ჭურვი მთლიანად მასრის შიგნით თავსდება. ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელიც ჭურვის გატყორცნას უზრუნველყოფს, ამ უკანასკნელსა და მასრის კედლებს შორის არსებულ სივრცეში თავსდება. მსგავსი სქემით როგორც მსხვრევად-ფუგასური, ასევე ქვეკალიბრულ-ჯავშანგამტანი ჭურვები მზადდება. ვიზუალურად ასეთი ნოუ ჰაუ ალუმინის ქილას წააგავს. „ტელესკოპური" კონსტრუქციით მიღწეული კომპაქტურობით, მოცემულ სივრცეში ანალოგიური კალიბრის გაცილებით მეტი საბრძოლო მასალა თავსდება. მაგალითად, ფირმა Bofors-ის სტანდარტული 40 მმ-იანი ჭურვის პარამეტრები 40x365 მმ-ია. მაშინ როდესაც ანალოგიური კალიბრის „ტელესკოპური" ჭურვისთვის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 40x225-მმ-ია.

„ტელესკოპური" ჭურვები სრულიად ახალი ტიპის ქვემეხებს საჭიროებენ. მათში ახალი გასროლის მი-

*5.56 მმ-იანი კალიბრის საბრძოლო მასალები. (მარცხნიდან მარჯვნივ) სტანდარტული ვაზნა, ტელესკოპური ვაზნა პლასტმასის მასრით და ტელესკოპური უმასრო ვაზნა*



წოდება და ცარიელი მასრის ამოღება სახაზინო ნაწილის გვერდზე არსებული დოლურა მექანიზმით ხდება. სპეციალისტთა ნაწილი, ქვემეხების კონსტრუქციის გართულებასთან ერთად, „ტელესკოპური" ჭურვების ნაკლად მათ დიდ ღირებულებასაც ასახელებს. თუმცა ამ შემთხვევაში ღირებულების გაზრდილი კალიბრი ანაზღაურებს — სამიზნის განადგურებას ნაკლები ჭურვები სჭირდება.

ახალი ტიპის ქვემეხებისთვის შვედებმა ორი ვარიანტის „ტელესკოპური" ჭურვი დაუკვეთეს. პირველი — APFSDS-T ჯავშანგამტანი ქვეკალიბრული ტიპისაა და 1,8 კგ-ს იწონის. მწარმოებლების თქმით, 1500 მ-ის დისტანციაზე წაგრძელებულგულარიანი ჭურვი 150 მმ სისქის ჰომოგენურ ჯავშანს ხვრეტს. მეორე ტიპის მსხვრევად-ფუგასური ჭურვი (GPR) 2,2 კგ-ს იწონის და ლულიდან 1000 მ/წმ (3600 კმ/სთ) სიჩქარით გამოიტყორცნება. 30 მმ-იან ჭურვთან შედარებით აფეთქებისას მისი დაზიანების არეალი თითქმის 2-ჯერ დიდია.

ამერიკელები ერთ-ერთი პირველები იყვნენ, რომლებმაც გასული საუკუნის 70-იან წლებში „ტელესკოპურ" მცირეკალიბრიან საარტილერიო სისტემებზე დაიწყეს მუშაობა. მაგრამ მრავალი ტექნიკური პრობლემის გამო 40 მმ-იანი ჭურვის რეალური პროტოტიპი არცთუ ისე დიდი ხნის წინ შეიქმნა. გამოცდის დროს ახალი CTWS-ის ტიპის 40 მმ-იანი ქვემეხით ბრიტანელებიც დაინტერესდნენ.

XXI საუკუნის დასაწყისში, ბრიტანეთის თავდაცვის უწყებამ სამამულო Warrior-ის ტიპის ქვეითთა საბრძოლო მანქანების მოდერნიზაცია გადაწყვიტა. სტანდარტული 30 მმ-იანი ქვემეხის ერთ-ერთი ალტერნატივის სახით სწორედ ამერიკული 40 მმ-იანი ტელესკოპური სისტემა განიხილებოდა. 2011 წელს პოლიგონზე პირველად გამოჩნდა ამერიკული ფირმა Lockheed Martin-ის მიერ დამზადებული კოშკურიანი მოდერნიზებული „ვარიორი". 40 მმ-იანი ქვემეხის ჭურვის ზომაა 40x225 მმ-ია. თუმცა მისი ჯავშანგამტანობა სტანდარტული 40 მმ-იანი Bofors-ის ქვემეხის „კლასიკური" ჭურვის ანალოგიურია.

ამერიკული ტელესკოპური ჭურვებით ფრანგებიც დაინტერესდნენ და ერთ-ერთი ვერსიით CTWS-ის ტიპის 40 მმ-იანი ქვემეხით ფრანგული ჯავშანტრანსპორტიორის, VBC-ს შეიარაღება იგეგმება.

ქვეითთა საბრძოლო მანქანების საარტილერიო სისტემების საცეცხლე შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით რუსებიც მუშაობენ. მწარმოებელთა განცხადებით, ერთ-ერთ მოდიფიკაციაში პერსპექტიული რუსული ქვეითთა საბრძოლო მანქანა Курганец-25 ტელესკოპური ჭურვების გამოყენებაზე მორგებული 45 მმ-იანი ქვემეხით იქნება შეიარაღებული.

**ალექსანდრე აფაქიძე**







უმასრო საბრძოლო მასალები 125 მმ-იან სატანკო ქვემეხებში გამოიყენება. T-64-დან მოყოლებული, ყველა საბჭოურ/რუსულ ტანკზე დატენის განცალკევებული პრინციპი გამოიყენება. ქვემეხში ჯერ ჭურვი, შემდეგ კი ასაფეთქებელი ნივთიერებით სავსე მასრა იდება. მისი კორპუსი მთლიანად დაწვადი მასალისგან მზადდება. აბტურაციის ამოცანას მასრის ლითონის ქვეში (ძირი) უზრუნველყოფს. გასროლისა და ქვემეხის სახაზინო ნაწილის გაღების შემდეგ ქვეში სპეციალურად განკუთვნილ ადგილას ვარდება.



# Leopard 2A6

მასა — 62 ტ
სიგრძე ქვემეხით — 10.97 მ
კორპუსის სიგრძე — 7,7 მ
სიმაღლე — 3 მ
ეკიპაჟი — 4 კაცი

ძრავის ძალა — 1 500-ძ. ძალიანი
მაქსიმალური სიჩქარე გზაზე — 68 კმ/სთ-ში
სვლის მარაგი — 500 კმ
შეიარაღება — 120 მმ-იანი გლუვლულიანი ქვემეხი
ორი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

# ყველგანმავლები წმინდა მიწიდან



უნიკალური მაღალგამავლობის მქონე Desert Raider-ი: ცარიელი მასა — 1450 კგ, სასარგებლო დატვირთვა — 1200 კგ, სიჩქარე — 110 კმ/სთ-მდე

ისრაელის თავდაცვის არმიაში („ცახალი") საავტომობილო პარკის დიდი ნაწილი სამამულო წარმოების ავტომობილებს უკავიათ.

ქვეყნის ავტოწარმოების საფუძველი პირველ 1950 წელს ჩაეყარა, როცა ბიზნესმენმა ეფრაიმ ილინმა ამერიკული კომპანია Kaiser Motors-ის ხელმძღვანელი პირი კაიზერი ისრაელში ავტომობილების აწყობის ქარხნის აგებაზე დაითანხმა. საწარმოს მშენებლობა 1951 წელს ქალაქ ხაიფაში დაიწყო და ორი წლის შემდეგ კონვეიერიდან პირველი მსუბუქი ავტომობილი Henry J ჩამოვიდა, თუმცა გარკვეული ხარვეზების დასაფარად ისრაელში აწყობილი ავტომობილების უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთ იყიდებოდა. მას შემდეგ, რაც კაიზერმა კომპანია Willys-ი იყიდა, ისრაელის ქარხანა მეტად რთულებით CJ-3B მოდელის „ჯიპებსაც" აწყობდა. 1954 წელს კაიზერი გაკოტრდა და ამის მიუხედავად, ისრაელის ქარხანა Kaiser-Ilin-ის სახელით „ჯიპების" გამოშვებას ისევ განაგრძობდა.

1955 წლის შემდეგ საწარმო „ჯიპის" M38A1 მოდელის (სამხედრო ვარიანტი CJ-5) დამზადებაზე გადაე- და, რისთვისაც ამერიკიდან იმპორტირებულ ძრავას და აგრეგატებს იყენებდა.

თავისა, ბრეზენტისტენტიანს სტანდარტულ ავტომობილებს ისრაელის არმიაში პოპულარობა მალე დაიმსახურეს და გამოიყენებოდა მრავალმხრივი მიზნებისა. „ჯიპები" სამხედრო, სამეთაურო, სადაზვერვო და სასანიტრო მანქანების მოვალეობებს თავის კარგად ართმევდნენ.

ლია ძარა მსუბუქი, კომპაქტური იარაღის — ტყვიამფრქვევების, ან ტანკსაწინააღმდეგო 106 მმ-იანი უუკუცემო ქვემეხის M40A2-ის, ან ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსების — Cobra-სა და TOW-ს ტარებაზე იყო გათვლილი.

1971 წელს ამერიკაში M38A1-ის გამოშვება შეწყდა, თუმცა ისრაელი ავტომობილებს ერთხანს მაინც აწყობდა.

ხაიფური „ჯიპები" მონაწილეობდნენ არაბებთან — 1956, 1967, 1973 და 1982 (ლიბანში) წლების ომებში, აგრეთვე მრავალრიცხოვან ანტიტერორისტულ ოპერაციასა თუ რეიდში.

კომპანია Kaiser-Ilin-ი სიცოცხლისუნარიანი არ აღმოჩნდა და 1968 წელს გაკოტრებული წარმოება კომპანია Otocars-მა იყიდა, რომელიც 1952 წლიდან ხაიფაში ავტობუსებს აწარმოებდა. თუმცაღა გაკოტრებას ვერც Otocars-ი გადაურჩა და 1971 წელს ქალაქ ნაზარეთ-ილითში მოქმედმა საავტომობილო კომპანია AIL-მა (Automotive Industries Ltd) შეიძინა, რომლის პროდუქციაშიც მთავარი ადგილი სამხედრო ავტომობილებს უკავია.



1,8-ტონიანი Command Car M37 ბრეზენტის ტენტით იყო დახურული და სრულად შეიარაღებულ 12 ჯარისკაცს იტევდა







ისრაელში დამზადებული M-325 Command Car-ი

კომპანიამ საქმიანობა 60-იანი წლების მეორე ნახევარში Dodge Power Wagon WB300 მოდელის გამოშვებით დაიწყო. შეიარაღებაში მანქანა Command Car M37-ის დასახელებით არის ცნობილი და „ცახალში" სამეთაურო, სადაზვერვო (შეიარაღება — სამი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი FN MAG-ი), ტანკსაწინააღმდეგო (4 მართვადი რაკეტა SS.11) და სარაკეტო („ხმელეთი-ხმელეთი" კლასის ორი Luz-ის ტიპის რაკეტა) მანქანის ფუნქციებს ასრულებდა.

აშშ-ში WB300-ის გამოშვების შეწყვეტის შემდეგ AIL-მა ისევ „დოჯის" ბაზაზე საკუთარი კონსტრუქციის ძარითა და კომპონენტებით მოდელი M-325 Command Car-ი მოამზადა.



1975 წლიდან წარმოება გაუმჯობესებულ M-325S-ის გამოშვებაზე გადაიყვანა, რომელსაც ახალი ხიდები, მუხრუჭები, გაზრდილი ტევადობის საწვავის ავზები, გადაკეთებული ღიობი ძარა და 4,5-ტონიანი ჯალამბარი დაუმატა.

1991 წლიდან კომპანია მომდევნო თაობის „ჯიპის" Storm M240-ის წარმოებას შეუდგა. ახალ მოდელში Jeep Wrangler YJ-ის აგრეგატებია გამოყენებული, მაგრამ ბაზა ძველი „ჯიპების" CJ-7/CJ-8-ის დარჩა.

ამერიკაში გამოშვებული ძრავის გამოკლებით, მასში გამოყენებული ყველა დანარჩენი აგრეგატი თუ დეტალი ისრაელშია წარმოებული.

ავტომობილის ექსპლუატაცია ცხელი კლიმატურ პირობებზეა გათვლილი და −25-დან +50 გრადუსის ფარგლებშია დაშვებული.

სპეციალურად ისრაელის სასაზღვრო ძალებისთვის უდაბნოში საზღვრების საპატრულოდ მაღალგამავლობიანი ავტომობილები მზადდება. საჭიროების შემთხვევაში მისი შეიარაღება ან სამეთაურო მანქანად გამოყენებაც შეიძლება.

არეულობის ალაგმვისთვის დამზადებულ მოდიფიკაციას კი საბურავის გასწვრივ პოლიკარბონატის დამცავი ეკრანი დარაზის და ცეცხლსასროლი იარაღისათვის ძარის უკანა ნაწილში ამბრაზურა აქვს გამოჭრილი.

დამცავი ეკრანი გარე სიდრეზე დაკვირვებას ხელს არ უშლის და ჯარისკაცებს დემონსტრანტთა ნასროლი ცეცხლგამჩენითიანი ბოთლებისა და ქვებისგან იცავს.

თანამედროვე მასალებით დაჯავშნული მანქანის ეკიპაჟი 7,62 მმ-იან ჯავშანსაჭრელ ტყვიებს უძლებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა



*Storm M240 MkIII - „სტორმებს“ ისრაელელი სამხედროები უდაბნოსა და დასერილ რელიეფზე სადაზვერვო, საპატრულო, საშტაბო, სამეთაურო, მოძრავ რადიოსადგურად და სხვა დანიშნულებით იყენებენ*

სპეციალურად ქუჩის ბრძოლებზეა გათვლილი. აქვს კომპიუტერიზებული ძრავა, რომელიც მძღოლს წონასა და სიჩქარეს შორის ოპტიმალურ თანაფარდობას შენარჩუნებაში ეხმარება.

აღმოსავლეთის ქალაქებისთვის დამახასიათებელი ვიწრო ქუჩების გათვალისწინებით „სტორმისთვის“ სპეციალურად პატარა სიგანე შეირჩა, ხოლო ქვეითთა სწრაფი გაშლისთვის ძარის უკანა ნაწილში ფართო კარია ჩაყენებული.

2006 წელს „ცახალს“ ავტომობილის მომდევნო მოდელი Storm MkII გადაეცა. მანქანას მომატებული მდგრადობა (განიერი ღერძების ხარჯზე), დაკიდების ახალი სისტემა, უსაფრთხოების ბალიშები, კონდიციონერი და სხვა სიახლეები ჰქონდა, მაგრამ მისი წარმოება მალევე შეწყდა. ახლო აღმოსავლეთის პირობებში მანქანის ჩარჩომ არ გაამართლა.

2008 წელს გამოჩნდა კიდევ ერთი მოდელი Storm MkIII ხუთკარიანი ძარით, გაძლიერებული ამორტიზატორებით, ავტომატურ გადაცემათა კოლოფით და ა.შ.

თუმცა 2000-იანი წლების შუაში „ცახალმა“ შეიარაღებაში რატომღაც Land Rover Defender-ის აგრეგატებზე აწყობილი დაჯავშნული MDT David-ი მიიღო, რის გამოც AIL-ისგან პროტესტი დაიმსახურა.

1978 წელს AIL-ში ტაქტიკური დანიშნულების მსუბუქი სატვირთო ავტომობილის M-462 Abir-ის (4X4) პრეზენტაცია შედგა და მას შემდეგ მისი წარმოება გრძელდება.

„აბირის“ სტანდარტული ვერსია თავლია კაბინაძარა ძალზე მოსახერხებელია ტყვიამფრქვევების, ან უუკუგორებო ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის, ან ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტის დასაყენებლად.

კომპანია ავტომობილს ლითონის დახურული ძარითაც ამზადებს და კაბინაში წინა მგზავრის ადგილზე ტყვიამფრქვევიანი ტურელია დაყენებული. ლითონის ძარით ასევე სამედიცინო და სახანძრო ავტომობილები მზადდება.

მთლიანად დაჯავშნული M-462 Rhino კი პატრულირებისთვის, მასობრივ არეულობათა აღსაკვეთად და სპეციალური ოპერაციებისთვისაა განკუთვნილი.

1975 წელს კომპანია RAMTA-მ (Israel Aerospace Industries-ის განყოფილება) დაზვერვისა და პატრულირებისთვის შექმნა და მცირე რაოდენობით დაამზადა საბრძოლო სადაზვერვო მანქანა RBY MkI-ი.

1979 წლიდან კომპანია მომდევნო მოდელის RAM-ის გამოშვებაზე გადავიდა. ავტომობილს დიზელის ძრავა, ავტომატური ტრანსმისია და დიდი დიამეტრის საბურავები ჰქონდა. მანქანა გრძელ და მოკლე ბაზაზე თავლია (V-1) და დახურული (V-2) კორპუსით მზადდებოდა.

შეიარაღების მხრივ ავტომობილს შეუძლია 52 მმ-იანი ნაღმსატყორცნის, შეწყვილებული 20 მმ-იანი საზენიტო ავტომატის, ტანკსაწინააღმდეგო უუკუგორებო ქვემეხის ან მართვადი რაკეტის ტარება.

კომპანიის ბოლო ნამუშევარს ავტომობილს RAM 2000-ს დაბალი სილუეტი, პროფილი და სიმძიმის ცენტრი ახასიათებს.

კომპანია Plasan Sasa Ltd ერთ-ერთ კიბუცში 1985 წლიდან მუშაობს და ავტომობილების დაჯავშნით არის დაკავებული. კომპანიის ერთ-ერთი საინტერესო ნამუშევარი დაბალპროფილიანი ჯავშანავტომობილი Caracal-ი „ცახალის“ შეიარაღებაში შედის.

მანქანაში ფოლადის, კერამიკისა და კომპოზიტური მასალების მოდულური ჯავშანია გამოყენებული, რაც დაჯავშნის დონის ვარირების საშუალებას იძლევა.

გამორჩეული წარმატება აქვთ ისრაელელ ავტომშენებლებს ისეთი სპეციფიკური მანქანების წარმოებაში, როგორიც „ბაგია“ და რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, სამხედრო დანიშნულების „ბაგები“ სერიულად მზადდება.

უნიკალური მახასიათებლებით გამოირჩევა ავტომობილი Desert Raider-ი (6X6), რომელიც სპეციალური ძალების მოთხოვნით მოწინააღმდეგის ზურგში ოპერატიული საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად შეიქმნა.

ავტომობილი ნებისმიერი სახის რელიეფზე განსაკუთრებულ მობილურობას, გამავლობისა და მანევრულობის დიდ უნარს აჩვენებს.

ამ ავტომობილს „ბაგისთან“ ბევრი საერთო აქვს და გარეგნულადაც ძალიან ჰგავს, თუმცა შესაძლებლობების მხრივ მათ შორის დიდი სხვაობაა.

Desert Raider-ი მოძრაობს იმ შემთხვევაშიც კი, როცა მიწას მხოლოდ ერთი ბორბალი ეხება. შეუძლია 70-გრადუსიან ფერდობებზე ასვლა, 60 სმ სიმაღლის ბარიერებზე გადასვლა, ყოველგვარი მომზადების გარეშე 70 სმ სიღრმის წყლის დაბრკოლებათა დაძლევა. გამორიცხული არ არის, რომ ზოგიერთი მახასიათებელი რეკლამის მიზნით გადაჭარბებული იყოს.

AIL-ის სპეციალისტებმა ავტომობილისთვის შექმნეს ოთხბორბლიანი უკანა ურიკა, სადაც ბორბლების თითოეულ წყვილს დამოუკიდებელი დაკიდება აქვს და ცალკეულ ბორბალს კორპუსის მიმართ ვერტიკალურ სიბრტყეში დიდ შუალედში გადაადგილება შეუძლია.

მძღოლის ადგილი შუაში წინა მხარესაა, ხოლო გვერდებზე და უკან მეტყვიამფრქვეველთა საცეცხლე წერტილებია მოწყობილი. გათვალისწინებულია სხვა სახის კომპაქტური შეიარაღების დაყენებაც.

1990 წლიდან კომპანია Tomcar LTD „ბაგის“ ტიპის სამხედრო დანიშნულების ავტომობილებით არის დაკავებული და ამჟამად TM სერიის (4X4) ერთიდან ხუთადგილიან მოდელებს ამზადებს როგორც კარბურატორიანი, ასევე დიზელის ძრავებით. აქვს ფოლადის მილებისგან შედუღებით დამზადებული გამძლე ჩარჩო-კორპუსი ოთხი გაძლიერებული სიმტკიცის საბურავით. კომპანია შემკვეთებს სთავაზობს „ბაგის“ დაჯავშნულ, უპილოტო და შეიარაღებულ ვერსიებს. ამ უკანასკნელზე შესაძლებელია ტყვიამფრქვევის ან ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტის, ან ავტომატური ყუმბარსატყორცნის დაყენება.

ისრაელის არმიაში „ბაგების“ სამსახური სპეციფიკურია და ძირითადად პატრულირებით შემოიფარგლება, მაგრამ უფრო ფართოდ სამოქალაქო სექტორში იყენებენ, სადაც საპოლიციო, სახანძრო თუ სამაშველო სამსახურებისთვის საუკეთესო სატრანსპორტო საშუალებაა.

**თემურ ჩაჩანიძე**




*კომპანია Tomcar Ltd-ს „ბაგის“ ტიპის ავტომობილები*



ეროვნული ბიბლიოთეკა



# დაქირავებული ჯარისკაცის „აღსარება“ ანუ რუსული ბალანსი

**დასასრული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N13, 2013**

**ნაწილი II**

## მიზანშია გერანბოის ბატალიონი

1993 წლის თებერვალში ჩვენი რაზმი მტერს სარანსაგის წყალსაცავის სამხრეთ ნაპირისკენ უტევდა. მთავრდებოდა მარდაკერტის რაიონის გამათავისუფლებელი ბრძოლები, როცა მეგრიანს სოფლების, ატერკისა და უმუთლუს გათავისუფლება დაავალეს.

გავგზავნეთ დაზვერვა. ორი დღის შემდეგ ბიჭები დაბრუნდნენ და მოგვახსენეს: აზერბაიჯანელებს Д-30-ის ბატარეა, ჯავშანტექნიკის 5-6 ერთეული, ბევრი ავტომობილი და 400 ჯარისკაცი ჰყავდათ, ჩვენ კი მხოლოდ ოცდახუთნი ვიყავითო.

შაგენმა ერთი მაგრად შეუკურთხა უფროსობას, მაგრამ რა უნდა ექნა? ბრძანება ბრძანებაა, უნდა შეესრულებინა.

გადავწყვიტეთ, სტრატეგიული მნიშვნელობის შარაგზის გადაკეტვა, რომელიც გერანბოის, მარდაკერტისა და ქელბაჯარის რაიონებს აერთიანებდა. მახსოვს, როგორ მივათრევდით საბრძოლო მარაგს მომავალი ბრძოლის ადგილისაკენ 40 სთ-ის განმავლობაში 36 კმ-ზე. მივდიოდით წელამდე თოვლში. როცა სამალავები მოვაწყვეთ, უკან მომდევნო პარტიის წამოსაღებად დავბრუნდით. მეორეჯერ იგივე მანძილი 12 სთ-ში დავფარეთ. გაკვალულ თოვლში სიარული უფრო ადვილი იყო. მესამედ 36 კმ-ის გავლას მხოლოდ 10 სთ მოვანდომეთ.

ღამით დავისვენეთ. დილით კი გზაზე ორი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი დავაყენეთ. მიწა გაყინული იყო და ნაღმები ვერ ჩავმარხეთ. ანდრეიმ იგი თეთრი

პერანგით შენიღბა — ვითომ გზაზე თოვლის პატარა გროვა ეგდო.

მალე ერთ-ერთ ნაღმზე **ЗИЛ-131** აფეთქდა. აფეთქებამ მძღოლი კაბინიდან გამოტყორცნა და ჩვენ ის დავატყვევეთ. მეორე ავტომობილმა დანაღმული ადგილი უვნებლად გაიარა, მაგრამ მე ჩემი „მალიუტკით" ავაფეთქე. სამი სთ-ის შემდეგ ისევ გამოჩნდა „ზილი" და იმასაც მოვახვედრე.

აზერბაიჯანელები აწრიალდნენ. საღამო იყო, როცა უმუთლუს მხრიდან ასამდე ჯარისკაცი გამოჩნდა და ადგილმდებარეობის გაჩხრეკას შეუდგნენ. წინ უძღოდათ რამდენიმე ნაღმმძებნელი, უკან კი ორი **БМП-1** და **ГАЗ-66** მოჰყვებოდათ. ჩვენი თხუთმეტი მებრძოლი ჩასაფრებული იჯდა იქ, სადაც გზა თავისებურ „ჯიბეს" ქმნიდა.

მე და მეგრიანი პატარა გორაკის თავზე ვიყავით ჩასაფრებული, აქედან „მალიუტკას" დიდი ასპარეზი ეშლებოდა. ჩასაფრებულები დაგვიკავშირდნენ და დახმარება გვთხოვეს, რომ აზერბაიჯანელები „ჯიბეში" შეგვემწყვდია, რათა მათ კარგად „წაემუშავათ".

მოწინააღმდეგის გამოჩენიდან ათი წუთის შემდეგ ინტენსიური სროლა დაიწყო. ბიჭებმა დაახლოებით 70 აზერბაიჯანელი გაანადგურეს. როგორც შემდეგ გავარკვიეთ, დახოცილები აზერბაიჯანის ეროვნული არმიის გერანბოის ბატალიონის მებრძოლები იყვნენ.

მთელი ღამე პოზიციაზე გავატარეთ. სარანსაგის წყალსაცავის მეორე ნაპირიდან ჩვენს პოზიციებს აზერბაიჯანელები „გრადისა" და ორი ტანკის ჭურვებით ბომბავდნენ.

დილით კი საეჭვო სიჩუმემ დაისადგურა. გასაკვირი იყო, ჩვენგან 6 კმ-ის მოშორებით ხომ მოწინააღმდეგის ბატარეა იდგა. ჩვენი პოზიციიდან კარგად ჩანდა მათი სამი ქვემეხი და ექვსი „კამაზი". მთელი დღე ვაკვირდებოდით, მაგრამ სიცოცხლის ვერავითარი ნიშანი ვერ აღმოვაჩინეთ.

შაგენმა მზვერავები გაგზავნა ატერკ-უმუთლუს მიმართულებით, რომლებიც მეორე დილისთვის დაბრუნდნენ. მათ მიტოვებული ტექნიკის სიახლოვეს მოწინააღმდეგე ვერ აღმოაჩინეს. მეთაურმა ყოველი შემთხვევისათვის რამდენიმე მებრძოლი ბაზისკენ გაუშვა საბრძოლო მარაგის შესავსებად.

ექვსი საათის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ და თქვეს, რომ აზერბაიჯანელების კვალი ნახეს. გაირკვა, რომ მოწინააღმდეგე ჩვენ მიერ გაკვალული ბილიკით გასულა ბრძოლის ველიდან. დავუკავშირდით შტაბს და მოვახსენეთ, რომ ატერკი და უმუთლუ გავათავისუფლეთ. მათთვის ეს ისეთი მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ თავიდან ხუმრობა ეგონათ.

მოგვიანებით გავიგე, რომ ეს ბრძოლა ალექსანდრ ნევზოროვს (90-იანი წლების პოპულარული რუსი ტელეჟურნალისტი) გადაუღია, რომელიც აზერბაიჯანელთა მხარეს იყო.

1993 წლის მარტამდე ჩვენს რაზმში თითქმის მუდმივად 25 კაცი ირიცხებოდა. ხალხი, როგორც წესი, სამი თვის შემდეგ იცვლებოდა. მარტის ბოლოს მეგრიანი ერევანში გაფრინდა, სადაც ხელი მოაწერა ჩვენი პარტიზანული რაზმის სომხეთის თავდაცვის სამინისტროს საგანგებო დანიშნულების რაზმად გადაკეთების დოკუმენტებს. ამის შემდეგ დაიძრა ჩვენკენ მოხალისეებისა და დაქირავებულების დიდი ნაკადი და აპრილის შუა რიცხვებში ჩვენს შენაერთში უკვე 600 კაცი ირიცხებოდა. შაგენთან ხალხი დიდი ხალისით მოდიოდა, მის რაზმში ყოფნა საამაყოდ ითვლებოდა.

1993 წლის 13 აპრილს გავათავისუფლეთ შაგენის მშობლიური სოფელი გულისტანი და შაუმიანს მივადექით. გულისტანს აზერბაიჯანელთა ორი ოცეული იცავდა, რომლებმაც პოზიციები მიატოვეს და უკან დაიხიეს. ასე რომ, სოფელი უბრძოლველად დავიკავეთ.

15 აპრილს დილით რადიოთი დაგვიკავშირდა ანდრეი. თქვა, რომ მისკენ მოწინააღმდეგის **БМП** და ავტობუსი მიემართებოდა. ვეკითხები:

— გაქვს რაიმე მათ შესაჩერებლად?

— მაქვს.

— მოახვედრებ?

— ვეცდები.

თითო გასროლით მან ორივე სამიზნე გაანადგურა. ამ დროს კი იმ პოსტთან, რომელსაც მე ვუთვალთვალებდი, „კამაზით" სადილი მიიტანეს. აზერბაიჯანელები მანქანას შემოეხვივნენ. იქვე გამოჩნდა „ზილი", რომელზეც **ЗУ-23-2** იყო დამონტაჟებული.

ერთი გასროლით „კამაზი", მეორით კი „ზილი" ავაფეთქე. მოწინააღმდეგე აფეთქებულ ტექნიკას თავქუდმოგლეჯილი გაეცალა.

17 აპრილს მოწინააღმდეგემ ჩამოაგდო შვეულმფრენი, რომლითაც შაგენი ერევანში მიფრინავდა. მეგრიანის დაღუპვიდან სამი დღის შემდეგ, გულისტან-



რუსი ტანკისტები სომხებისა და აზერბაიჯანელების მხარეს ერთნაირი შემართებით იბრძოდნენ

თან ბრძოლისას, წუთები დამჭირდა ერთი БТР-ისა და შვიდი ავტომობილის გასანადგურებლად.

გავიდა რამდენიმე საათი და ერთობ უცნაური სანახაობის მოწმე გავხდი, — თხუთმეტამდე აზერბაიჯანელი გულისტანისკენ მირბოდა და გვერდით მიჰყვებოდათ ავტომობილი УаЗ-ი, საიდანაც ჯოხით ვილაც ჯარისკაცებს მიერეკებოდა. ისინი გულისტანში შევიდნენ, მიტოვებული ტექნიკა დაქოქეს და გზაზე გამოსვლა დაიწყეს. მე მათი მეთაურის მანქანაც ავაფეთქე.

ამ დროს „უაზმა“ სიჩქარეს მოუმატა და ის-ის იყო, თვალს უნდა მიჰფარებოდა, რომ ჩემი „მალიუტკის“ რაკეტა დაეწია და გაანადგურა. ორი დღის შემდეგ რადიოკავშირის უფროსმა მომახარა: ახლახან აზერბაიჯანის რადიომ გადმოსცა, რომ გულისტანთან გერანბოის რაიონის კომენდანტი და მისი სამი მოადგილე დაილუპნენო.

## რუსი „აზერბაიჯანელები“

1993 წლის თებერვალში აზერბაიჯანელთა ზურგში პირისპირ შევეჩეხეთ მოწინააღმდეგის სადაზვერვო ჯგუფს. ჩვენ სამნი ვიყავით, ისინი — ოთხნი, სამი აზერბაიჯანელი, ერთი კი რუსი. ბილიკზე მოულოდნელად შეხვედრისას ჩვენ უფრო სწრაფად მოვახდინეთ ორიენტირება. მოკლულები აზერბაიჯანელთათვის უჩვეულოდ კარგად ნავარჯიშები და აღჭურვილები გამოიყურებოდნენ. ეტყობოდათ, რომ რომელიღაც სპეცდანიშნულების რაზმის წევრები იყვნენ, ხოლო აზერბაიჯანელთა მხარეს მებრძოლი რუსების რაოდენობა შესამჩნევი იყო.

პირველად მათ სოფელ გულიაპლის აღების დროს შევხვდი. ავაფეთქეთ აზერბაიჯანელთა T-72 და მძღოლ-მექანიკოსი ლიუკიდან ამოვარდა. ხუთი წუთის შემდეგ ის წამოდგა, შლემოფონი მოიხადა და ქერა თმა გამოუჩნდა. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მაჩკალაშენის ახლოს აზერბაიჯანელებმა იერიშში ჩართეს ხუთი ტანკი, რომელთა ეკიპაჟების ეროვნულობა აშკარად დაფიქსირდა რადიოეთერში. ისინი რუსულად უაქცენტოდ ლაპარაკობდნენ.

1992 წლის ნოემბერში ავომ სოფელი კუროპატკინო აიღო. ღვინის ქარხნის სიახლოვეს იპოვეს მაიორის გვამი, რომელსაც ჯიბეში საბუთები ჰქონდა, იგი რუსი იყო და აზერების მხარეზე იბრძოდა.

მოგვიანებით მოწინააღმდეგის ბლინდაჟში ვიპოვეთ აზერბაიჯანული სამხედრო გაზეთი, სადაც ვილაც პოლკოვნიკის სტატია იყო გამოქვეყნებული. „რა ძნელია ბრძოლა, როცა წუწუნა, ქირვეულ მოჯაჰედებს მეთაურობ და რა ადვილია, როცა შენი ხელქვეითები რუსი დაქირავებულები არიან“, — წერდა პოლკოვნიკი.

## გედის სიმღერა

1994 წლის 11-12 აპრილს მე-5 ბრიგადის ორმა ბატალიონმა, რომელშიც ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტების ოპერატორთა მოსამზადებლად ვიყავი მიმაგრებული, ყარაბაღის საზღვრის მახლობლად აზერბაიჯანელთა დასახლებული პუნქტი თალიში დაიკავა.

მეორე დღეს აზერბაიჯანელებმა იერიში წამოიწყეს. ბრძოლაში ჩაებნენ რვა ტანკი, ოთხი БМП და ხუთასი ქვეითი, ისინი ჩვენს ალყაში მოქცევას შეეცადნენ. პოზიციების დაცვისას დანადგარ „ფაგოტის“ მეშვეობით ერთი ტანკისა და ერთი БМП-ს განადგურება მოვახერხე. აზერბაიჯანელებმა უკან დაიხიეს და ბრძოლის ველზე კიდევ ერთი აფეთქებული T-72 დატოვეს, რომელიც სახელობითი აღმოჩნდა. მის კოშკურაზე თეთრი საღებავით „ჰეიდარ ალიევი“, ხოლო ლულაზე „წინ სომხეთისაკენ“ ეწერა. ტანკს კარგა ხანს უჩვენებდა სომხეთის ტელევიზია. სწორედ ეს ტანკი გახდა ყარაბაღელების გამარჯვების სიმბოლო.

ვატყობდი, მოახლოებული იყო ჩემი გედის სიმღერა. 1994 წლის 17 აპრილს აზერბაიჯანის გერანბოის რაიონში ბრძოლისას ჩვენს ბატარეას 120 მმ-იანი ნაღმი დაეცა და თანამებრძოლ არსენს ნამსხვრევებმა მარჯვენა მხარე ჩამოაცალა. მე ნამსხვრევები თავში, ხელებში, მკერდში, ზურგსა და მუცელში მომხვდა, თუმცა გონი არ დამიკარგავს. უკვე მოგვიანებით საველე ლაზარეთში აღმოჩნდა, რომ დაზიანებული მქონდა მარცხენა მუხლი, მოტეხილი მქონდა მარცხენა წვივის ძვალი, მარცხენა მხრის სახსარი. გახეთქილი მქონდა ელენთა და მუცლის აპკი. იქვე ამომილეს 113 ნამსხვრევი.



ყარაბაღელ სომეხთა რიგებში მრავლად იყვნენ სხვა ქვეყნების მოქალაქეები

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ბირთვული ომის საკომანდო პუნქტები

გასული საუკუნის 50-იან წლებში დაწყებულმა ბირთვული შეიარაღების პროცესმა ომების სპეციფიკა ძირფესვიანად შეცვალა. სამხედრო-პოლიტიკური დაძაბულობის უკიდურესად გამწვავების შემთხვევაში, მოწინააღმდეგეზე მასშტაბური ბირთვული დარტყმის გეგმა ვაშინგტონსაც და მოსკოვსაც ჰქონდათ, სადაც მთავარ ძალად ატომური ბომბებით შეიარაღებული ბომბდამშენები და ბალისტიკური რაკეტები განიხილებოდა. ბირთვული ომის კონცეფცია აუცილებელ საპასუხო დარტყმასაც ითვალისწინებდა და მისი უმთავრესი პირობა საკუთარ ჯარებსა და სტრატეგიულ ძალებზე კონტროლის შენარჩუნება იყო.

ომის შემთხვევაში, პირველ დარტყმას ჯარების მართვის ცენტრები — საკომანდო პუნქტები მიიღებდნენ. ამიტომაც სამხედროებმა სპეციალური — მფრინავი საკომანდო პუნქტების შექმნა მოითხოვეს. ბირთვული კონფლიქტის შემთხვევაში, ქვეყნის უმაღლეს პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას შეიარაღებული ძალები მათი ბორტიდან უნდა ემართა.

მფრინავი საკომანდო პუნქტის იდეა ამერიკელებს ეკუთვნის. 1965 წელს სტრატეგიული საავიაციო მეთაურობის მითითებით KC-135A-ს ტიპის 11 მფრინავი ტანკერი ბირთვული თავდასხმის შემთხვევაში ჯარების მეთაურობისა და მართვის თვითმფრინავად გადაკეთდა.

საბაზო ვარიანტისგან ვიზუალურად ახალ მოდიფიკაციას — EC-135A-ს კილზე, ფრთების ბოლოებსა და ფიუზელაჟის ზემოდან სპეციალური ანტენები განასხვავებდა.

თვითმფრინავი კომბინირებული იყო და მფრინავ საკომანდო პუნქტთან ერთად მფრინავი ტანკერის ფუნქციაც შეინარჩუნა. ახალი EC-135A-ის მთავარი განსხვავება წყალქვეშა ნავებთან დასაკავშირებელი ბუქსირებადი ანტენა იყო. ფიუზელაჟის ქვეშ განთავსებულ დოლურაზე რამდენიმე ასეული მეტრის სიგრძის წვრილი ფოლადის გვარლი იყო დახვეული, რომლის ბოლოზეც სტაბილიზებული კონუსი მაგრდებოდა. ანტენის გამოშვების შემდეგ თვითმფრინავი წრიულად ფრენას იწყებდა. მძიმე კონუსი სიჩქარეს კარგავდა და გვარლოვანი ანტენა თითქმის ვერტიკალურად ეკიდებოდა — წყლის სიღრმეში წყალქვეშა ნავამდე რადიოსიგნალს მიღწევა მხოლოდ ასე შეეძლო.

თვითმფრინავის სატვირთო ნაკვეთურში ოპერატორების სამუშაო ადგილები და კავშირის აღჭურვილობა განთავსდა. 60-იან წლებში სსრკ-თან დაძაბული ურთიერთობის პერიოდში, ბორტზე მყოფ უმაღლეს მეთაურობასთან ერთად მინიმუმ ერთი მფრინავი საკომანდო პუნქტი 24 სთ-იანი მორიგეობის რეჟიმს ინარჩუნებდა.

ექსპლუატაციისას 17 მფრინავი საკომანდო პუნქტი ჯერ EC-135B, შემდგომ კი EC-135C ვარიანტამდე გაუმჯობესდა. ტექნიკის განვითარებასთან ერთად, თვითმფრინავებზე ახალი ანტენები და კავშირის აპარატურა დაიდგა. ცვლილება საფრენ აპარატსაც შეეხო. მოდულური კონსტრუქციის გამოყენებით თვითმფრინავი საგრძნობლად გამარტივდა.

70-იან წლებში ამერიკელებმა თვითმფრინავებისთვის წაყენებულ მოთხოვნებს გადახედეს, რათა სტრატეგიული ძალების ხელმძღვანელობას თვითმფრინავის ბორტიდან წყალქვეშა ნავის ბალისტიკური რაკეტების გაშვების მართვა და საჭიროების შემთხვევაში უკვე რაკეტის ფრენისას სამიზნის კოორდინატების შეცვლის შესაძლებლობა ჰქონოდა.

პენტაგონის დაკვეთით 1973-78 წლებში ფართოფიუზელაჟიანი სამგზავრო ლაინერ Boeing 747-200-ის ბაზაზე ახალი მფრინავი საკომანდო პუნქტი შეიქმნა.

საწყისი გეგმა 7 ერთეულის აწყობას ითვალისწინებდა, საიდანაც სამი შტატების უფროსების გაერთიანებული კომიტეტისთვის და ოთხი სტრატეგიული საავიაციო მეთაურობისთვის იყო განკუთვნილი. თუმცა საბოლოოდ 4 მფრინავი საკომანდო პუნქტი მომზადდა: აქედან სამი E-4A და ერთიც მოდერნიზებული E-4B ვერსია იყო.



*მფრინავი საკომანდო პუნქტის გარდა, ამერიკული E-4B Nightwatch-ი სტიქიური უბედურებების ზონაში საგანგებო სიტუაციების სამმართველოს დროებითი შტაბის ფუნქციასაც ასრულებს*

საბაზო მოდელებისგან ამ უკანასკნელს გაუმჯობესებული კავშირის აღჭურვილობა, ინფორმაციის გადამუშავება-გადაცემის სისტემები და ჰაერში საწვავით განყობის მოწყობილობა განასხვავებდა.

სამგემბანიანი თვითმფრინავის შიდა სივრცე მაქსიმალურადაა ათვისებული. ზედა გემბანი პილოტის კაბინასა და ეკიპაჟის მოსასვენებელ ოთახებს დაეთმო.

შუა გემბანი უკავია ქვეყნის პრეზიდენტისა და უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობის კაბინეტებს, სათათბიროს, მოსასვენებელ ზონას, კავშირის, საკომუნიკაციო და საოპერატორო (29 ოპერატორი) ოთახებს.

ქვედა გემბანზე სასმელი წყლისა და საკვები პროდუქტის მარაგი, ელექტროაღჭურვილობა, სხვადასხვა სიხშირის გადამცემები და დახურული თანამგზავრული აღჭურვილობაა განლაგებული.

ჰაერში საწვავით განყობის სისტემის წყალობით თვითმფრინავს ჰაერში 72 სთ უწყვეტი ფრენა შეუძლია.

1982-85 წლებში სამივე E-4A-ს მოდერნიზაცია ჩაუტარდა და E-4B ვარიანტად გადაკეთდა. თვითმფრინავებზე ახალი ელექტრონიკა, ძრავები და ჰაერში საწვავით განყობის სისტემა დამონტაჟდა. დანიშნულებიდან გამომდინარე, თვითმფრინავები ბირთვული იარაღის დამაზიანებელი ფაქტორებისგან, მათ შორის ელექტრომაგნიტური იმპულსისგანაც არიან დაცულნი.

სხვადასხვა ტიპის კავშირის საშუალებებთან ერთად, თვითმფრინავზე რაკეტული თავდასხმის შემატყობინებელი სისტემაცაა დაყენებული. იმავდროულად, მფრინავ საკომანდო პუნქტის ბორტზე მყოფი სამხედრო სარდლობის განკარგულებაში სახმელეთო და საზღვაო ბაზირების (წყალქვეშა ნავებზე) ბალისტიკური რაკეტების მართვისა და კონტროლის სისტემაა. მისი მეშვეობით უშუალოდ თვითმფრინავიდან საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების გაშვება და საჭიროებისამებრ მათი გადამიზნება ხდება.

რეგულარული მორიგეობის გარდა, E-4B-ებს აშშ-ის პრეზიდენტის „ბორტ-01“-ის თანმხლებ თვითმფრინავა-




სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის ბაზაზე შექმნილი კიდევ ერთი საბჭოური/რუსული მფრინავი საკომანდო პუნქტი Ил-76ВКП. თვითმფრინავი ჰაერში პირველად 1989 წელს აფრინდა.

აღჭურვილობის ნაწილი Ил-86ВКП-სთან არის უნიფიცირებული და მის მსგავსად, ახალ საჰაერო ბაზირების საკომანდო პუნქტსაც, ფიუზელაჟზე თანამგზავრული კავშირის ანტენების დიდი გარსშემომდენი აქვს. სსრკ-ის დაშლამდე მხოლოდ ორი Ил-76ВКП (სარეგისტაციო ნომრები СССР-76450 და СССР-76451) დამზადდა. ორივე მათგანი ჩკალოვსკის აეროდრომზე ბაზირებს.

დაც იყენებენ. პრეზიდენტის საზღვარგარეთ ყოფნისას ერთ-ერთი საკომანდო პუნქტი ახლომდებარე ამერიკულ სამხედრო ბაზაში იმყოფება. ასეთ დროს მფრინავი საკომანდო პუნქტის მთავარი ამოცანა პრეზიდენტისა და აშშ-ის შეიარაღებული ძალების საკომანდო ცენტრებს შორის მუდმივი კავშირის უზრუნველყოფაა.

„ცივი ომის" დასრულების შემდეგ, E-4B-ების საჭიროება შემცირდა. 1994 წელს თვითმფრინავის NEACP (National Emergency Airborne Command Post — ნაციონალური მფრინავი საკომანდო პუნქტი) ნიშნულს კიდევ ერთი ფუნქცია NAOC (National Aurborne Operations Center — ნაციონალური მფრინავი ოპერატიული ცენტრი) შეემატა. ახალი ფუნქციების შესაბამისად, თვითმფრინავმა სტიქიური უბედურებების ზონაში საგანგებო სიტუაციების მართვის ფედერალური სააგენტოს თანამშრომლები უნდა გადაიყვანოს და დროებითი საკომანდო პუნქტის როლი შეასრულოს.

დღეს ოთხივე E-4B (მეტსახელად თვითმფრინავებს Nightwatch-ს „ღამის გუშაგებს" უწოდებენ) ნებრასკის შტატში დისლოცირებულ 55-ე ავიაფრთაში ირიცხება. უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე, ერთი „ღამის გუშაგი" ყოველთვის 15 წთ-იან მზადყოფნაშია. თვითმფრინავის საშუალო ღირებულება 250 მლნ დოლარია. ამ მაჩვენებლით B-2A Spirit-ის შემდეგ ყველაზე ძვირად ღირებული ამერიკული სამხედრო თვითმფრინავია.

ამერიკელებთან შედარებით, სსრკ-ში მფრინავი საკომანდო პუნქტებით შედარებით გვიან დაინტერესდნენ. 1971 წელს ჰაერში ახალი Ил-22 აფრინდა.

სამოქალაქო Ил-18-ის ბაზაზე შექმნილი ოთხძრავიანი ტურბოხრახნული თვითმფრინავი პირველი საბჭოური საჰაერო ბაზირების საკომანდო პუნქტი იყო. ვიზუალურად საბაზო ვარიანტისგან ახალ Ил-22-ს სხვადასხვა სახის ანტენა განასხვავებდა. ყველაზე თვალსაჩინო სხვაობა ფიუზელაჟის ქვეშ, მთელ სიგრძეზე განლაგებული ნახევრად წრიული გარსშემომდენი იყო.

სამოქალაქო თვითმფრინავის გადაკეთებაზე მიასიშჩევის საკონსტრუქტორო ბიურო მუშაობდა. Ил-22-ის ვარიანტში 14 თვითმფრინავი დამზადდა, ხოლო შემდგომ Ил-22M-11 მოდიფიკაციაში — 21 ერთეული. სსრკ-ის თავდაცვის უწყებაში მოცემული ტიპის მფრინავი საკომანდო პუნქტები შეიარაღებული ძალების უმაღლესი ხელმძღვანელების გარდა, სამხედრო ოლქებისა და ჯარების სახეობათა სარდლებს ემსახურებოდა.

ამერიკული „ღამის გუშაგის" ანალოგი სსრკ-ში მხოლოდ 80-იან წლებში შეიქმნა, რისთვისაც ილუშინის ფართოფიუზელაჟიანი რეაქტიული ლაინერი Ил-86 შეირჩა. ახალი საბჭოური მფრინავი საკომანდო პუნქტი ჰაერში პირველად 1985 წელს აფრინდა. სულ Ил-86ВКП კონფიგურაციად 4 თვითმფრინავი — СССР-86146, 86147, 86148, 86149 დამზადდა.

პროტოტიპისგან ახალი თვითმფრინავი სამგზავრო ილუმინატორების უქონლობით გამოირჩევა. სალონის მოცულობა სხვადასხვა სახის რადიოელექტრონულმა აღჭურვილობამ და ოპერატორების სამუშაო ადგილებმა დაიკავეს. თვითმფრინავის განსაკუთრებულობა ცხვირა ნაწილში ფიუზელაჟის თავზე განლაგებული დიდი გარსშემომდენია. მის ქვეშ დახურული თანამგზავრული კავშირის ანტენებია მოთავსებული.

Ил-86ВКП-ს ბორტზე ენერგომომხმარებელთა რიცხვის ზრდამ ელექტროენერგიის დამატებითი წყაროების საჭიროება განაპირობა. მძლავრი გენერატორები ფრთის ქვეშ პილონებზე ჩამოკიდებულ სპეციალურ კონტეინერებშია განლაგებული.

თვითმფრინავის კუდში წყალქვეშა ნავებთან დასაკავშირებლად დოლურაზე 4 კმ გვარლური ანტენაა დახვეული. პირველი თვითმფრინავის გარდა, ყველა დანარჩენი Ил-86ВКП ჰაერში საწვავით განყობის მიმღები ძელითაა აღჭურვილი.

ოთხივე მფრინავი საკომანდო პუნქტი მწყობრშია და ჩკალოვსკის აეროდრომზე დისლოცირებულ ცალკეულ ესკადრილიაში ირიცხება. თვითმფრინავი დღემდე გასაიდუმლოებულია და მისი აღჭურვილობის ან სალონის მოწყობის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია არ მოიპოვება.

**ალექსანდრე აფაქიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ და როგორ აკონტროლებდა ქართულ სანაპიროს



## ქვეყნის საზღვაო საზღვრები

ეს ცნება 1998 წლის 16 ივლისიდან დამკვიდრდა, როცა მაშინდელი საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სანაპირო დაცვის კატარღები პირველად შეუდგნენ ეროვნული საზღვაო საზღვრების გაკონტროლებას.

სახელმწიფოებრიობის ამ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს წინ უსწრებდა დიდი მოსამზადებელი პერიოდი და სეპარატისტული სოხუმის მუქარა, რომ ე.წ. აფხაზეთის ტერიტორიული წყლების მახლობლად ნებისმიერ ქართულ საპატრულო კატარღას ჩაძირავდნენ.

თუმცა სირთულეები არა აფხაზეთის მიმდებარე წყლებში. არამედ აჭარის მაშინდელ ხელისუფლებასთან გაჩნდა, როცა ფოთიდან გამოსულ კატარღას მდინარე ჭოროხთან აჭარის უშიშროების სამინისტროს საზღვაო რაზმის კატარღამ ქვეყნის ტერიტორიული წყლების დატოვება მოსთხოვა.

ეს პრობლემაც მოგვარდა და საზღვაო საზღვარი მდინარე ფსოუდან მდინარე ჭოროხამდე ქართული საპატრულო კატარღების კონტროლქვეშ გადავიდა.

აგვისტოს ომმა საზღვაო საზღვარზე ვითარება შეცვალა. აგრესორი რუსეთის სანაპირო დაცვის კატარღები და შავი ზღვის ფლოტის ხომალდები საქართველოს ტერიტორიული წყლების აფხაზეთის მონაკვეთზე ქართულ კატარღებს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა აღსრულების საშუალებას არ აძლევენ. შესაბამისად, მოიმატა მეზობელი ქვეყნებიდან აფხაზეთის პორტებში გემების უნებართვო მიმოსვლამ.

ასეთი დიდი და რთული ბარიერის მიუხედავად, საქართველოს კანონდარღვევით აფხაზეთის პორტებთან მიმოსვლაში შემჩნეულ უცხო ქვეყნების სატვირთო გემებს ჩვენი საზღვაო პოლიციელები მაინც აკავებენ.

## დაუცველი სანაპირო წყლები

ძველ დროში საქართველოს ფლოტი არ ჰყავდა და სანაპირო წყლებსაც ვერ აკონტროლებდა, ამიტომაც სანაპირო ზოლი ადამიანებითა და კონტრაბანდული საქონლით ვაჭრობის ადგილად იყო ქცეული.

მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ დასავლეთ საქართველო დაიპყრო, XIX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან რუსულმა სამხედრო ხომალდებმა საქართველოს სანაპიროს გასწვრივ კრეისერობა დაიწყეს, რათა აფხაზეთისკენ თურქული და ევროპული ქვეყნების ხომალდების ცურვა აღეკვეთათ.

რუსებს ყველაზე მეტად თურქული ხომალდები აწუხებდათ, რადგან ზღვით თურქეთიდან აფხაზეთში იარაღი და ჩერქეზი მებრძოლები შემოდიოდნენ.

ამ საქმით რამდენიმე ათეული ტონა ტვირთამწეობის ერთ-ორანძიანი იალქნიან-ნიჩბიანი შხუნები და ბომბორდები იყვნენ დაკავებულნი, რომლებიც ცურვას უქარობის დროსაც ახერხებდნენ.

თურქ კონტრაბანდისტთა არცთუ მცირე ნაწილი აფხაზეთისკენ პატარა ნავებითაც მოემართებოდა. ასეთ ნავს ერთი სამკუთხა აფრა ჰქონდა და 7-კაციანი ეკიპაჟი ემსახურებოდა, საიდანაც ერთი ლოცმანი, ანუ იგივე ნავის მფლობელი იყო.

თურქეთიდან აფხაზეთისკენ საკმაოდ მრავალფეროვანი ტვირთი მოემართებოდა — სხვადასხვა სახის ქსოვილი, ქაღალდის ნაწარმი, სპილენძისა და დაუმუ-

შავებელი ფოლადის ნაჭრები, თოფები, წვრილკალიბრიანი ზარბაზნები, დენთი, ტყვიები და ა.შ.

ბორტზე იარაღის ქონას თურქები თავდაცვის აუცილებლობით ასაბუთებდნენ, თუმცა სინამდვილეში ის რუსების წინააღმდეგ მებრძოლი ჩერქეზების ხელში ხვდებოდა.

მაშინდელ კონტრაბანდისტთა ერთი აუცილებელი ტვირთი მარილი იყო. რუსულ ხომალდებთან შეხვედრის შემთხვევაში კონტრაბანდა ზღვაში იყრებოდა, ხოლო მარილი კი სავსებით მშვიდობიანად გამოიყურებოდა. მარილი ასევე ბალასტის დანიშნულებასაც ასრულებდა და წონის შესამცირებლად მისი გადაყრა არ ენანებოდათ.

არცთუ იშვიათად ხომალდებს თურქეთიდან ათეულობით მგზავრიც მოჰყავდა. ისინი შუახნის, ფიზიკურად ძლიერი ჩერქეზი მამაკაცები იყვნენ და მათ ჩამოსვლას ერთი მიზანი ჰქონდა — რუსებთან ბრძოლა.

ნაპირზე, სანამ ვაჭრები თავიანთი საქმით იყვნენ დაკავებულნი, ამასობაში გროვდებოდა უკან წასაყვანი „ტვირთი", რომელსაც მეტწილად თურქეთში გასაყიდი გოგონები და ქალები შეადგენდნენ. მათი რაოდენობა იმ პერიოდისთვის წელიწადში დაახლოებით 4 ათასს შეადგენდა.

იყო შემთხვევები, როცა რუსი მეზღვაურების მიერ ტყვეობიდან გათავისუფლებული ქალები სახლში დაბრუნებაზე უარს ამბობდნენ და ისევ თურქეთში წასვლას მოითხოვდნენ.

ზაფხულის ბოლოს აგვისტოში ხომალდები უკან, თურქეთში ბრუნდებოდნენ. პატარა ნავები კი წელიწადში 2-3 რეისის შესრულებას ასწრებდნენ. თურქეთიდან აფხაზეთამდე ან პირიქით, მანძილი ერთ დღეში იფარებოდა.

თურქ კონტრაბანდისტთა საზღვაო მიმოსვლას რუსები სამხედრო ხომალდებით ებრძოდნენ, მაგრამ ეს არცთუ მარტივი საქმე იყო.


ჩერქეზი ქალები

1836 წლის ოქტომბერში სოჭის მახლობლად ჩერქეზთა 7-მა ნავმა ბრიგ „ნარცისს" შეუტია. ხომალდის მეთაური, კაპიტან-ლეიტენანტი ვარნიცკი შავი ზღვის ფლოტის სარდლის, ვიცე-ადმირალ მიხაილ ლაზარევისთვის გაგზავნილ პატაკში წერდა, რომ ბრიგის ეკიპაჟში დანაკარგი იყო და ბრძოლა ლამის აბორდაჟამდე

XIX საუკუნის პირველ ნახევარში კონსტანტინოპოლში კავკასიიდან ყოველწლიურად 4 ათასამდე ადამიანი ჩაჰყავდათ გასაყიდად





თურქული ხომალდით გასაყიდი ტყვეების გადაყვანა

მივიდა, რომელიც აუცილებლად მთიელთა გამარჯვებით დამთავრდებოდა.

ორი წლის შემდეგ 1838 წელს თებერვალში ვიცე-ადმირალმა ლაზარევმა მთავარი საზღვაო შტაბის უფროსს, ალექსანდრ მენშიკოვს მოახსენა, რომ გაგრის მახლობლად ჩერქეზთა ოთხმა ნავმა 12-ზარბაზნიან ლიუგერ „გლუბოკის“ შეუტია. ეკიპაჟი კი ბრძოლას განერიდა და თავს გაქცევით უშველა.

რუსული ხომალდების ერთ-ერთი საპატრულო მონაკვეთი სოჭიდან სუხუმ-ყალემდე აღწევდა და დაახლოებით 120-140 კმ-ს შეადგენდა. ზღვაზე ვიზუალური დაკვირვების მანძილი 30 კმ იყო, თუ კონტრაბანდისტთა ხომალდს მაღალი ანძები ჰქონდა და ამინდიც ხელსაყრელი იყო.

დაკავების წარმატებით დასრულებას კი სიჩქარე წყვეტდა. მართალია, რუსები საკრეისეროდ მომცრო ხომალდებს გზავნიდნენ, მაგრამ კონტრაბანდისტთა ხომალდები ზომით ბევრად პატარა და უფრო მსუბუქიც იყო, თანაც ნიჩბებით სიჩქარის მომატებაც შეეძლოთ.

დაკავება განსაკუთრებით რთულდებოდა სრული შტილის დროს, როცა კრეისერები ცურვას ვერ ახერხებდნენ, ხოლო კონტრაბანდისტები ნიჩბების გამოყენებით მიცურავდნენ.

კონტრაბანდისტებთან ბრძოლა ბევრად შედეგიანად ნაპირზე მიმდინარეობდა. დანიშნულების პუნქტზე მიღწევის შემდეგ კონტრაბანდისტებს ხომალდები ხმელეთზე აჰყავდათ და ნაპირიდან რაც შეიძლება მოშორებით მალავდნენ ან მდინარეების დინების საწინააღმდეგოდ აჰყავდათ, სადაც ხის ტოტებით ნიღბავდნენ.



ნაპირზე ნავის გამოყვანის პროცესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპირზე დამალული ხომალდების ძებნა-განადგუ-
ებისთვის რუსები სპეციალურ ოპერაციებს ატარებ-
ენ, რასაც ხშირად ჩერქეზებთან შეიარაღებული და-
ირისპირება მოჰყვებოდა.

## 1914-1921 წლების საქართველო

1900 წლიდან შავ ზღვაში რუსული საზღვაო-სა-
აზღვრო დაცვა ამოქმედდა და ახალშექმნილი სამსა-
ურისთვის სპეციალური კატარღები აიგო.

1912 წლის დეკემბერში მწყობრში ჩადგა 370 ტ
ყალწყვის სასაზღვრო ძრავიანი კრეისერი „იასტრები“
სიჩქარე — 15 კვანძი, შეიარაღება — ოთხი 57 მმ-იანი
და ორი 37 მმ-იანი ქვემეხი), რომელიც პირველი მსოფ-
ლიო ომის დაწყებამდე მუდმივად იდგა ბათუმში, საი-
დანაც ზღვაზე ვითარებას აკონტროლებდა და იარა-
ღის კონტრაბანდას ებრძოდა.

კონტრაბანდამ ბევრად მოიმატა 1917 წლის ბოლო-
სა და 1918 წლის დასაწყისში, როცა შავი ზღვის ფლო-
ტის მეზღვაურებმა სიურმინში, ოროლში, ერეგლში,
რიზეში, ტრაპიზონსა და ხოფაში რუსეთის არმიის მი-
ტოვებული 20 მლნ რუბლის ქონება დაიტაცეს.

შავი ზღვის ფლოტის სატრანსპორტო გემი N84 ბა-
თუმისათვის გათვალისწინებულ 32 ათას ფუთ ფქვილს
ტრაპიზონის მოსახლეობას სთავაზობდა, როცა ბა-
თუმში პირველადი მოთხოვნის პროდუქტებზე მაღალი
ფასები იყო, ხოლო ზოგიერთი საერთოდ არ იშოვებო-
და.

ზღვაზე უკონტროლობა გახდა საზღვაო ყაჩაღობის
ერთი შემთხვევის მიზეზი, რომლის შესახებაც გაზეთი
„საქართველოს რესპუბლიკა“ 1919 წლის 19 ოქტომბ-
რის ნომერში წერდა:

„ნოვოროსიისკიდან მომავალ გემ „მარიას“ გურიის
სანაპიროსთან ყაჩაღები ნავებით გამოუდგნენ და ბორ-
ტზე მყოფნი გაძარცვეს, მაგრამ მძარცველებმა შორს
წასვლა ვერ მოასწრეს და მილიციამ ისინი სოფელ სამ-
ხთოსთან დააკავა“.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია ერთი
საინტერესო დოკუმენტი — ფოთის ნავსადგურის სამ-
მართველოს 1920 წლის 15 იანვრის სხდომის N170 ოქმი.



ყაბარდოელი თავადი

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ფოთის გარნიზონის
უფროსი პოლკოვნიკი მშველიძე: „აქამდე არსებული
სამხედრო ფლოტილია 2 ნაღმოსანი და 3 გამანადგუ-
რებელი სახელმწიფოსათვის სრულიად უსარგებლო
იყო და ძალიან ძვირიც უჯდებოდა. მე ენერგიულად
მოვითხოვდი გამანადგურებლების სასაზღვრო სამ-
სახურისათვის გადმოცემას. ჩვენ შეგვეძლება ხალხის
საკმარისი რაოდენობით მოძებნა და საქმის ისეთი ორ-
განიზება, რომ ფლოტილიამ რესპუბლიკას წონიანი,
ღირებული მომსახურება გაუწიოს. საქმე ისაა, რომ
ყველგან კონტრაბანდაა. ჩვენგან დაუბრკოლებლად
გადის მილიონი მანეთის სიმინდი, შალი, თამბაქო და
სხვა პროდუქტები. ჩვენს სანაპირო დაცვას კი ამ ბო-
როტებასთან ბრძოლა არ შეუძლია.

პორტის უფროსისთვის კარგად ცნობილია სანაპი-
რო დაცვისთვის გადაცემული 3 კატარღა გამოუყე-
ნებელია და მუდმივ რემონტს მოითხოვს. გამართულ
მდგომარეობაშიც არ შეუძლია კონტრაბანდისტთა გე-
მებს დაეწიოს, რომლებსაც 12-15 კვანძი აქვს. ჩვენს კა-
ტარღებს 8-9 კვანძი აქვს.



კონტრაბანდა დიდი რაოდენობით თურქეთში გა-
ედინება. ფლოტილია არასოდეს გვეხმარება. ის მუდ-
მივად გაუმართავია. არ აქვს საწვავი და ყველა აუცი-
ლებელი საგანი, რათა პირველივე მოთხოვნაზე ზღვაში
დაგვეხმაროს. კონტრაბანდის აღკვეთა რესპუბლიკი-
სათვის დიდი დახმარება იქნება“.

კრიტიკას უპასუხა საქართველოს სამხედრო ფლო-
ტილიის სარდალმა მიჩმანმა ჩიკვაიძემ, რომელმაც მი-
ზეზად დახმარების თაობაზე აუცილებელი ბრძანების
არარსებობა დაასახელა.

1918-21 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს
სასაზღვრო დაცვის სამსახურში მყოფი კატარღებიდან
ერთ-ერთი „სვიატოი იპატი“ ადრე გაგრის კლიმატო-
ლოგიურ სადგურს ეკუთვნოდა.

**თემურ ჩაჩანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ასე დაეცა ბიზანტია

**1453 წლის 29 მაისს შვიდკვირიანი ალყის შემდეგ მეჰმედ II-ის ჯარისკაცებმა კონსტანტინოპოლის ციხე-გალავნები შეანგრიეს და ქალაქში შეიჭრნენ. ამ ცივილიზაციური „მიწისძვრის“ შედეგებს მსოფლიო საზოგადოებრიობა დღემდე გრძნობს.**

მეჰმედ II ისტორიაში „დამპყრობლის“ მეტსახელით შევიდა, ხოლო სამყაროს როგორც მურად II-ის მესამე ვაჟიშვილი მოევლინა. ტახტზე ასვლის შანსი ძალზე მცირე ჰქონდა, მით უმეტეს, რომ მურადის საყვარელ ძეს — ალის, ვაჟები ჰყავდა.

როგორც ჩანს, მეჰმედი ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული, — სულთანის ორივე უფროსი ვაჟი უდროოდ გარდაიცვალა. სულთანს სურდა თუ არა, ყურადღება მეჰმედისაკენ უნდა მიემართა, რაც მურადისათვის, რომელიც არა მხოლოდ გამოჩენილი სახელმწიფო მეთაური, არამედ საკმაოდ განათლებული ადამიანიც გახლდათ.

11 წლის ტახტის მემკვიდრის აღზრდა-განათლებაზე ადრე რომ არავის უზრუნია, ამიტომაც მისი ქედმაღალი ხასიათი და სიმკაცრე დინასტიური პრობლემა გახდა. მისი სათანადოდ აღზრდა სამეფო კარის უმთავრეს საქმედ იქცა — დაიწყეს მისი განათლება ისტორიით, რელიგიით, ლიტერატურით; მას ძალზე მკაცრი და მომთხოვნი მასწავლებელი მიუჩინეს. შედეგმაც არ დააყოვნა: მოსწავლე უჩვეულოდ მონდომებული და უნარიანი აღმოჩნდა. ისტორიის კარგად სწავლამ სხვა ნაყოფიც გამოიღო — მომავალმა ფადიშაჰმა ალექსანდრე დიდის მსგავსად მთელი მსოფლიოს დაპყრობა განიზრახა.

მურადმა ვაჟიშვილის პოზიციის გასამყარებლად დაარღვია იმპერიაში მანამდე არსებული ტრადიცია და მის სასარგებლოდ ტახტზე უარი თქვა. ბიზანტიამ, ისევე როგორც მთელმა დასავლეთმა, მისი გადაწყვეტილება სისუსტედ მიიჩნია, ამიტომ მურადი ტახტს დაუბრუნდა, ვარნასთან პოლონეთისა და სხვა ქრისტიანული ქვეყნების ჯვაროსნები დაამარცხა და ბიზანტიის ჩარევით ქვეყანაში დაწყებული არეულობა ჩაახშო ჩააწყნარა.

მეჰმედმა ძალაუფლება ხელში სრულად აიღო მხოლოდ 1451 წელს მამის სიკვდილის შემდეგ და უმთავრეს ამოცანად კონსტანტინოპოლის აღება დაისახა.

### მსოფლიოს დედაქალაქი

რომის დასავლეთი იმპერიის დაცემის შემდეგ 476 წელს მსოფლიოში ყველაზე ლამაზ და ხალხმრავალ ქალაქად კონსტანტინოპოლი რჩებოდა. ის იქცა ასე-

ვე რომის იმპერატორთა რეზიდენციად და მამასადამე, მსოფლიო დედაქალაქადაც. ბიზანტიის იმპერატორებმა დიდხანს შეძლეს თავიანთ მფლობელობაში ხმელთაშუა ზღვის გარშემო რომაული სამყაროს უმნიშვნელოვანესი ნაწილის შენარჩუნება. იმპერიის საზღვრებთან მიმდინარე ომებმა ვერ შეასუსტა მისი ძალა და გავლენა ისლამის მძლავრი არაბული ტომების გამოჩენამდე.

მალე სხვადასხვა ბარბაროსულმა ტომმა: სლავებმა, ბულგარელებმა და ა.შ. ბიზანტიის იმპერიისგან ყველაზე მსუყე ნაწილების ჩამოთლა დაიწყეს, ვიდრე 1071 წელს თურქ-სელჩუკებმა იმპერიას მანასკერტთან სასიკვდილო დარტყმა არ მიაყენეს.

1071 წლის 19 აგვისტოს მანასკერტთან, თანამედროვე თურქეთის ქალაქ მალაზგირთან, თურქ-სელჩუკებსა და ბიზანტიელებს შორის დიდი ბრძოლა მოხდა.

თურქებმა ალფ-არსლანის მეთაურობით ბიზანტიელები დაამარცხეს და იმპერატორი რომანოზ IV ტყვედ აიყვანეს. თურქების გამარჯვებამ დააჩქარა სელჩუკთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება მცირე აზიაში, ხოლო ტყვედ ჩავარდნილმა იმპერატორმა სიცოცხლე ბიზანტიის მიწების საფასურად გამოისყიდა.

ამის შემდეგ იმპერია წელში ველარ გასწორდა. მას ვერც ჯვაროსანთა ლაშქრობებმა უშველა, რის გამოც მუსლიმანთა აგრესია შენელდა (იქნებ უფრო პირიქითაც: ჯვაროსნებმაც შეიტანეს წვლილი ბიზანტიის დასუსტებაში).

აგრესიული თურქების გამოჩენამ მდგომარეობა სრულიად შეცვალა. ამიტომ 1451 წელს, როცა მეჰმედ II ტახტზე კვლავ დაჯდა, ბიზანტიის იმპერია უწინდელი ძლიერების მხოლოდ ნაშთი იყო. მისი ტერიტორიები იფარგლებოდა დედაქალაქის შემოგარენით, წვრილი ზოლით შავი ზღვის გასწვრივ, რამდენიმე კუნძულითა და შორეული პროვინციით პელოპონესზე. ამასთან, ეს ყველაფერი ოსმალების სახელმწიფოს ულმობელ რკალში იყო მოქცეული.

მაშ, რატომ ენიჭებოდა ბიზანტიას ასეთი დიდი მნიშვნელობა?! აქ უმნიშვნელოვანესი სიმბოლოს ძალა იყო — ეს ახალი რომი მხოლოდ ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს ნადავლი შეიძლება გამხდარიყო. მსოფლიოში მიღებული იერარქიის თანახმად, კონსტანტინოპოლის ფლობა აბსოლუტური ხელისუფლების ფლობას მიანიშნებდა, ყველა სხვა სახელმწიფოზე ზევით დგომას. ეს ყველაფერი მეჰმედს კარგად ესმოდა.

ამ ამბიციური ახალგაზრდა სულთნისათვის კონსტანტინოპოლის აღება მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო თავის ოცნებების გზაზე, რასაც მთელი მსოფლიოს დაპყრობა წარმოადგენდა. მეჰმედს სურ[illegible]ნი გამხდარიყო, რომელიც ყურანის წინასწარმეტყველებას — მუჰამედის მემკვიდრეების მიერ მთელი დედამიწის დაპყრობას შეასრულებდა. ის ხომ მუჰამედის მწვანე დროშის რომის ციხე-გალავნებზე გამოფენაზე ფიქრობდა.

მანამდე კი მეჰმედს სახელმწიფოში საკმარისად უნდა განემტკიცებინა თავისი პოზიციები. ამისათვის მას ჯერ დიდი ვეზირის, ჰალილ-ფაშას, რომელსაც უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა, ხოლო შემდეგ საკუთარი ძმის, აჰმედის მოკვლა დასჭირდა. სხვათა შორის, სწორედ მეჰმედმა დაუდო სათავე შემდგომში მუსლიმანურ სამყაროში უკვე ტრადიციად ქცეულ უმცროსი ძმების დახოცვას ტახტის შენარჩუნების მიზნით.

ამის შემდეგ დღის წესრიგში უკვე კონსტანტინოპოლის აღება დადგა. თუმცა სტრატეგიული თვალსაზრისით ქალაქს პოზიციები უკვე შერყეული ჰქონდა, მაგრამ მისი დაპყრობის ყოველ მოსურნეს აუცილებლად უნდა მიელო მხედველობაში მისი ძველი ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში.

ტაქტიკური თვალსაზრისით კონსტანტინოპოლის აღებას, ერთი მხრივ, ქალაქის მდგომარეობა, ხოლო მეორე მხრივ, მისი აქამდე დაუძლეველი ციხე-გალავანი (408-413 წლებში აშენებული 6,5 კმ სიგრძისა და 12 მეტრი სიმაღლის კედელი) ართულებდა.

ეს უკანასკნელი იმპერატორ თეოდოსის სახელს ატარებდა. გალავნის გასწვრივ 20 მ სიგანისა და 10 მ სიმაღლის არხი გადიოდა. ათასწლოვანი ბერძნული და რომაული სამხედრო ხელოვნების მცოდნე და მემკვიდრე ბიზანტიელ ხუროთმოძღვართა ეს თავდაცვითი ნაგებობა, როგორც ძველი სამყაროს ბოლოს, ასევე მთელ შუა საუკუნეებში უმძლავრეს ფორტიფიკაციურ კომპლექსად ითვლებოდა.

თეოდოსის გალავანმა თავისი ძლიერება არაერთხელ აჩვენა ქალაქზე ბარბაროსთა თავდასხმების დროს. 1453 წლამდე მისი დაკავება მხოლოდ ერთხელ შეძლო ვენეციელთა და ჯვაროსანთა გაერთიანებულმა ლაშქარმა და ისიც სრულიად სხვა მხრიდან. სწორედ ეს გალავანი უქმნიდა მეჰმედს ქალაქის დაპყრობაში სირთულეს, თუმცა იმდროინდელი თურქული არმია არც ერთი სხვა ქვეყნის არმიას არ უდებდა ტოლს.

კონსტანტინოპოლის აღება თურქებს ხელთ არსებული სამხედრო-საიერიშო საშუალებებით (კატაპულტი, ბალისტი და ა.შ) რომ ეცადათ, მიზანს ნამდვილად ვერ მიაღწევდნენ. თუმცა გაუმართლა — ბედმა მაჰმედს ხელში ჩაუგდო იმ დროისათვის უმძლავრესი საბრძოლო იარაღი, არტილერია. ამ ახალი იარაღისაგან თავდაცვას ვერც ერთი საფორტიფიკაციო ნაგებობა ვერ ახერხებდა.

* * *

1451 წელს კონსტანტინოპოლში არტილერისტი და სამხედრო საქმის ბრწყინვალედ მცოდნე, სავარაუდოდ, პოლონელი ან უნგრელი,

„ლიგა"
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

ვინმე ურბანი ჩავიდა. ამ ადამიანით იმპერატორი კონსტანტინე ძალზე დაინტერესდა და ხელფასიც დაუნიშნა, მაგრამ ბიზანტიის ეკონომიკური მდგომარეობა ურბანს თავისი ოცნების ასრულების საშუალებას არ აძლევდა. მას კი მძლავრი ქვემეხის შექმნა ენადა. ამიტომ ნირწამხდარმა ურბანმა ბიზანტია დატოვა და იმდროინდელ თურქეთის დედაქალაქ ედირნაში ჩავიდა. ის ახალგაზრდა სულთანმა მიიღო, დაასაჩუქრა და მუშაობის ყოველგვარი პირობა შეუქმნა. მალე იმ იარაღის დამზადების შეკვეთაც მიიღო, რომელსაც „ბაბილონის გალავანი“ უნდა დაენგრია.

სამუშაო ძალზე რთული აღმოჩნდა, თუმცა ბოლოს შეპირებული იარაღი დამზადდა. მისი წონა 19 ტონას შეადგენდა, 8 მეტრის სიგრძის იყო, კალიბრი 750 მმ ჰქონდა და 500 კგ-იან ქვის ბირთვებს 1,5 კმ-მდე მანძილზე ისროდა. კონსტანტინოპოლის გალავნამდე მის გადასატანად 60 ხარი და 200 კაცი გახდა საჭირო. გასავლელ გზას წინასწარ მესანგრეები ასუფთავებდნენ და ასწორებდნენ.

ურბანმა მხოლოდ ეს ერთი ქვასატყორცნი როდი დაამზადა. კონსტანტინოპოლზე იერიშისთვის მან რამდენიმე ათეული სხვადასხვა კალიბრის მსგავსი საბრძოლო საშუალება მოამზადა. მათგან გასროლილი ქვები გალავანს იქით ეკლესიებს, საცხოვრებელ სახლებს ანადგურებდა და მოქალაქეებს შიშის ზარს სცემდა.

შვიდკვირიანი ალყა დასრულდა, 1453 წლის 29 მაისს ქალაქი დაეცა. იმპერატორი კონსტანტინე, რომელიც უკანასკნელ წუთამდე იბრძოდა, ჩანს, მოკლეს.

მომდევნო დღეებში კონსტანტინო[illegible] დამცირების მოწმე გახდა, რომელიც [illegible] ქალაქის ხვედრია. აია-სოფიას ტაძარი ჯარისკაცებმა ჯერ გაძარცვეს და წაბილწეს, ხოლო შემდეგ მეჩეთად გადააკეთეს. ქალაქელები, ვინც თავის გამოსყიდვა ვერ შეძლო, თურქებმა მონებად აქციეს.

კონსტანტინოპოლის დაცემა, გარდა იმისა, რომ უაღრესად ტრაგიკული მოვლენა იყო მსოფლიო ისტორიაში და განსაკუთრებით სამხედრო ხელოვნებაში, ახალი ეპოქის დასაწყისი გახდა. სწორედ მან მისცა დასაბამი არტილერიას. ამის შემდეგ თურქული არტილერია მთელი 200 წელი რისხვად ატყდებოდა არა მხოლოდ მის მეზობელ პატარა საქართველოს, არამედ მთელ ევროპას.

კონსტანტინოპოლი, რომელიც მეჰმედმა თურქეთის იმპერიის დედაქალაქად აქცია, მართლმადიდებელ ბერძენთა გულში დიდი ხნის განმავლობაში სისხლიან ჭრილობად დარჩა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მათ „ბრწყინვალე იდეის“ — ბერძნებით დასახლებული მიწების, მათ შორის კონსტანტინოპოლის შემოერთება სურდათ, მაგრამ 1919 წელს დაწყებული ომი თურქებთან ბერძენთა დეპორტაციით, ეთნიკური წმენდით და აზიურ სანაპიროზე მცხოვრები ბერძნების განადგურებით დასრულდა. ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობა დღემდე დაძაბულია.

**ამბროსი გრიშიკაშვილი**



*კონსტანტინოპოლზე შეტევის დროს ოსმალებმა ათეულობით სხვადასხვა კალიბრის ქვემეხი გამოიყენეს*


ეროვნული ბიბლიოთეკა
აირჩიე შესაფერისი იარაღი. ისროლე ზუსტად
გააუმჯობესე შენი შაშხანის სიზუსტე
ისწავლე თოფისთვის საფანტის შერჩევა
სიახლე!
335 მნიშვნელოვანი რჩევა ნადირობის შესახებ
ფასი 29.95 ლარი
დეივ პეტცელი
ფილ ბურჯეილი
სანადირო იარაღის დიდი სახელმძღვანელო
335 მნიშვნელოვანი რჩევა ნადირობის შესახებ
შაშხანები
საფანტის თოფები
და სხვა...
შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში
წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ: 0(32) 238 26 73, 0(32) 238 26 74 www.elva.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ულისე გრანტი 1822-1885

ულისე გრანტი ვესტ-პოინტის სამხედრო აკადემიაში აღიზარდა და ამერიკის სამოქალაქო ომის პერიოდში ჩრდილოელთა სამხედრო ძალებს მეთაურობდა. მისი წყალობით ფედერალურმა მთავრობამ კონფედერაციაზე გამარჯვება მოიპოვა.

გრანტი პრეზიდენტი გახდა.

ულისე მთრიმლავის ვაჟი იყო და ბავშვობაში ჯარისკაცობის სურვილს მაინცდამაინც არ ამჟღავნებდა, მაგრამ 1839 წელს ვესტ-პოინტში ჩააბარა, რადგან სხვა პერსპექტივას მაშინ ვერ ხედავდა. აკადემიის დამთავრებისას თავის ჯგუფში მოსწრებით ოცდამეერთე იყო, 1843 წელს კი — ოცდამეცხრამეტე. ერთადერთი საგანი, რასაც კარგად სწავლობდა, ცხენოსნობა იყო, ამიტომ მეოთხე საცხენოსნო პოლკში ლეიტენანტად გაამწესეს.

## ქრონოლოგია

* 1822 დაიბადა 27 აპრილს პოინ-პლეზანტში, ოჰაიოში.

* 1839-43 სწავლობდა ვესტ-პოინტის სამხედრო აკადემიაში.

* 1846-48 მექსიკის ომში იბრძოდა გენერალ ზაქარი ტეილორისა და გენერალ უინქლიფ სკოტის სარდლობით.

* 1854 სამხედრო სამსახური მიატოვა.

* 1861 სამოქალაქო ომის გამო ისევ დაბრუნდა ჯარში.

* 1862 აიღო ფორტ-დონელსონი — ეს იყო ჩრდილოელთა პირველი გამარჯვება. კონფედერატებმა უკან დაიხიეს, შაილოსკენ.

* 1863 ხანგრძლივი ალყის შემდგომ აიღო ვიკსბერგი, ჩრდილოელებმა მისისიპიზე დაამყარეს კონტროლი.

* 1864 დაინიშნა ჩრდილოელთა სამხედრო ძალების მთავარსარდლად.

* 1865 კონფედერატები დანებდნენ.

* 1869-77 ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტია.

* 1885 გარდაიცვალა 23 ივლისს მაუნთმაკგრეგორში, ნიუ-იორკის შტატში.

## მექსიკის ომი

როდესაც 1846 წელს მექსიკის ომი გაჩაღდა, მისი პოლკი გენერალ ზაქარი ტეილორს რიო-გრანდესთან შეუერთდა და მონტერეის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის ქება დაიმსახურა. გენერალ უინკლიფ სკოტის სარდლობით გრანტი სერო-გორდოსთან, ჩურუბუსკოსთან, მოლინო-დელ-რეისსა და ჩაპულტეპეკთან იბრძოდა. როდესაც ქალაქი მეხიკო დაეცა, გრანტს კაპიტნის წოდება მიანიჭეს, მიუხედავად იმისა, რომ ომი სძულდა, რადგან მიაჩნდა, რომ ბრძოლაში მონური შრომა გამოიყენებოდა.

ომის შემდეგ წყნარი ოკეანის სანაპიროზე გაგზავნეს, ჯერ ორეგონში, შემდეგ კალიფორნიაში. 1854 წელს სამხედრო სამსახური მიატოვა და მისურიში დაბრუნდა, სადაც ვერც ფერმერად ივარგა და ვერც საქმოსნად.

როდესაც 1861 წლის აპრილში ამერიკის სამოქალაქო ომი ატყდა, გრანტმა ამერიკის ჯარში თანამდებობის აღდგენა სცადა. ორ თვეში მოხალისეთა 21 პოლკი ჩამოაყალიბა და ერთ-ერთის მეთაურად დანიშნეს. მისი პოლკი თავდაცვითი და დივერსიული მიზნებისთვის იყო განკუთვნილი. გრანტი თანდათან დარწმუნდა, რომ საბრძოლო თეატრი დასავლეთში უნდა გადაეტანა, ნაცვლად ვირჯინიისა, სადაც მანამდეც არაერთხელ გამართულა ბრძოლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამერიკის სამოქალაქო ომში 1863 წლის 24-26 ნოემბერს ჩატანუგას ბრძოლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო, სადაც ჩრდილოეთელებმა გენერალ გრანტის მეთაურობით სამხრეთელები დაამარცხეს

## შეტევაზე

მისურიში, ბელმონტთან გამარჯვების შემდეგ, გრანტს ნება დართეს შეტევაზე გადასულიყო და 1862 წლის იანვარში ტენესისა და კუმბერლანდის მდინარეების ფორტიფიკაციების ასაღებად გაემართა ქვემეხიანი გემებითა და ილინოისის კაიროელი ჯარისკაცებით. ექვს თებერვალს ფორტ-ჰენრი აიღეს, ათი დღის მერე კი ფორტ-დონელსონი. 6 აპრილს კონფედერაციული ძალები კონტრშეტევაზე გადავიდნენ შაილოსთან, სადაც 13000 კონფედერატი შეებრძოლა გრანტის 63000-იან ჯარს და ბრძოლის ველიდან გარეკა კიდეც.

ამის მიუხედავად, ახლა უკვე ტენესის არმიის სარდალ გრანტს შეტევა არ შეუწყვეტია და მემფისი და კორინთი აიღო. 4 ივლისს ვიკსბერგში 30000 კაცი მოაქცია ალყაში და მისისიპიზე კონტროლი დააწესა, რითიც კონფედერატები შუაზე გახლიჩა. დასავლეთში მისი სარდლობით ჩატანუგა გათავისუფლდა, რითიც გენერალ შერმანს, ჯორჯიის გავლით, ზღვაზე სალაშქროდ გზა გაეხსნა. შედეგად, სამხრეთი ალყაშემორტყმული აღმოჩნდა.

როდესაც პრეზიდენტ აბრაამ ლინკოლნს არ ურჩევდნენ გრანტისთვის გენერლის წოდების მინიჭებას, მან უპასუხა: „მე ეს კაცი მჭირდება. ის იბრძვის". ომის მართვა გრანტმა შორი მანძილიდან ითავა, გენერალ შერიდანს შენონდოას ველის განმენდა ტელეგრაფით უბრძანა. ამ უკანასკნელმა რკინიგზა დაანგრია, რათა სამხრეთელებისთვის წინააღმდეგობის შანსი მოესპო, ამასობაში კი გრანტმა გენერალ მიდთან ერთად კონფედერაციული ძალების დედაქალაქ რიჩმონდზე შეტევა გადაწყვიტა. კონფედერატთა გენერალი რობერტ ი. ლი თავგამოდებით იბრძოდა, მაგრამ ჩრდილოეთის ეკონომიკური და ინდუსტრიული სიმძლავრე გარდაუვალ წაგებას უქადდა. ლიმ 1865 წლის 9 აპრილს აპომატოქსის სასამართლოს შენობასთან კაპიტულაცია გამოაცხადა.

გმირად შერაცხილი გრანტი ორჯერ აირჩიეს პრეზიდენტად, მაგრამ მეტისმეტად კორუფციული ადმინისტრაციის პირობებში მოუწია მართვამ. მოგვიანებით გაკოტრდა კიდეც, მაგრამ სიკვდილის შემდგომ გამოსულმა მემუარებმა მისი ოჯახი სილატაკისგან იხსნა.




## უპირობო კაპიტულაცია

- ფორტ-დონელსონი ნეშვილისკენ სამდინარო გზას აკონტროლებდა. 1862 წლის 12 თებერვალს გრანტმა ეს გზა გადაკეტა ქვეითთა და ფლოტის ჯარისკაცთა კომბინირებული გამოყენებით. კონფედერაციულმა ძალებმა გარღვევა სცადეს, მაგრამ ვერ მოახერხეს. დამარცხებულებმა პირობები და ზავი მოითხოვეს. გრანტმა კი უპასუხა: „არავითარი პირობები, გარდა უპირობო და დაუყოვნებელი კაპიტულაციისა". კონფედერატთა ძალების თხუთმეტი ათასმა ჯარისკაცმა იარაღი დაყარა, სწორედ ამის შემდეგ შეარქვეს მეტსახელად „გენერალი უპირობო კაპიტულაცია".
- 1863 წელს ვიკსბერგთან გრანტმა გამოზამთრება და მისისიპის დონის დაწევას დაელოდა, შემდეგ გადაელახა, რათა ვიკსბერგის გარნიზონსა და ჯექსონთან კონფედერატთა ძალებს შორის პოზიცია დაეკავებინა. ჯექსონის ჯარის უკუგდების შემდეგ, 16 მაისს, ჩემპიონ-ჰილთან ვიკსბერგის გარნიზონი დაამარცხა.

მოამზადა **ლევან ინასარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**252** ხმალი სამურაების მთავარი იარაღი იყო. ფოლადს მაღალ ტემპერატურაზე აწრთობდნენ და ლითონს რამდენიმე ფენად ადებდნენ. ხმალი სამურაის „სულად“ ითვლებოდა. ხმალს ოსტატი მჭედლები აკეთებდნენ. ის ხმლის ტარზე თავის, ასევე, მფლობელის სახელებსა და იღბლის მომტან სტრიქონებს ტვიფრავდა.

ტარი (ცუკა)

**253** ახალ ხმალს ამოწმებდნენ, რამდენად ბასრი იყო. მას ბამბუკზე შემოხვეულ თივის კონას, მუხის ბოძებს, სპილენძის თეფშებსა და ლითონის მუზარადებზეც კი შემოჰკრავდნენ ხოლმე. ხანდახან ხალხზეც ცდიდნენ, — დამნაშავეს ახალი ხმლით აჭრიდნენ თავს. საუკეთესო ხმალი იმდენად მჭრელი იყო, რომ ერთმანეთზე დაწყობილი რამდენიმე სხეულის გაჭრაც შეეძლო.



► ოსტატი მჭედელი მუშაობისას. თითოეული დარტყმა ხმალს ფორმას უცვლიდა და ის უფრო მტკიცე ხდებოდა.

წიგნიდან „500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან“, ნაწილი I





▲ კატანას ძალიან აფასებდნენ. საუკეთესო ხმლებს სახელებს არქმევდნენ, მაგალითად, „ურჩხულთა მჭრელი“ ან „პატარა დრაკონი“.

**254** მთავარ საბრძოლო ხმალს კატანა ერქვა. მას გრძელი, მოხრილი პირი ჰქონდა და უმეტესად ქვეით ბრძოლაში გამოიყენებოდა. სამურაის ის ორივე ხელით ეკავა და მტერს სხვადასხვა მოძრაობით — ზიგზაგისებრად, წრიულად, ზემოდან თუ ქვემოდან, ასევე დიაგონალურად ჩეხდა. ცხენზე ამხედრებული სამურაი კი ხმალს ცალი ხელით იქნევდა.



▲ კატანას ჯვარედი მეომრის ხელს იცავდა ბასრ პირზე გადაცურებისგან.



**255** მოკლე ხმალს, რომელსაც ტანტო ეწოდებოდა, ახლო მანძილზე ბრძოლაში იყენებდნენ. ტანტო ყველა სამურაის ჰქონდა. მისი სწორად გამოყენება ხშირად ორთაბრძოლის ბედს წყვეტდა. გამარჯვებული სამურაი დამარცხებულს თავს აჭრიდა.

▲ მოკლე ხმალი, ანუ ტანტო, და მისი ქარქაში. კატანას მსგავსად, ტანტოც ძალიან ბასრი იყო



◄ ნაგინატას მოხრილი პირი.

**256** სამურაი სხვა მჭრელ იარაღსაც იყენებდა. ნაგინატას გრძელი ტარი და ბასრი ცალი პირი ჰქონდა. პირი ჩეხისთვის გამოიყენებოდა, ხოლო ტარი დასარტყამად. ნაგინატა, ძირითადად, ასიგარუს იარაღი იყო, ასიგარუ შუბითაც იბრძოდა.



► შუბების უმეტესობას წვეტიანი წვერი ჰქონდა. ზოგიერთი მოკაუჭებული იყო და მხედრის ცხენიდან გადმოსაგდებად გამოიყენებოდა.

# დენთიანი იარაღი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**257** სამურაისთვის მშვილდი ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორიც ხმალი. მას იუმი ერქვა, ხისა და ბამბუკის ნაჭრებისგან თლიდნენ და თითქმის 2,5 მეტრი იყო სიგრძეში. იუმი ისარს დაახლოებით 380 მეტრზე ტყორცნიდა, მაგრამ მისი სასიკვდილო მანძილი 80 მეტრს არ აღემატებოდა.

▶ ისრისპირი სხვადასხვა ფორმისა და ზომის არსებობდა და სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა.



აბჯრის გამრღვევი შუბისთავები

მსტვენავი ისრისპირები

ორკაპა ისრისპირები

**258** ისარს ბამბუკისგან თლიდნენ, ხოლო პირი მრავალი სახეობისა არსებობდა. გატყორცნის შემდგომ ზოგიერთი სტვენისმაგვარ ხმას გამოსცემდა, ზოგიერთს აბჯარში შეღწევა შეეძლო, ზოგიერთს კი ორკაპი თავი ჰქონდა, რათა თოკი გაეჭრა. ლეგენდის მიხედვით, ერთმა სამურაიმ მტრის გემის წყალქვეშა კორპუსს ისარი ესროლა და გემი ჩაძირა.



◀ დიდი მშვილდი ეფექტური იარაღი იყო. გამოცდილი მშვილდოსანი სამურაები აუცდენლად ისროდნენ ისარს.



...წიგნიდან „500 ფაქტი მეომრების ისტორიიდან", პალიტრა L

ეროვნული ბიბლიოთეკა

**259** ალყის დროს (როდესაც ციხეს ან ქალაქს უტევდნენ) სამურაები ქვის სატყორცნ დანადგარებს იყენებდნენ. ადრეული სატყორცნები გიგანტურ არბალეტს ჰგავდა. მოგვიანებით ის ტრებუშეტმა შეცვალა. ტრებუშეტით დიდ ქვებს ისროდნენ და მტრის ცოცხალ ძალას ან ციხესიმაგრეს ანადგურებდნენ.

▼ სამურაები ტრებუშეტით ქვის სატყორცნელად ემზადებიან.



▼ ასიგარუ არკებუზს მიზანს უმიზნებს. მართალია, ეს იარაღი სწრაფად ისროდა ტყვიებს, მაგრამ ხშირად ფუჭად.

**260** 1540-იან წლებში იაპონიაში ახალი იარაღი გამოჩნდა. ეს იყო არკებუზი, მუშკეტის ნაირსახეობა (შაშხანის წინამორბედი). იაპონელები მას ტეპოს უწოდებდნენ და ქვეითები (ასიგარუ) ატარებდნენ. არკებუზს დენთით ტენიდნენ ტყვიის გასასროლად დაახლოებით 500 მ მანძილზე. სასიკვდილო მანძილი კი 200 მეტრი იყო.



**261** კიდევ ერთი იარაღი, რომლის გასასროლად დენთი გამოიყენებოდა, ზარბაზანი იყო. თუმცა, არკებუზისგან განსხვავებით, ზარბაზანი სამურაებს დიდად არ უყვარდათ. ყველა ზარბაზანი იმ ჰოლანდიური ან ინგლისური გემებიდან იყო, რომლებიც იაპონიის სანაპიროებს ეწვივნენ.

◄ ამ მეომრის ფართოლულიანი არკებუზი მსხვილ ტყვიას ისროდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბექა ქურხული

ნაწყვეტი მოთხრობიდან

# მუსაქალა



მოჯაჰედების უმრავლესობა უცაბედმა გასროლამ შეაკრთო. არ მოელოდნენ, ვერ დაინახეს, რა მოხდა. აბდელ ჰადირ ჰაჯი მოკლულ ჯარისკაცთან ჩაჯდა. დანარჩენები წრეზე დადგნენ. მდუმარედ უყურებდნენ დახვრეტილ ტყვეს, რომელიც რამდენიმე წამის წინ მათთან ერთად მოდიოდა. პირდაღმა წაქცეულ ამერიკელს მარცხენა ხელი ცუდად ჰქონდა მოყოლილი.

— გადმოაბრუნეთ და წესიერად დაასვენეთ, — თქვა აბდელ ჰადირ ჰაჯიმ, — ის ახლა უკვე აღარ არის მტერი, ადამის ძეა, რომელიც უმაღლესი მსაჯულის წინაშეა წარმდგარი, სადაც თავის საქმეთა მიხედვით მიაგებენ. ამქვეყნად კი აღარავისი ვალი აღარ ადევს.

ჯარისკაცი გადმოაბრუნეს და დაასვენეს. მარცხენა ხელი გაუსწორეს. მოულოდნელად სამხედრო ფორმაზე ამოქარგული, თეთრ-წითელი გერბის, გადაჯვარედინებული შუბებისა და ციფრ „41“ ქვევით გამოსახული რამდენიმე წითელი ჯვარი გამოჩნდა. აქამდე არ შეუნიშნავთ. აბდელ ჰადირ ჰაჯიმ დაკვირვებით დახედა. სხვებიც ჩასხდნენ და ყურადღებით შეხედეს. ერთი ჯვარი დიდი იყო, ოთხი — პატარა.

— ამერიკელები ხომ ებრაელები არიან? — იკითხა მოჰჰამად ისამ, რომელიც მაჯაჰედებში, ყველაზე უმცროსი იყო — დაახლოებით იმავე ასაკის, როდესაც აბდელ ჰადირ ჰაჯი რუსებთან საომრად წავიდა.

— ამერიკაში ყველა ჯურის ხალხი ცხოვრობს. ეს ეტყობა ქრისტიანი ამერიკელთაგანია, — თქვა მოჰჰამა იანუს ალა ჰაჯიმ.

— მზის ჩასვლისთანავე, დაღამდება თუ არა, ხეობიდან უნდა გავიტანოთ და გზაზე დავასვენოთ, სადაც ამერიკელები დადიან, რომ თავისიანებმა ნახონ და თავის წესზე დაკრძალონ...

— ხომ არ დავნაღმოთ? — იკითხა აბდულ რაჰანმა.

— რითი? — არაფერი გვაქვს, არც ბრონზა, არც გვარჯილა, არც დინამიტი. ხელყუმბარაც კი არა გვაქვს თან!

— მე მაქვს ორი ხელყუმბარა, სახლიდან გამოვიყოლე, — თქვა აბდულ ვალიმ.

— არა. ცუდი საქმეა ეგა. მიცვალებული მიწას უნდა მიაბარო და მორჩა. ეგრეა წესი. ამ ურჯულო მოჰჰამად ჰასანის გადამკიდე, დღეს უკვე დავარღვიეთ ადათი, ჩვენს ყიშლაღში საკუთარ თანამოძმესთან სტუმრად მისული კაცი მოვკალით. თან მარტო ალლაჰმა უწყის, რა ხდება ახლა მუსაყალში. მეტი ხმაური აღარ გვჭირდება, — თქვა მოჰჰამად იანუს ალა ჰაჯიმ.

— დარჩენილიყო თავის ავღანეთში, რა უნდოდა, რას მოდიოდა, ვინ დაპატიჟა აქ? რას გვერჩოდა? რას გვიცვივდებიან სახლში? — მოჰჰამად ისაც მოკლულ ჯარისკაცთან ჩამჯდარიყო და ბავშვური ცნობისმოყვარეობით უთვალიერებდა სახესა და სამხედრო ფორმაზე გამოსახულ ჯვრებს.

*ამ ყიშლაღს მუსაყალა ჰქვია, მაგრამ ამერიკელები „ყ“ ასოს ვერ გამოთქვამენ და ეძახიან მუსაქალას*

— მაგის ავღანეთს ამერიკა ჰქვია, ბიჭო, — მოჰჰამად ჰასანის გულუბრყვილობაზე ყველას გაეცინა.

— ეგ სულერთია. ყველას თავისი ავღანეთი აქვს და იმ ავღანეთს უნდა მიხედოს. დაეტიონ თავის ავღანეთში, სხვის ავღანეთს ნუ დაბომბავენ და არაფერი მოუვათ.

— საკმარისია! ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ, ბევრი რამ არ იცი და არ გესმის, შენზე უფროსებთან კი ამდენს ლაპარაკობ, თან ასე ხმამაღლა. არ არის ეს კარგი და ღირსეული საქციელი, — აბდელ ჰადირ ჰაჯიმ მოჰჰამად ჰასანს მხარზე ხელი დაჰკრა და ფეხზე წამოდგა, — ახლა ყბედობისა და დასვენების დრო არ არის. ბევრი საქმე და საზრუნავი გვაქვს. ორად უნდა გავიყოთ, ერთმა ნაწილმა ბინასა და თავშესაფარზე იზრუნოს, მეორემ კი ეს გადაასვენოს გზაზე. სადაცაა დაღამდება და მერე, იმ უკუნეთ სიბნელეში, ვეღარაფერს მოვახერხებთ.

მესამე დღეს ყველაზე უმცროსი, მოჰჰამად ისა გაგზავნეს სოფელში ამბის გასაგებად. იარაღი დაატოვებინეს და დაარიგეს, შეუმჩნევლად ჩასულიყო სოფელში და გაერკვია, რა ხდებოდა. თუ ამერიკელი სამხედროები ისევ მუსაყალაში იქნებოდნენ, ასევე შეუმჩნევლად უკან დაბრუნებულიყო, თუ არა და იქვე დარჩენილიყო — ეს იქნებოდა ნიშანი, რომ ამერიკელები ყიშლაღიდან გავიდნენ. მოჰჰამად ისა ახალგაზრდა იყო, მაგრამ ენდობოდნენ, ბავშვობიდან იბრძოდა, ყოჩაღი და საიმედო ბიჭი იყო. მოჰჰამად ისა აღარ დაბრუნებულა.

ამის შემდეგ მოჰჰამად იანუს ალა ჰაჯი ჩაბრუნდა მუსაყალში, მერე — მანან აქახალი და აბდულ ჰუსეინ რაჰიმი. ასე თითო-თითოდ და ორ-ორნი ჩადიოდნენ მუსაყალში. არც ერთი უკან აღარ მოსულა. სულ ბოლოს, აბდელ ჰადირ ჰაჯი დაბრუნდა. შუაღამისას შევიდა სოფელში. ფრთხილობდა — ეგებ მის წინ წასულები ხაფანგში გაებნენ და ამიტომ ვეღარ ამობრუნდნენ უკან, მაგრამ, მისდა გასაკვირად, ჯერჯერობით ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა.

ამერიკელები მუსაყალაში შემოვიდნენ. მთელი ის დღე, ღამე და მეორე დღე ყიშლაღში იყვნენ. ხუთი მკვიდრი დააპატიმრეს. აქედან ერთ-ერთი მათთან, ANP-ში (Avgan National Polis), აჰმედ ყარზაის ავღანურ პოლიციაში მსახურობდა. თავიანთი ჯარისკაცი მეორე დილითვე იპოვეს და ბაზაზე გადაასვენეს. ცა შვეულმფრენებით აივსო, კრაზანებივით დაფრინავდნენო — მუსაყალელებმა.

მას შემდეგ ორი კვირა გავიდა.

იჯდა აბდელ ჰადირ ჰაჯი თავისი სახლის წინ, გადმობრუნებულ ტაშტზე, სამხრეთისაკენ იყურებოდა და ფიქრობდა. საფიქრალი კი ბევრი ჰქონდა.

ამერიკელების ბაზიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. თითქოს არაფერი მომხდარიყოს. პატრულირებაზეც კი არ შემოსულან. როგორც წესი, დილაობით შემოდიოდნენ. ყოველდღე ელოდა მათ გამოჩენას. მხოლოდ ვერტმფრენი თუ მოფრინდებოდა და გაფრინდებოდა. ეგ იყო. სწორედ ეს სიჩუმე აფიქრებდა აბდელ ჰადირ ჰაჯის. ათასჯერ ერჩივნა პირდაპირი ბრძოლა, დაბომბვა და სროლა. უცნაურმა მოუსვენრობამ აიტანა. კარგს არაფერს ელოდა, გულიც რაღაც ცუდად ეწურებოდა და თავისგან პირველად მოკლული რუსი პრაპორშჩიკი ჩვეულებრივზე უფრო ხშირად და სულ უფრო ცხადად ახსენდებოდა!





ამერიკელი ჯარისკაცი გვერდზე დაცემულ მანან აქახალს დაადგა თავზე

მზე ჩადიოდა. დასავლეთისკენ იძირებოდა და ყავისფერ ავღანურ მთებზე ხასხასა წითელ ფერად ირეკლებოდა. მთის წვერებს ცეცხლი ეკიდა.

აბდელ ჰადირ ჰაჯიმ კიდევ ერთი სიგარეტი ამოიღო ჟილეტის ჯიბიდან და მოუკიდა. ზურგით სახლის კედელს იყო მიყრდნობილი და აბოლებდა.

მოულოდნელად სახლის ზევით, დაახლოებით ოც მეტრზე, შესახვევიდან ღმუილით გამოვარდა ამერიკული „ფორდის“ პიკაპი და მტვრის კორიანტელში ქვევით გავარდა.

გაოგნებულმა აბდელ ჰადირ ჰაჯიმ საჭესთან მჯდომი აბდელ სირაჯის გაჩეჩილი შავი წვერი და გაგიჟებული, დაჭყეტილი თვალებიღა დაინახა და იმავე წამს ყვითელმა მტვერმა სახე დაუფარა.

სახლში შევარდა, ავტომატი და მჭიდები აიღო, თან ცდილობდა, თვალებიდან და სახიდან მტვერი მოეშორებინა. კბილებში ქვიშა უკრაწუნებდა. გარეთ გამოვარდნილს ისევ ისეთი მტვერი დახვდა. ორ ნაბიჯზე ვერაფერს ხედავდა. მტვერში ზემოდან სირბილით წამოსული მანან აქახალი შეამჩნია.

— რა ხდება? ვინ არიან?! ამერიკელები ასეთ დროს არასოდეს შემოსულან, თან შვეულმფრენების გარეშე, — იყვირა მანან აქახალმა და თან ცალი თვალით ცას ახედა.

აბდელ ჰადირ ჰაჯი უხმოდ გაჰყვა თან. ჰუსეინ აბდულ რაჰიმი და აბდელ ქაჰარიც გამოცვივდნენ სახლებიდან.

— ეი, რა ხდება?! — მხიარულად იყვირა აბდელ ქაჰარმა და პირველი სროლაც გაისმა. მერე იქუხა, ცეცხლის დიდი სვეტი აიწია, აბდელ სირაჯის „ფორდი“ მაღლა ავარდა, ამობრუნდა და ზურგზე დაეცა. ყვითელ მტვერს შავი კვამლი შეერია. „ერპ[illegible]“ სისტემის ყუმბარმტყორცნით შუაზე გაგლეჯილი „ფორდი“ კაპოტით შემობრუნდა მოჯაჰედებისკენ. ბორბლები ჯერ ისევ ბზრიალებდა. ორ მათგანს ცეცხლი ეკიდა. აბდელ სირაჯი და საიდ ფაისალი ამობრუნებული მანქანის კაბინაში იწვოდნენ, მოჰამედ ისა მანქანის საბარგომ გაჭყლიტა, აბდულ ვალი აფეთქების ტალღამ შორს მოისროლა და ახლა, გამურული, სულს ღაფავდა. მოჯაჰედები მანქანას მისცვივდნენ, მაგრამ დაინახეს, რომ ცეცხლწაკიდებული „პიკაპის“ ბაკიდან ბენზინი წვეთავდა, ამიტომ უკან დაიხიეს, გზის აქეთ-იქით სახლებს ამოეფარნენ და სროლა ატეხეს. „კალაშნიკოვის“ კაკანმა იქაურობა გააყრუა, მაგრამ მალე ამობრუნებული „ფორდის“ აფეთქებამ ყველა ხმა ჩაახშო და იქაურობა შეაზანზარა. ავარდნილ მტვერში თითქოს ციდან ცვიოდა ცეცხლწაკიდებული მანქანისა და ადამიანების ნაწილები.

ცეცხლში, მტვერში, სროლაში, კვამლში, რომელიც ჩამავალ მზეს აბნელებდა, გერმანული ჯავშნოსნის MRAP-ის მოტორის ღრიალი და ჯავშანზე „კალაშნიკოვის“ ტყვიების გახშირებული კაკუნი ისმოდა. დროდადრო რიკოშეტის დროს ასხლეტილი ბრმა ტყვია წივილით იკარგებოდა ჰაერში.

MRAP-ი აფეთქებულმა და გაგლეჯილმა „ფორდმა“ მხოლოდ რამდენიმე წამით შეაყოვნა, მერე ჯავშნოსანმა ღმუილით გადაუარა მანქანას და გზის აქეთ-იქით ჩასაფრებული ავღანელებისკენ წამოვიდა.

მოჯაჰედებმა ავტომატებს მჭიდები გამოუცვალეს.

— ალლაჰუ აქბარ! ალლაჰუ აქბარ! ალლაჰუ აქბარ!.. — გაისმა აბდელ ქაჰარის განწირული ყიჟინა.

MRAP-ის კოშკურა შემობრუნდა და ტყვიამფრქვევის ჯერით იქვე მიაცხრილა ჰუსეინ აბდულ რაჰიმი და აბდელ ქაჰარი...

მანან აქახალი და აბდელ ჰადირ ჰაჯი ორღობეში შეცვივდნენ და მოსავლელი საცალფეხო გასასვლელებით მანან აქახალის სახლისკენ გაიქცნენ, საიდანაც უკვე ახლოს იყო დარ-ეს-მარიდის ხეობისკენ გასასვლელი გვირაბი...

„არ უნდა ჩამოვბრუნებულიყავით!.. ეტყობა ხელსაყრელ დროს არჩევდნენ თავდასასხმელად. იქნებ ახლაც გავაღწიოთ როგორმე, ამერიკელები ვიწროებში მაინც არ შემოგვყვებიან. მანქანიდან გადმოსვლას მოერიდებიან, გზები არ იციან...“

ქვევით, მთავარ გზაზე, გრიალით დაშხუოდა, MRAP-ი, ცამდე ავარდნილ მტვერში იქაურობას იკლებდა და განუწყვეტლივ ისროდა.

„ჩვენ გვეძებენ“, — ფიქრობდა აბდელ ჰადირ ჰაჯი და რუსული შვეულმფრენის ჭურვისგან დაფლეთილი აბდულ რაჰიმის სიტყვები გაახსენდა: „ინშალლაჰ! სიკვდილს ვესწრაფით და გვახარებს, მაგრამ მაინც არ ვიცით დარწმუნებით, ალლაჰი, დიდება მის სახელს, სამოთხის მადლსა და ნათელს გვაღირსებს თუ არა!“ „ეი, რამდენი კაცის სიკვდილს მომასწრო განგებამ მთელი ჩემი ბედკრული ცხოვრების მანძილზე და აი, მოვიდა ჩემი აღსასრული, დამიდგა განკითხვის დღე!“

— ნუ ნაღვლობ, გავასწრებთ. ამერიკელები ჩვენს ორღობეებში არ შემოვლენ. რომც შემოვიდნენ, იმ თავის ჯოჯოხეთის მანქანას ვერ შემოიყოლებენ, — აბდელ ჰადირ ჰაჯის ყურები დაგუბებული ჰქონდა.

მანან აქახალის ხრიალა მსტვენი ხმა თითქოს შორიდან ესმოდა, — ახლაც თუ გადავრჩით და გავასწარით, ალლაჰს ვფიცავ, მაგ წყეულ ბაზას ძირიანად ამოვბუგავ! რამდენი ძმა დაგვიხოცეს! ჩემს წონა ტროტილს ავიკიდებ და მაგ გველების ბუდეს მაინც ამოვწვავ...

ბინდდებოდა. ცოტა იმედი მოეცა. სროლის ხმაც აღარ ისმოდა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა. MRAP-ი ისევ მოძრაობდა გზაზე. როგორც ჩანს, ჩასასაფრებლად ადგილს ეძებდნენ.

მოჰჰამად ჰასანის სახლს მიაღწიეს. აქედან ერთი ხელის გაწვდენაზე იყო გვირაბი. აქამდე ისე მოვიდნენ, თვალი არავის მოუკრავს.

უცებ მანან აქახალი მოწყვეტით გაჩერდა, მოჰჰამად ჰასანის სახლის კარი წიხლის დარტყმით შეანგრია, გამწარებულმა, მტვრისა და ქვიშისგან გაყვითლებული ნერწყვით შეაფურთხა შიგნით და სირბილი განაგრძო.

ავტომატის ჯერი გაისმა. აბდელ ჰადირ ჰაჯი შემობრუნდა და დაინახა, როგორ წაიქცა მანან აქახალი მტვერში და აფართხალდა. მისკენ, თხუთმეტ-ოც მეტრზე, M-16-მომარჯვებული ამერიკელი ჯარისკაცი მორბოდა.

აბდელ ჰადირ ჰაჯი ცალ მუხლზე ჩაჯდა და გაგიჟებულმა ნახევარი მჭიდი დააცალა. ამერიკელი მტვერში გაქრა. აბდელ ჰადირ ჰაჯი წამოხტა და ისევ ზევით გაიქცა.

უცებ დაგუბებულ, მოზრიალე ყურებში აქამდე გაუგონარი ენა ჩაესმა, რომელშიც უცნაურად ენაცვლებოდა ერთმანეთს ხორხისმიერი და შიშინა ბგერები:

„აგე, ბიჭო! აგე, შეხედე, სად გარბის ეგ ჩათლახი! მიდი, მიუშვი დროზე, დააჭედე, მიდი! ესროლე, არ გაუშვა, მაგის დედას შე...“

აბდელ ჰადირ ჰაჯიმ ავტომატი შემოიბრუნა, შემობრუნდა და სწორედ ამ დროს შეუგლიჯა ათამდე ტყვიამ მარცხენა ფერდი წელიდან მხრამდე. თვალთ დაუბნელდა. ცხადად, მთელი ტანით იგრძნო, როგორ მიილო და შეუშვა მისმა სხეულმა ათი პატარა და ლადო-რივით ცხელი სიკვდილი.

ამერიკელი ჯარისკაცი გვერდზე დაცემულ მანან აქახალს დაადგა თავზე. თან აბდელ ჰადირ ჰაჯის არ აცილებდა ავტომატის ლულას.

მანან აქახალი სასიკვდილო სპაზმებმა ზურგზე გადმოაბრუნა. იწვა და სალი და დანით ამოთხრილი თვალებით აჰყურებდა უკიდეგანო ლურჯ ცას, რომელსაც სულაც არ ენაღვლებოდა, მის ქვეშ რა ხდებოდა და რას გადაჰფარებოდა.

ტყვიებით დაცხრილული აბდელ ჰადირ ჰაჯი იჯდა და ცხადად გრძნობდა, როგორ კვდებოდა. მისი დახვრეტილი სხეულიდან ელვის სისწრაფით ქრებოდა სიცოცხლე. მერე ნელა გადაწვა მშობლიური მუსაყალას მტვერში, რომელიც უცნაურად დარბილებულიყო და გამსუბუქებულიყო.

ცდილობდა გაეხსენებინა წმინდა ლოცვა, რომელიც ყოველმა მუსლიმანმა უნდა წაიკითხოს სიკვდილის წინ, მაგრამ დაბინდული, მუქ შინდისფერ სისხლში ჩაძირული გონება აღარ ემორჩილებოდა. „ოი, ალლაჰ, შემიწყალე, ალლაჰ, ალლაჰ, ალლაჰ...“ — ამის თქმასღა ახერხებდა.

იარაღმომარჯვებული ამერიკელი ჯარისკაცი ფრთხილად მიუახლოვდა. თვალს არ აცილებდა მომაკვდავ ავღანელს, რომელიც სიკვდილის წინაც ძველ რუსულ „კალაშნიკოვს“ ბღუჯავდა. გახეხილს, ლაქგადასულ ხისკონდახიანს.

აბდელ ჰადირ ჰაჯიმ უცებ ცხადად დაინახა — მის თავს წამომდგარ მტერს უნიფორმის მარცხენა სახელოზე ზუსტად ისეთივე წითელი ჯვრები ჰქონდა გამოსახული, როგორიც მათგან მოკლულ ამერიკელს. წითელი ჯვრები — ოთხი დიდი და ერთი პატარა.

გაკვირვება ვერ მოასწრო. საიდანღაც არაბული ნაშიდები — ლოცვები ჩაესმა და მიხვდა, რომ ომი დამთავრდა.

აბდელ ჰადირ ჰაჯი შაჰიდი გახდა ალლაჰის გზაზე.



ავღანური ყიშლაღების თიხის კედლებმა ამჯერად მოჯაჰედებს ვერ უშველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიახლე!

ჟურნალ "ისტორიანის" სექტემბრის ნომერთან ერთად

## გრიგოლ აბაშიძის ისტორიული ტრილოგია

6 ტომეული

## "ლაშარელა" წიგნი N1






**წიგნის ფასი: 3ლ**
ჟურნალთან ერთად 6ლ

## ეპიკური ისტორიული რომანი XIII საუკუნის მოვლენებზე



# გმირის დანატოვარი გმირები

**„დედა თუ დაგესიზმრა, ყველაფერი კარგად იქნება".**

„გამარჯობა, თქვენ შესახებ დებმა შემატყობინეს და იმიტომ გიპასუხეთ. უცნობებს, რომლებიც არასოდეს შემხვედრია, არ ვეკონტაქტები — ასეთი პრინციპი მაქვს.

თქვენზე ბებიაც მომიყვა. მოხიბლულია თქვენი ადამიანობით, ვფიქრობ, ძალიან კარგ საქმეს მოჰკიდეთ ხელი. დიდი მადლობა და წარმატებები.

დედაზე ბევრი რამ მახსოვს. ხუთი წლის ვიყავი, მაგრამ უამრავი რამ შემორჩა ჩემს მახსოვრობას. ალბათ, ეს ფსიქოლოგიური ფაქტორითაა განპირობებული — დეტალები რომ დავივიწყო, ე. ი. მშობლები უნდა დავივიწყო. ჩემი ტვინი, ალბათ, ამიტომაც ებლაუჭება წვრილმან მოგონებებს და ეს ძალიან მახარებს, რადგან მოგონებები ერთადერთია, რაც დედისგან დამრჩა", — ეს აბზაცი ამონარიდებია ნაი ლეზგიანის ბარათიდან, რომელიც მან სტრასბურგიდან მოგვწერა. ნაის და მის სამ დას: ლინას, ლიას და ირას დედა, მარინა ტაბატაძე, 1993 წლის 22 სექტემბერს თბილისიდან სოხუმისკენ გამოფრენილ ბოლო თვითმფრინავში აფეთქებისას დაიღუპა...



*მარინა ტაბატაძე*
*შინაგანი ჯარის სოხუმის ბატალიონის სამხედრო მოსამსახურე მშობლიური ქალაქის დასაცავად მიფრინავდა, როცა აფხაზების მიერ დაზიანებულ თვითმფრინავში დაიღუპა*

მათი ოჯახის ისტორია გაცილებით ადრე დაიწყო: ლაგოდეხელმა იზოლდა ფოფხაძემ და საჩხერელმა ოთარ ტაბატაძემ 1956 წელს შექმნეს ოჯახი. დაფუძნდნენ სამოთხისმაგვარ მიწაზე — შრომისმოყვარეობით სოხუმში ჩამბას ქუჩაზე თავიანთი სახლში ნამდვილი ოაზისი მოაწყვეს. შეეძინათ ულამაზესი ქალიშვილები: ქეთინო, რომელიც სამედიცინო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოსკოვში გათხოვდა, და მარინა, რომელმაც ოცდაცამეტ წელიწადში ჩატეულ სიცოცხლეში გმირი დედობა და სამშობლოს ერთიანობისთვის ომშიც მონაწილეობა მოასწრო.

ვარჩის დასასვენებელ სახლში, სადაც შინაგანი ჯარის სოხუმის ბატალიონი განთავსდა, მარინა ტაბატაძე ომამდე მუშაობდა. ბატალიონის მეთაურობამ ახლომახლო მცხოვრები ქართველი თანამშრომლები სხვადასხვა თანამდებობაზე დაიტოვა. ასე გახდა დიდ მხატვრობაზე მეოცნებე მედდა სამხედრო მოსამსახურე. ნიგნიერი, გეოგრაფიასა და ისტორიაში განსწავლული მარინა სხვადასხვა ეროვნების მეზობლებსა თუ თანამშრომლებს საქართველოს ისტორიიდან საორჭოფოდ ქცეულ საკითხებს დამაჯერებლად უსაბუთებდა. სამშობლოს სიყვარულს□ და ერთგულებას სხვაგვარი დამტკიცებაც დასჭირდა და ოთხი შვილის დედა ფეხმოუცვლელად დადგა იქ, სადაც საჭიროება და სინდისი კარნახობდა.

„დედა სამსახურიდან სულ დაქანცული მოდიოდა, ლამაზი თვალები ხშირად ნამტირალევი ჰქონდა. დაღლილს რომ ვუყურებდი, მეც სულ მეტირებოდა", — იგონებს პატარაობის შთაბეჭდილებებს ლია.

„ცოტა ხანში სამხედრო ნაწილი ბაბუშერაში გადავიდა, დასასვენებელ სახლ „ტოლიატიში". კარგად მახსოვს, რომ მოვიცლიდი, ვაკითხავდი, გამზადებული სადილი მიმქონდა, ვეხმარებოდი, რითაც შემეძლო.


დები — ნაი, ლინა, ლია და ირა ლეზგიანები

ერთხელაც ბავშვს სიცხე მისცა, ვერ დავუწიე, შევფუთე და იქით მივუყვანე", — მოგონებები გაუმძაფრდა ქალბატონ იზოლდას.

„გუშინდელ დღესავით მახსოვს, ბებო, ბრძოლები რომ გახშირდა მეზობლის სარდაფში ვიმალებოდით, თითქოს ის ჩვენსაზე დაცული და ღრმა იყო, ღამე შუქს ვერ ვანთებდით. ასე დიდხანს გაგრძელება შეუძლებელი იყო, მაგრამ ერთმანეთს ვერ ველეოდით, იმედი გვქონდა, რომ ეს კოშმარი დღეს თუ არა, ხვალ მორჩებოდა. ომის მომთავრებას სასიკეთო პირი არ უჩანდა. პირიქით, უფრო და უფრო ძალაში შედიოდა, მთელი ქუჩა გაიკრიფა და გასახიზნად გამზადებულმა მეზობელმა გვირჩია, დატოვეთ აქაურობა, ბავშვები ცოდოები არიანო. ბევრი ფიქრიც აღარ იყო საჭირო. მთელ ქუჩაზე რამდენიმე ჯიუტი მოხუცილა იყო შემორჩენილი. ავჭედეთ კარ-ფანჯრები და მალე უკან დაბრუნების იმედით გამოვიხურეთ ჭიშკარი, თურმე უკანასკნელად...

თბილისისაკენ წასვლა საკმაოდ გაგვიძნელდა. ტრანსპორტი ცოტა იყო, ოჯახებიდან აყრილი ხალხი კი — ბევრი. როგორღაც ავედით მოსკოვის თვითმფრინავში, რომელსაც გეზი შეაცვლევინეს. ნახერხებში მოთავსებულ დაჭრილებსა და ჯერაც სისხლმდინარ ცხედრებში ჩავმალეთ ბავშვები.

თბილისში ჩასულებმა რამდენიმე დღე ნათესავთან გავატარეთ, შემდეგ მარინამ კავშირგაბმულობის სამინისტროს საერთო საცხოვრებელში ჩვენთვის ორი ოთახის გამოყოფა მოახერხა. აქეთ სოხუმია — ჩემი სახლი, იქით გულრიფში კი – გოგოების", – გვიჩვენებს ქალბატონი იზო.

მარინამ წინა ხაზს გამორიდებული შვილები და დედა დააბინავა. თვითონ კი იქით წავიდა, საითაც ფესვები, სახლი და სამშობლოსა და თანამებრძოლთა წინაშე პასუხისმგებლობა ეძახდა. წავიდა იმედით, რომ სულ მალე მორჩებოდა ომი და ყველანი კვლავ ერთად იქნებოდნენ. მარინა მიდიოდა, მოდიოდა და ისევ მიდიოდა...

1993 წლის სამშვიდობო მოლაპარაკების შემდეგ, ცოლ-ქმარი ერთად ჩამოვიდა თბილისში ბავშვების წამოსაყვანად. მშვიდობას დანატრულებმა დაიჯერეს ომის დამთავრება. ქალბატონმა იზოლდამ, საბოლოოდ დაწყნარდეს ყველაფერი, დალაგდეს ქალაქი, მოაწესრიგეთ სახლი და მერე წამოვალთ მე და ბავშვებიო.

მარინამ ორი წლის ირა, რომელიც განუწყვეტლივ ტიროდა დედაზე, დედამთილთან მიიყვანა „მასლიანკაში". ორი კვირის შემდეგ ისევ ჩამოვიდა — ახლა მართლა წამოდითო.

სანამ ოჯახი დასაბრუნებლად ემზადებოდა, მოწინაალმდეგემ მოლაპარაკება დაარღვია და ომი განაახლა. ცხადია, დედა პატარა ირას განსაცდელში ვერ მიატოვებდა... სოხუმის დაცემის წინა დღეებში, გაწირული ქალაქიდან ჯარიც კი რომ გამორბოდა, მარინა იქით მიდიოდა.

იმ ბოლო, საბედისწერო თვითმფრინავიდან სასწაულებრივად გადარჩენილებს სამუდამოდ დაამახსოვრდათ მოწითალოკაბიანი წარმოსადეგი ქალი, რომელიც სამხედროებს ევედრებოდა, წამიყვანეთ, პატარა მყავს სოხუმში დედამთილთან, ბავშვმა ქართულის მეტი არაფერი იცის, მომიკლავენო...

„1993 წლის 22 სექტემბერს ბაბუშერასთან ზღვის მხრიდან აფხაზების ნასროლი რაკეტით მძიმედ დაზიანდა სამგზავრო თვითმფრინავი Ту-154, რომელიც აეროპორტში დაჯდომისას აფეთქდა. თვითმფრინავში მყოფებიდან 95 მებრძოლი დაიღუპა", — ეს მწირი ინფორმაცია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 23 სექტემბერს დაიბეჭდა. დაღუპულთა შორის იყო მარინა ტაბატაძე...

ალმოდებული სოხუმიდან პატარა გოგონა მამის ძმამ დიდი ჩანთით გააპარა მოსკოვში. დაავადმყოფებულმა ბავშვმა დეიდამდე დეკემბერში მიაღწია.

ქალბატონი იზოსთვის იმ ავადსახსენებელი სექტემბრიდან დაიწყო ცხოვრება გაასმაგებული ტვირთით. ოთარაანთ ქვრივები და თავსაფრიანი დედაკაცები საქართველოს არ უკვირს, მაგრამ ბებია, რომელმაც ოთხი ქალიშვილი აღზრდა, იშვიათია.

„ღვთისმშობელი მეხმარებოდა ბებია, თორე მაგას მე რა შემაძლებიებდა", — ეს დღევანდელი გადასახედიდან, მაგრამ მაშინ, შვილზე დარდით გულგაქვავებულ დედას შვილიშვილები ერთმანეთისათვის არ უნდა დაეშორებინა.

შვილის ცხედარსაც ეძებდა – ავლაბარში ყოველი გადმოსვენებულის ექსპერტიზას ესწრებოდა, შემდეგ კი თითოეულის დაკრძალვაზე მიდიოდა ბავშვებთან ერთად.

სანამ ბებია ლუკმაპურის საშოვნელად იყო წასული, შინ 10 წლის ლია დიასახლისობდა, პატარებზე ზრუნავდა. მოსკოვიდან დეიდაც ეხმარებოდათ.

1998 წლამდე ქალბატონმა იზომ ამაოდ იარა ერთი ინსტანციიდან მეორეში, ბავშვებისათვის კომპენსაცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის მოსაპოვებლად. ყველა შინაგანი ჯარის მთავარი სამმართველოსაკენ მიუთითებდა. იქიდან კი უარით ისტუმრებდნენ.

ისევ ჩაიცვა „რკინის ქალამნები" ბებიამ და კაბინეტიდან კაბინეტში იარა შვილის სურათთან ერთად, შეკითხვით, თუ იცნობდითო. იპოვა სოხუმის ბატალიონის დაფანტული მებრძოლები და ასე წვალებით აკინძა საბუთები. როგორც იქნა, გმირის შვილებს დაენიშნათ სიმბოლური კომპენსაცია!

ომის დამთავრებისთანავე რუსეთიდან ჯანმრთელობის პრობლემების გამო ჩამოყვანილ ირას მაგივრად, ბებომ მოსკოვში ლინა გაგზავნა, დეიდა უკეთესად მიხედავსო. წამოიჩიტა ლინა, დაიწყო მუშაობა და ახლა ის ეხმარებოდა დებს განათლების მიღებაში.

სახე გაუნათდა ქალბატონ იზოს, როდესაც ნაის იტალიელი დედობილ-მამობილი ახსენა. თხუთმეტი წლის განმავლობაში საზაფხულო გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სტუმრად წასულ ბავშვს დებისათვისაც კი ატანდნენ ყველაფერს, საოჯახო ტექნიკაც მათ შეუძინეს. ენების სწავლასაც მაშინ აუღო ალღო ნიჭიერმა გოგონამ. ნაი ლეზგიანმა შვიდი ენა იცის და თსუ-ის დამთავრების შემდეგ, როცა აქ სამსახურის დაწყების იმედი გადაეწურა, სტრასბურგში სტაჟირების შესაძლებლობა გამოუჩნდა. შემდეგ მაგისტრატურაში სწავლა გააგრძელა. ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა მათი ოჯახის ტრადიციაა.

„ერთადერთი სადარდებელი დამრჩა – ჩემი შვილის საფლავი მინდა მქონდეს. როდესაც დარდი შემომაწვება და მიცვალებულთა მოხსენიების დღეებში გმირთა მოედანზე მივდივარ მემორიალთან, სადაც რატომღაც ჩემი შვილის გვარი არ არის ამოტვიფრული, არადა, ამ საბუთებში ხომ ყველაფერი შავით თეთრზე წერია".

„დედის საფლავი თუ გვექნება, ჩავთვლით, რომ ის ჩვენთვის ხელახლა დაიბადა. უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების სახელმწიფო კომისიაში ძიების განახლებას შეგვპირდნენ", — ამბობს ლია, რომელმაც სრულიად პატარამ დედის ტვირთი აიღო, ახლა კი ზრდასრულმა შეგნებულად დედის გვარიც".

„გაგიკვირდებათ, მაგრამ დედა კარგად მახსოვს. სულმოუთქმელად ველოდით ირას დაბადებას, გვეგონა, როდესაც დაიბადებოდა, ათას რაღაცას მომიყვებოდა, სად გაატარა ეს ცხრა თვე, როგორ ცხოვრობდა...

დედა ძალიან კარგად ხატავდა. თამაში რომ მინდოდა, მივხოხდებოდი დედასთან და ვეტყოდი, მოდი, ვხატოთ-მეთქი. ირინას, რომელიც ტიტლიკანა ლოგინზე გორავდა, დედა რამდენიმე წუთში ხატავდა. ჩვენც გამოგვყვა ხატვის ნიჭი, ყველა ვხატავთ...

დედას კითხვაც უყვარდა. გვერდით მივუსკუპდებოდი და მეც ვითომ ვკითხულობდი, წიგნების სუნი მომწონდა. მახსოვს, როდესაც თავი სტკიოდა, მეტყოდა, თავზე დამადე ხელებიო. პატარა ხელებს დავადებდი თავზე და ვუამებდი ტკივილს...

დედა უზომოდ მენატრება!..

P.S. ვერაფერს დავამატებ, ბედნიერად, გოგოებო! ეპიზოდები თქვენი ცხოვრებიდან ისე მოვყევი, როგორც შევძელი. ყოველთის მემახსოვრებით და ყველას ვეტყვი, რომ თქვენმა გმირმა დედამ გმირი შთამომავლობა დატოვა.

**ნინო მელაძე**



თბილისისკენ მომავალ თვითმფრინავში ადგილის მოპოვება ერთ ბრძოლას უდრიდა და რეისის შესრულებაც ძალიან სახიფათო იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ოფიცრის ატლასი“ კარტოგრაფიული ნოვაცია




ამ სახელწოდებით პირველი ქართულენოვანი ატლასი გამოიცა, რომელიც სამხედრო მოსამსახურეთა ფართო წრისთვის არის განკუთვნილი. ავტორთა თქმით, ატლასის შექმნა სხვადასხვა მიზეზმა განაპირობა: შეიარაღებული ძალების სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურით უზრუნველყოფამ, ქართული კარტოგრაფიული მეცნიერების განვითარებამ, სამხედრო პირების ინტელექტუალური დონის ამაღლებამ.

„ოფიცრის ატლასი“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის, ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიულმა სამმართველომ შეიმუშავა და გამოსცა.

სამეცნიერო-საცნობარო სამხედრო ატლასი აქამდე გამოცემულ ქართულენოვან ატლასებს შორის ყველაზე დიდი და ინფორმაციულია. მასში განხილულია მთელი მსოფლიო, ცალკეული კონტინენტები, ქვეყნები და ქალაქები. განთავსებულია ფიზიკური, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, ისტორიული, ზოგადგეოგრაფიული რუკები, ქალაქების გეგმები.

ატლასი დაყოფილია რამდენიმე განყოფილებად. პირველ განყოფილებაში განთავსებულია ზოგადი ინფორმაცია დედამიწის, მზის სისტემისა და მთვარის შესახებ. აქვე გაეცნობით კარტოგრაფიული პროექციების ძირითად სახეობათა ილუსტრაციებს. ამავე განყოფილებაში შედის სხვადასხვა თემატიკის რამდენიმე მსოფლიოს რუკა.

მეორე განყოფილება მოიცავს საქართველოს, მოსაზღვრე ქვეყნების, კავკასიის რეგიონისა და შავი ზღვის რუკებს. ატლასში განთავსებულია რამდენიმე განყოფილება კონტინენტების მიხედვით: ევროპა, აზია, აფრიკა, ჩრდილოეთი ამერიკა, სამხრეთი ამერიკა, ავსტრალია და ოკეანეთი, ანტარქტიდა.

ოფიცრის ატლასის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ისტორიული რუკების სერია, რომელიც ასახავს საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს. ატლასში სულ განთავსებულია 270 რუკა და სქემა. მათ შორის, 40 ზოგადი სქემა, 67 ფიზიკური, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და ზოგადგეოგრაფიული რუკა, 69 ქალაქის რუკა, 94 ისტორიული რუკა, 36 ბრძოლების ამსახველი სქემა.

ატლასის მეორე ნაწილს წარმოადგენს ტექსტური დანართი, სადაც გაეცნობით დიდი მოცულობის ინფორმაციას ცალკეული კონტინენტის, ქვეყნისა და სხვადასხვა ფიზიკურ-გეოგრაფიული ელემენტის შესახებ. აქვე განთავსებულია ატლასის რუკებზე მოცემული ყველა ობიექტისა და ტოპონიმის ანბანური საძიებელი.

თუ როგორ შეიქმნა „ოფიცრის ატლასი“ და რა შრომა გასწიეს ამ სახელმძღვანელოსთვის, ამის შესახებ „არსენალი“ თანაავტორებს ესაუბრა;

**ზურაბ ლაოშვილი, გეოინფორმაციული სისტემების განვითარების ფონდის ექსპერტი, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი:**

— „ოფიცრის ატლასი“ განსაკუთრებული კარტოგრაფიული ნაწარმოებია და ამისი ფუფუნება ყველა ქვეყანას არა აქვს. ძალიან შრომატევადი საქმეა. მისი იდეა გაერთიანებული შტაბის ტოპოგრაფიული სამმართველოს უფროსს, ვიცე-პოლკოვნიკ ნოდარ ხორბალაძეს ეკუთვნის. თავიდან სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი. ასეთი რამ მხოლოდ დიდ სახელმწიფოებს აქვთ, საბჭოთა კავშირს ჰქონდა სახელმწიფო ატლასი, რომელსაც ჩვენც ვიყენებდით და დროდადრო განახლებულს გამოსცემდნენ... ჩვენს ატლასში ცალკეა ისტორიული ბლოკები, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიით არის შესრულებული. გარდა ამისა, ფუნდამენტურად, გეოგრაფიულ კონტექსტში, კარტოგრაფიულად არის შესრულებული საბრძოლო მოქმედებები ძველი წელთაღრიცხვიდან დღემდე.

ნოდარ ხორბალაძემ, როგორც რუკების ავტორმა, ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანა, — ყველა ინფორმაცია ისტორიკოსებთან ერთად დეტალურად დაამუშავა.

**— „ოფიცრის ატლასში“ საქართველოს გარდა, მსოფლიოს ქვეყნებია თავმოყრილი.**

— დიახ, საძიებო სისტემაა გაკეთებული და ნებისმიერი რუკა, რომელიც ოფიცერს სჭირდება, ადვილად იძებნება. მდიდარია სამეცნიერო და საცნობარო ინ-

ფორმაციით. ერთი სიტყვით, თანამედროვე მსოფლიოს კარტოგრაფიაში არსებული ტენდენციები სრულად არის გათვალისწინებული.

როდესაც მკითხველი მას დეტალურად გაეცნობა, თუნდაც დიდგორის ბრძოლას, დარწმუნდება, რომ ეს მოვლენა დროსა და სივრცეში რეალურად არის ასახული. ეს ძალიან სასარგებლოა როგორც საბრძოლო გამოცდილების გასათვალისწინებლად, ისე მეომრული სულისკვეთების ასამაღლებლად. რა თქმა უნდა, საინტერესოა, როდესაც ასეთი ფაქტების შესახებ წიგნში ვკითხულობთ, მაგრამ ძალიან საინტერესოა, როდესაც რუკაში ვნახულობთ ყველაფერს.

— **კარტოგრაფიულ რუკას ისტორიკოსებისა და მემატიანეების მიერ აღწერილი რომელიმე ფაქტის შინაარსი ხომ არ შეუცვლია?**

— კარტოგრაფიული რუკის პლუსიც სწორედ ის არის, რომ ის მოვლენებს დროსა და სივრცეში ალაგებს. ჩვენდა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ დავით აღმაშენებელს დიდგორის ბრძოლის დროს გეოგრაფიული სივრცე და რელიეფების მოცულობაც კი ჰქონდა განსაზღვრული. არის შემთხვევები, როდესაც დადებით შედეგს მრავალრიცხოვნობა კი არა, გეოგრაფიული გარემოს გათვალისწინება, რელიეფი, მცენარეული საფარი, კლიმატი, წყალი, სწორი სამხედრო დაგეგმარება განაპირობებს. სამხედრო ატლასი კი, წარსულის გამოცდილების გაანალიზების საშუალებას იძლევა. ოფიცერმა უნდა იცოდეს, სად, რა, როგორ განალაგოს და დაგეგმოს. ეს ატლასი თვისებრივად განსხვავდება საბჭოთა დროს შედგენილი კარტოგრაფიული რუკისგან, ის ციფრული მოდელზეა აწყობილი.

— **„ოფიცრის ატლასი“ ყველასთვის ხელმისაწვდომია?**

— ჯერჯერობით მხოლოდ შიდა მოხმარების პროდუქტია და უკვე იყენებენ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. თუმცა, ვისურვებდი, სამაგიდო წიგნი ყოფილიყოს.

**ნოდარ ხორბალაძე, ტოპოგრაფიული სამმართველოს უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი:**

— ეს ფუნდამენტური ნაშრომია. განსაკუთრებით საინტერესოა ისტორიული ბლოკის რუკები. გეოგრაფიულ სივრცეში ისტორიული მოვლენების გაცოცხლება და რუკაზე დატანა შრომატევადი საქმე იყო... ატლასში შეტანილია როგორც ანტიკური სამყაროს, ისე უახლესი ისტორიული მოვლენები.

ატლასში მთელი მსოფლიოსა და საქართველოს კლასიკური ბრძოლებია ასახული. რაც შეეხება მსოფლიოს ქვეყნების ისტორიას, 250-ზე მეტი წიგნი წავიკითხეთ და გავაანალიზეთ. ინფორმაცია მოვიძიეთ ინტერნეტშიც. მალე გამოვა ატლასის სპეციალური დანართი, რომლითაც ოფიცერი ნებისმიერ ქვეყანაზე სტატისტიკური მონაცემების მოძიებას შეძლებს.

„ოფიცრის ატლასი“ ნათელი მაგალითია იმისა, რომ ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული სკოლის გზას ღირსეულად ვაგრძელებთ.

**ლალი პაპასკირი**




*ატლასის ერთ-ერთი გვერდი თბილისს დაეთმო*

# აზორის კუნძულები




2008 წლის 28 დეკემბერს პორტუგალის პრეზიდენტმა ანიმალ კავაკუ სილვამ ხელი მოაწერა კანონს აზორის კუნძულების ახალ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ სტატუსზე, რომლითაც რეგიონის ავტონომია გაფართოვდა.

მანამდე მან ორჯერ დააბრუნა კანონპროექტი, რადგან არ ეთანხმებოდა ზოგიერთ დებულებას, სადაც, მისი აზრით, რესპუბლიკის პრეზიდენტის კომპეტენციები იზღუდებოდა.

სახელმწიფოს მეთაური საკუთარი პოზიციის ასახსნელად სპეციალური მიმართვით ერის წინაშეც კი გამოვიდა. მაგრამ მას მერე, რაც ქვეყნის პარლამენტმა მესამედ მისცა თანხმობა, იძულებული გახდა, კანონპროექტზე ხელი მოეწერა.

ასე რომ, კანონპროექტი კანონი გახდა და ძალაში შევიდა. ამჟამად აზორის რეგიონული პარლამენტი პრაქტიკულად არ ემორჩილება არც პორტუგალიის პრეზიდენტს, არც საერთო-ეროვნულ პარლამენტს.

ექსპერტთა აზრით, პოტენციურად ახალ კანონს შეუძლია აზორის კუნძულებზე წარსულში არსებული სეპარატისტული განწყობილება ისევ წაახალისოს.

აზორის კუნძულები (პორტუგალიურად — ქორების კუნძულებს ნიშნავს) ევროპასა და ამერიკას შორის მდებარეობს და ტრადიციულად მნიშვნელოვან სტრატეგიულ დანიშნულებას ასრულებს.

ატლანტის ოკეანის წყლებით გარშემორტყმული ეს ტერიტორია არქიპელაგია, რომლის შემადგენლობაში 9 კუნძული და რამდენიმე რიფი შედის. საერთო ფართობი 2,3 ათასი კვკმ-ია, ხოლო მოსახლეობა 250 ათასზე მეტია.

აზორის კუნძულებს ჯერ კიდევ კართაგენელი მეზღვაურები იცნობდნენ. 1431-1453 წლებში არქიპელაგი პორტუგალიელებმა დაიკავეს, ხოლო 1580-1640 წლებში კი ესპანელთა ხელში გადავიდა და ამერიკისკენ ცურვისას ესპანეთის ფლოტისთვის უმნიშვნელოვანეს სადგომს წარმოადგენდა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას პორტუგალიის მმართველმა-დიქტატორმა სალაზარმა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის წლებში ჰიტლერს მხარს უჭერდა, აშშ-ის კუნძულ ტერსეირაზე ავიაბაზა „ლაჟეში“ გადასცა. ავიაბაზა დღემდე ფუნქციონირებს.

NATO-ს წევრი პორტუგალია აზორის კუნძულებს აქტიურად იყენებდა აფრიკაში მიმდინარე კოლონიური ომების დროს.

1974 წლის აპრილის რევოლუციამ პორტუგალიაში დიქტატურა დაამხო და იმ პერიოდში აზორის კუნძუ-



ლების მოსახლეობაში სეპარატისტული იდეები გაჩნ-და.

კუნძულების სტრატეგიული მდებარეობის შესახებ ამას წინათ განაცხადა ტერიტორიის ავტონომიური მთავრობის მეთაურმა. მან აღნიშნა, რომ კუნძულების ხარჯზე პორტუგალიამ საკუთარი საერთაშორისო სტა-ტუსის ამაღლებაში დიდი ნაბიჯი გადადგა.

„აზორის კუნძლების მეშვეობით ევროპული კონტი-ნენტის ეს პერიფერიული ტერიტორია ატლანტიკური დიალოგის ცენტრალური ნაწილი გახდა", — ასეთია ავ-ტონომიური მთავრობის მეთაურის აზრი.

არქიპელაგი აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის შემაერ-თებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია.

NATO-ს გეგმებში აზორის კუნძულებს დიდი ადგი-ლი უკავია. გამომდინარე იქიდან, რომ აზორის კუნძუ-ლები წარმოადგენს ტრანსატლანტიკური ავიახაზების მსხვილ ტრანზიტულ ბაზას, აგრეთვე ამერიკას, ევრო-პასა და აფრიკას შორის საოკეანო კომუნიკაციებისა და საკონტინენტთაშორისო კავშირის ხაზების (წყალქვეშა კაბელების) კვანძს.

გარდა ამისა, აზორები შედის ალიანსის პასუხისმ-გებლობის ზონაში, და კუნძულებზე განლაგებული ყვე-ლა სამხედრო ობიექტი კი NATO-ს გაერთიანებული შე-იარაღებული ძალების დაქვემდებარებაშია.

ამჟამად აზორის კუნძულებზე განლაგებულია პორტუგალიის არმიის მცირე დაჯგუფება, რომე-ლიც სახმელეთო და საავიაციო დანაყოფებს აერთი-ანებს.

საზღვარგარეთული სამხედრო წყაროები აღნიშნა-ვენ, რომ პენტაგონი აზორის კუნძულებს კვლავინდე-ბურად მიიჩნევს იმ პლაცდარმად, საიდანაც საკუთარი ჯარების დიდმასშტაბურ გადასროლის შეძლებს ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში.

ავიაბაზა „ლაჟეში" (აქვს 3 ასაფრენ-დასაფრენი ზო-ლი ზომით 3320X90, 1860X45 და 1830X45 მ) მხოლოდ აშშ-ის სამხედრო საქმიანობისთვის როდი გამოიყენება.

2003 წელს ავიაბაზაში ჩატარდა აშშ-ის, დიდი ბრიტა-ნეთის, ესპანეთისა და პორტუგალიის ლიდერების შეხ-ვედრა, რომლებმაც მოიწონეს ვაშინგტონის გადაწყვე-ტილება ერაყში შეჭრის შესახებ.

ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციების მო-ნაცემებით, არც ისე დიდი ხნის წინ ამ ბაზის მეშვეობით ევროპიდან კუბაზე (ამერიკული ბაზა გუანტანამოზე განლაგებულ ციხეში) ცენტრალურმა სადაზვერვო სამ-მართველომ ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირები თვითმ-ფრინავებით გადაიყვანა.

ჯერ უმოქმედო ახალმა კანონმა უკვე გამოიწვია პირველი კონფლიქტი. არქიპელაგზე განლაგებული პორტუგალიური ჯარების სარდლობამ ეჭვქვეშ დააყენა სტატუსის ის დებულება, რომელიც სამხედრო ნაწილებ-ში არა მარტო სახელმწიფო (პორტუგალიური), არამედ რეგიონული დროშის აღმართვას მოითხოვს.

ამდაგვარი რამ წარსულშიც მოხდა. გასული საუკუ-ნის 80-იან წლებში აზორის კუნძულების რეგიონული ხელისუფლება სამხედრო ნაწილებში საკუთარი დრო-შის აღმართვას ითხოვდა, მაგრამ იმდროინდელმა პორ-ტუგალიის პრეზიდენტმა მარიუ სოარეშმა ვეტო დაადო ამ ინიციატივას.

ჯერჯერობით სეპარატიზმის იდეებმა კუნძულების მოსახლეთა შორის ჯერ ვერ მიაღწია იმ ზღვარს, როცა მოქალაქეები საკუთარი ტერიტორიის სუვერენიტეტზე ლაპარაკს იწყებენ.

მაგრამ ავტონომიის მომდევნო გაფართოების სა-სარგებლოდ და პორტუგალიის უნიტარული სახელმ-წიფოდან ფედერაციად გადაქცევის თაობაზე განწყობა აზორის კუნძულებზე აშკარად შეიმჩნევა.

გამორიცხული არ არის, რომ მომავალში ეს განწყობა გამომჟღავნდება იმ ინიციატივებში, სადაც კუნძულე-ბის ხელისუფლება ადგილობრივი ორგანოების დამოუ-კიდებლობის გაძლიერების მოთხოვნით გამოვა.

მაშინ ლისაბონს ყოველთვის გაუჭირდება იმის ახ-სნა, თუ რატომ აღიარა პორტუგალიამ დაუბრკოლებ-ლად კოსოვოს დამოუკიდებლობა და რატომ ასეთივე დამოუკიდებლობა არ შეიძლება მიეცეს აზორის კუნ-ძულებს.

**მოამზადა ვიქტორია ვაზაგაშვილმა**



*კუნძულ ტერსეირაზე ფუნქციონირებას განაგრძობს ამერიკელების სამხედრო-საჰაერო ბაზა „ლაჟეში"*

ეროვნული ბიბლიოთეკა



58 წლის წინ სევასტოპოლთან აფეთქდა და ჩაიძირა უდიდესი საბჭოთა სამხედრო ხომალდი „ნოვოროსიისკი“

# იტალიელებმა „ნოვოროსიისკის“ აფეთქება აღიარეს

1955 წლის 29 ოქტომბერს, გამთენიისას, საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალებმა დაკარგეს 29 ათასი ტონა წყალწყვის სახაზო ხომალდი „ნოვოროსიისკი“, რომელიც იმ მომენტში საბჭოთა სამხედრო ფლოტში უძლიერესი იყო.

„ნოვოროსიისკის“ ჩაძირვა, რასაც 614 მეზღვაურის დაღუპვა მოჰყვა, ორმა ძლიერმა წყალქვეშა აფეთქებამ განაპირობა, როდესაც ხომალდი სევასტოპოლის პორტთან ღუზაჩაშვებული უძრავად იდგა.

ამ კატასტროფიდან 58 წლის შემდეგ, 2013 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში, უცხოურ მასმედიაში გამოჩნდა ინტერვიუ ვეტერან იტალიელ წყალქვეშა დივერსანტ უგო დესპოზიტოსთან, რომელშიც ყოფილი ლეგენდარული მე-10 ფლოტილიის უხუცესმა წევრმა განაცხადა: „მეათე ფლოტილიის წევრებს არ სურდათ, რომ ეს ხომალდი, რომელიც 1949 წლამდე იტალიას ეკუთვნოდა და „ჯულიო ჩეზარეს“ სახელს ატარებდა, რუსებს გადასცემოდათ, ამიტომ გაანადგურეს“.

ამ სენსაციურმა აღიარებამ შეიძლება საბოლოოდ ახადოს ფარდა „ნოვოროსიისკის“ დაღუპვის ნახევარსაუკუნოვან საიდუმლოებას, თუმცა იტალიელი წყალქვეშა დივერსანტების როლი „ნოვოროსიისკის“ აფეთქებაში ერთ-ერთ ვერსიად მანამდეც განიხილებოდა.

თუმცა დავიწყოთ თავიდან. სახაზო ხომალდი „ჯულიო ჩეზარე“ იტალიამ წყალში ზუსტად საუკუნის წინ, 1913 წლის შემოდგომაზე ჩაუშვა. ის იმ დროისთვის მართლაც მძლავრი სამხედრო ხომალდი იყო ხმელთაშუა ზღვაში — 25 ათას ტონა წყალწყვისა და 176 მ სიგრძის ხომალდი მაქსიმალურ 21,5 კვანძს ავითარებდა და შეიარაღებული იყო 13 ცალი 305 მმ-იანი 18 ცალი 120 მმ-იანი და 16 ცალი 76 მმ-იანი კალიბრის ქვემეხებით.

პირველი მსოფლიო ომისდროინდელი ხომალდების კვალობაზე იტალიური „ჯულიო ჩეზარე“ მრისხანე ძალას წარმოადგენდა, თუმცა მიზეზთა გამო მის ეკიპაჟს არც ერთ საზღვაო ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია.

თუკი პირველ მსოფლიო ომში იტალია ბრიტანეთის მხარდამხარ გერმანიასა და ავსტრიას ებრძოდა, მეორე მსოფლიო ომში დუჩეს რეჟიმმა ჰიტლერის გერმანიასთან მეგობრობა ამჯობინა.

ხმელთაშუა ზღვაში იტალიური ფლოტი ბრიტანულს დაუპირისპირდა და უკვე თითქმის 30 წლის „ჯულიო ჩეზარეს“ ბრიტანულ „კოლეგასთან“ მოუწია საზღვაო შერკინებამ. ბრიტანული სახაზო ხომალდიდან გასროლილი 381 მმ-იანი საარტილერიო ჭურვი „ჩეზარეს“ გემბანს მოხვდა და ხანძარი გააჩინა, თუმცა მისმა კაპიტანმა მოახერხა ბრძოლიდან გამოსვლა და ნავსადგურში დაბრუნება.

1943 წელს, ზღვაში 38 საბრძოლო დავალების შესრულების შემდეგ, პორტში მდგარი „ჩეზარე“ მოკავშირეების ხელში გადავიდა, რადგან იტალიამ შეწყვიტა გერმანიის მხარეზე ბრძოლა. ამის შემდეგ იტალიური „ჩეზარე“ უკვე გერმანული ავიაციის სანუკვარი სამიზნე გახდა, თუმცა გადაურჩა მათ დაბომბვებს.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გამარჯვებულმა ქვეყნებმა დაიწყეს ნაგებულების საბრძოლო ტექნიკის გაყოფა რეპარაციის მიხედვით. იტალიური „ჯულიო ჩეზარე“ საბჭოთა კავშირს შეხვდა. 1949 წელს „ჩეზარე“ შავ ზღვაში, სევასტოპოლში შემოიყვანეს და ახალი სახელი — „ნოვოროსიისკი“ დაარქვეს.

მიუხედავად იმისა, რომ იმ მომენტისთვის „ნოვოროსიისკი“ უკვე 35 წლის იყო და ტექნიკურადაც არასახარბიელო მდგომარეობა ჰქონდა, მაინც საბჭოთა სამ-

ხედრო-საზღვაო ძალების ყველაზე დიდი წყალწყვის სამხედრო ხომალდი გახლდათ.

1950 წლების პირველ ნახევარში სევასტოპოლში ჩატარებული მოდერნიზაციის შემდგომ „ნოვოროსიისკის“ სრული წყალწყვა 29 ათას ტონამდე გაიზარდა, ხოლო სიჩქარე კი 28 კვანძამდე. შეიცვალა შეიარაღებაც — ხომალდზე დააყენეს 10 ცალი 320 მმ, 12 ცალი 120 მმ-იანი და 8 ცალი 1000 მმ-იანი საარტილერიო ქვემეხები.

თუმცა მთავარი სიახლე იმ დროისთვის საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ დიდ საიდუმლოებას წარმოადგენდა, კერძოდ, „ნოვოროსიისკის“ 320 მმ კალიბრის ქვემეხებს ატომური ჭურვის გასასროლად ცდიდნენ.

არ დაგვავიწყდეს, რომ 1952 წლის 18 თებერვალს თურქეთი ახალჩამოყალიბებული ჩრდილოატლანტიკური ალიანსის — NATO-ს წევრი გახდა და მის ტერიტორიაზე აშშ უკვე იწყებდა სტრატეგიული და ტაქტიკური დანიშნულების ბირთვული იარაღის განთავსებას.

თურქეთის სანაპიროსთან 20-25 კმ-ში მცურავი „ნოვოროსიისკიდან“ 320 მმ კალიბრის ატომური ჭურვების გასროლის შემთხვევაში ნახევარი სტამბოლის განადგურება და რაც მთავარია, ბოსფორის სრუტის ჩაკეტვა შეიძლებოდა, რაც ძალზე გააძნელებდა ამერიკული თუ ბრიტანული სამხედრო ხომალდების შემოსვლას შავ ზღვაში.

ეს საიდუმლო გეგმა „ნოვოროსიისკს“ მოძველებული სახაზო ხომალდიდან სტრატეგიული მნიშვნელობის ბერკეტად აქცევდა, რადგან მისი და ატომური ჭურვების იმედით სტალინს შავი ზღვის შესასვლელის ჩაკეტვის დიდი იმედი უნდა ჰქონოდა.

არ არის გამორიცხული, სწორედ კრემლის ეს გრანდიოზული საიდუმლო გეგმის გამჟღავნება გახდა „ნოვოროსიისკის“ აფეთქების ერთ-ერთი მიზეზი.

დადგინდა, რომ ლუზაზე მდგარი ხომალდის ქვეშ (წყლის სიღრმე 17 მ-ს აღწევდა, ხოლო ლამისა კი 30 მ-ს) ორი მძლავრი აფეთქება მოხდა, რომელთა საერთო სიმძლავრე 1200 კგ ტროტილის ეკვივალენტს აღწევდა. აფეთქების ტალღამ გაგლიჯა ხომალდის კორპუსი, რის შედეგადაც კუბრიკებში 100-150 მეზღვაური დაიღუპა, თუმცა „ნოვოროსიისკი“ მაშინვე არ ჩაძირულა. მისი გემბანი კიდევ სამი საათი იყო წყლის ზემოთ, მაგრამ შავი ზღვის ფლოტის სარდლობამ ხომალდის დატოვება აუკრძალა იმ ათასამდე მეზღვაურს, რომლებიც გემბანზე იდგნენ. „ნოვოროსიისკი“ ნელ-ნელა მარცხნივ გადაიხარა და მერე სწრაფად ჩაიძირა. წყალში გადამხტარი მეზღვაურების დიდი ნაწილი ხომალდის კორპუსმა ქვეშ მოიყოლა. დაიღუპა 614 მეზღვაური, მაშინ როდესაც მათი დიდი ნაწილის გადარჩენა შეიძლებოდა, აფეთქების შემდეგ მეთაურობას ხომალდიდან ევაკუაციის ნება რომ დაერთო.

აფეთქების გამოწვევის ოთხი ვერსია არსებობდა: პირველი — გერმანული მაგნიტური საზღვაო ნაღმის აფეთქება. თუმცა ომის დამთავრებიდან ათი წლის თავზე ზღვის სიღრმეში დარჩენილი ნაღმები ბრძოლისუუნარო იქნებოდა, რადგან ელექტროენერგიის წყაროები დაუჯდებოდათ, მეორე — სატორპედო შეტევა. ეს თეორიულად შესაძლებელი გახლდათ, თუმცა პრაქტიკულად ძნელად განსახორციელებელი, რადგან ჩვეულებრივი წყალქვეშა ნავი მცირე სიღრმის გამო შეუმჩნევლად ვერ მიუახლოვდებოდა „ნოვოროსიისკს“.

მესამე ვერსია ყველაზე ორიგინალური გახლდათ — „ნოვოროსიისკი“ ხრუშჩოვის საიდუმლო დავალებით თავად КГБ-მ ააფეთქა, რათა ნიკიტა ხრუშჩოვს გზიდან ჩამოეცილებინა სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი კუზნეცოვი და ის გენერლები, რომლებიც მის აზრებს არ იზიარებდნენ (რეალურად ასეც მოხდა — „ნოვოროსიისკის“ აფეთქებას მალე კუზნეცოვის მოხსნაც მოჰყვა).

მეოთხე ვერსია ყველაზე წარმოუდგენლად, ამასთან, რეალური ჩანდა — იტალიის ყოფილი მე-10 ფლოტილიის მეთაურმა, თავადმა იუნიო ვალერიო ბორგეზემ, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დროს პირველი წყალქვეშა სპეცდანიშნულების დივერსიული ჯგუფი შექმნა, აასრულა მუქარა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ჩაეძირა იტალიური „ჯულიო ჩეზარე“, რომელიც მოსკოვმა ალაფად წაიყვანა.

თუკი „ნოვოროსიისკის“ აფეთქებიდან 58 წლის შემდეგ იტალიელი ვეტერანი წყალქვეშა დივერსანტის სახალხო აღიარება სიმართლეა, გამოდის, უძლეველად მიჩნეულ КГБ-სა და ГРУ-ს თვალწინ უზარმაზარი ხომალდი ჩაუძირეს, რითაც საბჭოთა კავშირის ძლიერების იმიჯს უდიდესი დარტყმა მიაყენეს.

**ირაკლი ალადაშვილი**



იტალიელი წყალქვეშა დივერსანტების „მამა“ — თავადი ბორგეზე



ჩაძირული „ნოვოროსიისკის“ ამოღების მომენტი

# კროსვორდი



**თარაზული:** 1. ელექტროდენის ძალის საზომი ერთეული; 5. პატიმრის ოთახი; 8. თურქი ჯარისკაცი; 9. 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი წინამძღოლი; 10. კურორტი ბულგარეთში; 11. ფრანგი ფეხბურთელი; 12. შინაგანი მისწრაფება, ბიძგი, რაც იწვევს რაიმე მოქმედების შესრულებას; 16. საგანგებო დავალება; 17. ქვეყანა აზიაში; 18. გემების ლუზაზე გასაჩერებელი მარჯვე ადგილი; 19. რხევათა სიხშირის საზომი ერთეული; 21. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალა; 24. გერმანული ავტომარკა; 27. პოლიციის წინამორბედი; 29. ქალაქი კოლუმბიაში; 30. უშფოთველი ცხოვრება; 31. ინგლისსა და აშშ-ში: თანამდებობის პირი, რომელიც ასრულებს ადმინისტრაციულ და სასამართლო ფუნქციებს; 32. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული სირაქლემა; 33. ზოგი მზიდი კონსტრუქციის ჰორიზონტალური ელემენტი, რომელიც აერთებს საყრდენებს; 34. ოდნავ შესამჩნევი დაცინვა.

**შვეული:** 2. იტალიელი დიქტატორი; 3. რაიმე ნაგებობის, მოწყობილობის, მექანიზმის დეტალი; 4. ბილბაოს „ატლეტიკოს" ლეგენდარული ფეხბურთელი; 5. ფეოდალურ იაპონიაში: პრივილეგიური სამხედრო წოდების წარმომადგენელი; 6. მოკლელულიანი მსუბუქი თოფი; 7. ნატურიდან ხატვასთან დაკავშირებული; 13. მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური; 14. დაუმორჩილებელი, ჯიუტი; 15. ქიმიური ელემენტი; 20. სითამამე, გაბედულება; 22. სწრაფად მოძრავი სხეულის ასხლეტა ზედაპირიდან; 23. ჭრილობა; 25. უნგრული ნაგაზი; 26. არანორმალურად პატარა ტანის ადამიანი; 27. კუნთების ანთება; 28. კავშირი, გაერთიანება.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

1. მაზარა; 5. ბარაკი; 8. კაბალა; 9. ლემური; 10. მეთუნე; 11. იუნიკი; 12. ანქვაბი; 16. მაფია; 17. სირია; 18. ავაზა; 19. ქინძი; 21. შკოდა; 24. ჯაყვა; 27. ნიქოზია; 29. ნიქარა; 30. სტარტი; 31. მადონა; 32. რესორი; 33. გიტარა; 34. იტალია.

შვეულად: 2. აკადემია; 3. აპატურაი; 4. ალამედა; 5. ბოლნისი; 6. რომანოვი; 7. კარაკასი; 12. ნავარქოსი; 14. ვადა; 15. ბატალიონი; 20. ნატო; 22. კანიბალი; 23. დედა; 25. აფრა; 26. ვესტერნი; 27. ნიაგარა; 28. აბსურდი.



რევოლვერი, რომლითაც მძიმეწონიან ცხოველზეც შეგიძლიათ ინადიროთ

# „გამძვინვარებული ხარი“ სპილოებსაც ერჩის

ბრაზილიური ფირმა Taurus-ი მთელ მსოფლიოშია ცნობილი როგორც მაღალი ხარისხის იარაღის მწარმოებელი, მაგრამ მისი გამოშვებული რევოლვერი Raging Bull-ი („გამძვინვარებული ხარი“) მაინც გამოირჩევა თავისი ორიგინალობითა და დანიშნულებით.

თავად განსაჯეთ — „ტაურუსი“ გთავაზობთ რევოლვერს, რომლითაც შეგიძლიათ ინადიროთ აფრიკულ კამეჩზე და თვით სპილოზეც კი!

ამ რევოლვერის მოდიფიკაცია .454Casull-ი განსაზღვრულია 11,5 მმ კალიბრის ვაზნების გამოყენებისთვის, რომლის საწყისი სიჩქარე 490 მ/წმ-ია, ხოლო ტყვიის საწყისი ენერგია კი 1923 ჯოულს აღწევს. თითქმის ამხელა საწყისი ენერგია აქვს „კალაშნიკოვის“ AKM-ის 7,62 მმ-იან ტყვიასაც (2010 ჯოული), რაც ნათლად აჩვენებს, რომ „გამძვინვარებული ხარით“ გასროლილ .454Casull-ის ვაზნის ტყვიას მართლაც შეუძლია ახლო მანძილიდან (თუკი მონადირე არ შეუშინდა) აფრიკული კამეჩის მოკვლა.

ეს ვაზნა კარგად ცნობილი .45Colt-ის პისტოლეტის ვაზნის ბაზაზეა დამზადებული, თუმცა მისი ჩადება „კოლტის“ მსხვილკალიბრიანი პისტოლეტის მჭიდში შეუძლებელია, რადგან .454Casull-ის ვაზნის მასრა 35,1 მმ-მდეა დაგრძელებული. თავად ტყვია 16 გრამს იწონის და დიდი შემაჩერებელი ძალა აქვს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რამდენიმე ასეულკილოგრამიან კამეჩზე ნადირობისას.

გასროლისას მსროლელის ხელზე უკუცემის დიდი ძალა მოქმედებს, რომლის ნაწილს რევოლვერის ტარის რეზინის ფენა აკომპენსირებს, ნაწილს კი რევოლვერის ლულის თავში დამონტაჟებული მუხრუჭ-კომპენსატორი, რომელიც ფაქტობრივად ლულის ორივე მხარეს გაკეთებულ რვა ნახვრეტს წარმოადგენს.

რევოლვერის დოლურაში .454Casull-ის ტიპის ხუთი ვაზნა ჩადის. თავად რევოლვერი ორმაგი მოქმედების მექანიზმითაა აღჭურვილი, ანუ ჩახმახის შეყენება ხელითაც შეიძლება და სასხლეტითაც. რევოლვერის კორპუსის თავზე დატანებულია Picatinny-ის მიმმართველები, რომლებიც იარაღზე სხვადასხვა აქსესუარის, მათ შორის ოპტიკური სამიზნეების დაყენების საშუალებას იძლევა.

ევროპაში Taurus Raging Bull-ის ფასი 750-დან 1.000 ევრომდე მერყეობს და დამოკიდებულია ლულის სიგრძეზე.

**ირაკლი ალადაშვილი**




**ჩვენი დოსიე:** ბრაზილიური Taurus Raging Bull-ი 800 გ-დან 2.2 კგ-მდე იწონის. მასის ასეთი ცვლილება დამოკიდებულია ლულების სიგრძეზე, რომლებიც, თავის მხრივ, 101 მმ-დან 254 მმ-მდე იზრდება. ამის მიხედვით თავად რევოლვერის სიგრძეც შეიძლება 254-დან 419 მმ-მდე მერყეობდეს. რევოლვერი იწარმოება 9 სხვადასხვა კალიბრის ვაზნების გამოყენების გათვალისწინებით, შესაბამისად, რევოლვერის დოლურის ტევადობა შეიძლება 5-დან 8 ვაზნამდე იყოს.

ISSN 1987-5061
9 771987 506007

2-
b. 122/32
ეროვნული ბიბლიოთეკა




არსენალი სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი